იწყება პენსიონერთა ხელახალი რეგისტრაცია A2
კონსოლიდირებული დემოკრატიის პროექტი A3
რევიუ B6

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ორშაბათი, 23 აგვისტო, 2004 წელი. №199 (748)
ფასი 50 თეთრი

### ეკონომიკა

## აჭარის საბანკო სექტორში თავისუფალი ნიშები ნელა ივსება

მაისის რევოლუციის შემდეგ აჭარაში განსაკუთრებით კომერციული ბანკები გააქტიურდნენ. თუკი გასულ წელს რეგიონში მხოლოდ რვა კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა, წელს მათ კიდევ ხუთი დაემატა. “საზღვაო ბანკის” ლიკვიდაციის შემდეგ, დღეს აჭარაში კლიენტებს 12 კომერციული ბანკი ემსახურება.

A4

### უცხოეთი

## ინდოეთი პაკისტანს საერთაშორისო ტერორიზმში ადანაშაულებს

შესამაბისი ხასიათის განცხადება მოცემულია რეზოლუციაში, რომელიც “ინდოეთის ეროვნული კონგრესის” ყრილობის დასრულებისას მიიღეს. დოკუმენტში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ დელი ინდოეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ ტერაქტებზე მთელ პასუხისმგებლობას პირადად ისლამაბადს აკისრებს, თუმცა კონტექსტიდან ჩანს, რომ საუბარი სწორედ პაკისტანზეა.

A5

### საწარმო

## ხელისუფლების სერიოზული წარმატება



სს "მადნეულს" ახალი სუნთქვა გაეხსნა.

A6

### სამართალი

## „ასლან აბაშიძის საჩუქრებმა” ექვსი ადამიანი დაასახიჩრა



ნაღმზე აფეთქებული ექვსი პიროვნების სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

A7

### ამინდი

| | 23/8 | 24/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 37 |
| ქუთაისი | 38 | 37 |
| ბათუმი | 36 | 33 |
| სოხუმი | 33 | 31 |
| ფოთი | 36 | 33 |
| თელავი | 35 | 36 |
| ზუგდიდი | 37 | 34 |
| გორი | 32 | 33 |
| ახმეტა | 34 | 36 |
| ჭიათურა | 37 | 36 |
| გაგრა | 32 | 29 |
| სამტრედია | 37 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8150 |
| ევრო | 2.2444 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3245 |
| რუბლი | 0.0621 |

# ჩეჩნური ფაქტორის ამოტივტივების ორი კონტექსტი

ნინო გომართელი

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ვითარების განმუხტვისთვის გადადგმული ნაბიჯით, როგორც ჩანს, რუსეთი არც ისე აღფრთოვანებულია, რადგან პრეზიდენტი პუტინი, თავისი ქვეშევრდომის მეშვეობით, ახლა კავკასიაში თავისი ორი სტრატეგიული ინტერესის შერწყმასა და ამით მოგების მიღებას ცდილობს.

საქმე ისაა, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა რამზან კადიროვმა საქართველოს ხელისუფლებისთვის გამაოგნებელი განცხადება გააკეთა - მან ღიად აღუთქვა დახმარება სამხრეთ ოსეთის სეპარატისტ ხელისუფლებას.

**“ხუთი ათასი ჩეჩენი მზად არის, მშვიდობის შესანარჩუნებლად ცხინვალში შევიდეს,”** – განაცხადა აწ უკვე განსვენებულ აჰმად კადიროვის ძემ და იქვე აღნიშნა, რომ შესაბამისი თხოვნით მას სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიმართეს.

აღნიშნული ინიციატივა უმალვე აიტაცა ოსურმა მხარემ და “ეხო მოსკვის” პირდაპირ ეთერში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭვდითი სიტყვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ირინა გაგლოევამ განაცხადა, რომ დეფაქტო ხელისუფლებისთვის დახმარება ჩეჩნურ მხარეს, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ შეუთავაზებია, თუმცა მანვე მადლობა გადაუხადა რამზან კადიროვს და დაამატა: **“ოსებს და ჩეჩნებს ყოველთვის თბილი ურთიერთობა გვქონდა, ჩვენ აფხაზეთში ერთობლივი სამხედრო მოქმედებებიც გვაკავშირებს”.**

მოგვიანებით კი გაგლოევამ დასძინა: **“ამჟამად საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობს, მაგრამ თუ ჩვენი დახმარების სურვილი იქნება, ჩვენ მასზე უარს არ ვიტყვით.”**

ეს განცხადებები, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ დაუტოვებია საქართველოს ხელისუფლებას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ ჩეჩნები გონს მოეგებიან.

**“ჩეჩნებს საკუთარ პრობლემებზე ეზრუნათ და თავის ქვეყანაში დაემყარებინათ მშვიდობა, არ იქნებოდა ცუდი. მე ნორმალურ ადამიანებზე მაქვს საუბარი და არა ტერორისტებზე. იმედი მაქვს, რომ მათ გონიერება ეყოფათ და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში არ ჩაერევიან,”** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჩემპიონის დაბადება








*ასანიძემ საქართველოს კიდევ ერთი ოლიმპიური ოქრო აჩუქა.*

კახა ფაჩუაშვილი
*ათენიდან*

ერთი ვაჟი მყავს – გიორგი და ვამაყობ მისი სახელით, სხვადასხვა მიზეზის გამო. ახლა კი ბედნიერი ვარ, რომ ამ მიზეზთა ნუსხას ერთიც შეემატა – ასანიძესაც ხომ გიორგი ჰქვია. ჩემი გიორგის სეხნია ოლიმპიური ჩემპიონი და ყველაზე მაგარი ათლეტია მსოფლიოში.

საქართველოს შეუძლია, იამაყოს გიორგი ასანიძით. გიორგიმ, იცით, რა ქნა? ბერძენთა კერპი საკუთარი მაყურებლის თვალწინ დაამსხვრია. პიროს დიმასი, მართალია, წარმოშობით ალბანელია, მაგრამ საბერძნეთისთვის სამჯერ მოიგო ოლიმპიური ოქრო და აქ აღარც ახსოვთ მისი წარმოშობა. ბერძნებისთვის ის ელინია და მორჩა. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლეგენდად იქცა საბერძნეთისთვის და ვერავინ დააჯერებდა ბერძნებს, რომ დიმასი ათენში მეოთხედ ვერ გახდებოდა ჩემპიონი და ამით ბერძნული სპორტის ისტორიაში არ უკვდავყოფდა თავის სახელს.

ბერძნებმა ზეიმისთვის ყველაფერი წინასწარ მოამზადეს – პრესა, ტელევიზია, სირტაკი გამარჯვების შემდეგ. ის კი არა, დარბაზში პიროსის ოჯახიც კი მოიყვანეს, ხოლო ათენის ცენტრალურ, ომონიას მოედანზე საკონცერტო მოედანი გამართეს. სადღაც დარბაზის მიდამოებში კი ფეიერვერკები იყო ჩასაფრებული. მოკლედ, საბერძნეთი დიმასის მეოთხე ოქროსთვის მოემზადა.

ასანიძე შეჯიბრების წინ ოდნავ აფორიაქებული ჩანდა. ორჭიდის ჯამში 390 კგ. რომ ამაწევინა, კარგი იქნებაო, – ამბობდა გიორგი.

გაგრძელება B4 გვერდზე

# "მშვიდობით, საქართველო"

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვის ექსპერტთა საზოგადოებაში გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უხილავი მრჩევლები უკვე აყალიბებენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის მოდელს. ბუნებრივია, ეს პროცესი კრემლის აქტიური მონაწილეობის გარეშე არ ჩაივლის. ამიტომ მოსკოვში სურთ დაიჯერონ, რომ არც მიხეილ სააკაშვილი იქნება წინააღმდეგი, განიხილოს საქართველოს ფედერალიზაციის სტანისლავ ბელკოვსკის ავტორობით ერთი წლის წინათ შეთხზული რუსული მოდელი, რომლის დროსაც “მგლებიც მაძღრები რჩებიან და ცხვრებიც – უვნებელნი”.

კრემლის ერთ-ერთმა წამყვანმა ნიუსმეიკერმა სერგეი კარაგანოვმა უვე გამოაცხო მორიგი ოპუსი სათაურით, “მშვიდობით, საქართველო?”. პოლიტოლოგი აშკარად კეკლუცობს, როცა წერს, კითხვის ნიშანი საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გამოსწორების იმედით დავსვიო. ჩეჩნეთის პატრონი რუსული ელიტა ქართულ მხარეს ისეთ მაღალ მატერიებზე შეახსენებს, როგორიცაა საერთაშორისო სამართალი და ადამიანთა უფლებები. ბუნებრივია, კარაგანოვმა კარგად იცის, სად და როგორ იწერება მსგავსი სცენარები. ამიტომაც იგი სერიოზულად და დიდი ხნით ემშვიდობება საქართველოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კრემლი კავკასიაში გამარჯვებისთვის ემზადება

ხათუნა გაბიევი

29 აგვისტოს ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული, რომლისთვისაც მზადება იჩქერიამ რუსეთთან ერთად დიდი ხნით ადრე დაიწყო. საპრეზიდენტო არჩევნებს იჩქერიაში არაერთი დამკვირვებელი დაესწრება, როგორც დსთ-ს სივრციდან, ასევე საერთაშორისო საზოგადოებიდან. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის ალექსანდრ ვეშნიაკოვის განცხადებით, არჩევნებში ეუთო-ს დამკვირვებლების მონაწილეობის საკითხი დაზუსტებული ჯერ კიდევ არაა. “ისინი ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისგან თავშეკავებას მოუცლელობით ხსნიან, რასაც უახლოეს მომავალში ყაზახეთში, უკრაინასა და ბელორუსში დაგეგმილი არჩევნები განაპირობებს,” - აღნიშნავს ვეშნიაკოვი. თუმცა, ეუთო-სგან განსხვავებით ჩეჩნურ არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობისთვის მზადყოფნას აცხადებენ არაბულ სახელმწიფოთა ლიგა და ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია. გარდა ამისა, დამკვირვებლის სტატუსს მოირგებენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლები და ფედერაციის საბჭოს წევრები რეგიონებიდან. რაც შეეხება წინასაარჩევნო მზადების მთელ პროცესს, მას რუსები დადებითად აფასებენ. “რასაკვირველია, ხარვეზებისაგან არავინაა დაზღვეული, თუმცა მთლიანობაში შესრულებული სამუშაო სავსებით დამაკმაყოფილებელია. რესპუბლიკის საარჩევნო კომიტეტი ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ლეგიტიმურ ორგანოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ,” - აცხადებს ვეშნიაკოვი. საიმედოდაა დაცული საარჩევნო უბნებიც, რომლებზეც საპატრულო კონტროლს 4 000-ზე მეტი მილიციელი ახორციელებს. “მთიან რაიონში არსებული ყველა საარჩევნო უბანი მილიციის გამკაცრებული სადღეღამისო კონტროლის ქვეშაა აყვანილი,” - აღნიშნავენ რეგიონულ ოპერატიულ შტაბში.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 თვალსაზრისი A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საწარმო A7 სამართალი A8 თვალსაზრისი
B2 - B3 რეკლამა B4 სპორტი B5 სპორტი B6 რევიუ B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# იწყება პენსიონერთა ხელახალი რეგისტრაცია

## თუ რეგისტრაციას არ გაივლით, პენსია არ გექნებათ

*საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, აგვისტოს თვის ბოლოდან პენსიონერთა საყოველთაო რეგისტრაცია იწყება. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომელიც აღნიშნული პროცესის წარმმართველია, პენსიონერებს მოუწოდებს გაგებით მოეკიდონ და უკლებლივ ყველამ გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაცია თვენახევრით ადრეც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გადაიდო ოფიციალურ განკარგულებამდე.*

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძე აცხადებს, რომ პერსონიფიკაციის პროცესის შედეგად, შესაძლებელი გახდება თანხების დაზოგვა, რაც ისევ პენსიონერთა დავალიანების დაფარვას და სხვა აუცილებელ ღონისძიებებს მოხმარდება. ამ საკითხებთან დაკავშირებით მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- ბატონო ზაზა, როდის და სად დაიწყება რეგისტრაცია?**

- იმ მიზეზით, რომ პერსონიფიკაციის პროცესი საკმაოდ დიდ რესურსებს მოითხოვს და მთელი ქვეყნის მოცვა ერთბაშად შეუძლებელია, რეგისტრაცია, პირველ რიგში, თბილისში, სამეგრელოს რეგიონში და აჭარაში ჩატარდება. რეგისტრაცია აგვისტოს თვის პენსიების გაცემის პარალელურად, 25 აგვისტოდან დაიწყება. ანუ, მივა მოქალაქე პენსიის ასაღებად და პარალელურად გაივლის რეგისტრაციასაც. ამისათვის პენსიის გამცემ პუნქტებში იმუშავებენ ტექნიკური ჯგუფები. ფონდში და შესაბამისად, ყველა რაიონის გამგეობაში შექმნილია სპეციალური კომისიები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ რეგისტრაციის პროცესს.

**- რა საბუთები უნდა იქონიოს პენსიონერმა რეგისტრაციის გასავლელად?**

- მას თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და პენსიონერის წიგნაკი. იმ შემთხვევაში, თუ ვერ წარმოადგენს საპენსიო წიგნაკს, კონკრეტულ მომენტში რეგისტრაციას ვერ გაივლის და, შესაბამისად, პენსია არ გაიცემა, თუმცა, იმავე დღეს შეუძლია ფონდის რაიონულ განყოფილებას მოაკითხოს და აიღოს წიგნაკი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ თან არ იქონიებს პირადობის მოწმობას მხოლოდ საპენსიო წიგნაკის საშუალებით პენსია გაიცემა, თუმცა ანკეტის მეორე მხარეს დაფიქსირდება, რომ მომავალი თვის პენსიის აღებისას მან უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყდება პენსია.

**- იმ შემთხვევაში თუ პენსიონერი არ იმყოფება ადგილზე, პენსიის დაგვიანებით აღების დროს პრობლემები ხომ არ შეექმნება?**

- პენსიის მიმღებ პუნქტებში ტექნიკური ჯგუფები სამი კვირის განმავლობაში იმუშავებენ. ამდენად პენსიონერებს პრობლემები არ შეექმნებათ. რაც შეეხება მათ, ვინც მინდობილობით იღებს პენსიას, აღნიშნული საბუთის წარმომდგენმა პირმა თან უნდა იქონიოს საპენსიო წიგნაკი. მოხდება პენსიონერის რეგისტრაცია და პენსია გაიცემა მინდობილობის წარმომდგენ პირზე. ხოლო თუ ვერ წარმოადგენს აღნიშნულ საბუთს, უნდა მიმართოს ცენტრალურ კომისიას, რომ ადგილზე შეამოწმონ პენსიონერი, სადაც შესაძლებელია მისი ნახვა. იგივე პრინციპი მოქმედებს პენსიონერის ავადმყოფობის შემთხვევაში, როდესაც ფოსტის წარმომადგენელი მიდის ადგილზე პენსიის გასაცემად, მას მიჰყვება კომისიის წევრი და ადგილზე დასტურდება, რომ პენსიონერი ამ მისამართზე ნამდვილად იმყოფება.

**- რეგისტრაცია გარკვეულ დროს მოითხოვს, რიგში დგომა ხომ არ მოუწევთ პენსიონერებს?**

- ეს მომენტიც გავითვალისწინეთ და თბილისში ჩვენი პარტნიორები სახალხო ბანკი და საქართველოს ფოსტა ყველა ღონისძიებას მიმართავენ, რომ თავიდან ავირიდოთ დაბრკოლებები, პენსიონერები მხოლოდ რამდენიმე წუთს დაკარგავენ ზედმეტად. ჩვენი თხოვნაა პენსიონერები გაგებით მოეკიდონ რეგისტრაციის წესს, რადგან ყოველივე ეს დაკავშირებულია თანხებთან. პენსიონერთა ზუსტი აღრიცხვისას შესაძლებელი გახდება თანხების დაზოგვა, რაც შემდგომში ისევ მათ საპენსიო უზრუნველყოფას მოხმარდება.

**- ვინ არიან კომისიის შემადგენლობაში?**

- კომისიის წევრები არიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების, ფონდის წარმომადგენლები.

**- რა სამუშაოები ჩაატარეთ წინასწარ, რომ სიზუსტე მაქსიმალურად იყოს დაცული?**

- რეგისტრაციის ძირითადი მიზანი პენსიონერთა სიებში უზუსტობის აღმოფხვრაა. მოსამზადებელ პერიოდში დაიბეჭდა ყველა პენსიონერის პირადი ანკეტა, რომელიც 16 მონაცემისაგან შედგება. ადგილზე მისულ პენსიონერს ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენელი შეავსებინებს ანკეტას, რის შემდეგაც დადგინდება უკვე არსებულ მონაცემებსა და პენსიონერის მიერ შევსებული ანკეტის მონაცემებს შორის არის თუ არა სხვაობა.

**- სხვა რეგიონებში როდის დაიწყება რეგისტრაციის პროცესი?**

- საქართველოს სხვა რეგიონებისთვის აღნიშნული პროცესი სექტემბერში დაიწყება, იგი 6 თვის განმავლობაში გაგრძელდება და სხვადასხვა ეტაპებს მოიცავს.

**- როგორ ფიქრობთ მნიშვნელოვნად შემცირდება თუ არა ამ ეტაპზე არსებულ სიაში პენსიონერთა რიცხვი?**

- ჩვენი ვარაუდით, პენსიონერთა არსებულ ბაზასთან შედარებით, 5%-იანი ცდომილება მაინც იქნება. რეგისტრაციის პროცესი მიმართულია პენსიონერთა ზუსტი ბაზის შექმნისკენ, რაც საშუალებას მოგვცემს შემდგომში პენსიების დარიცხვის პროცესი ამ დაწმენდილი ბაზის საფუძველზე მოვახდინოთ. ამდენად, ცდომილება მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. მოვუწოდებთ პროცესში მონაწილე ყველა პირს პატიოსნად და ყურადღებით მოეკიდოს ჩვენს მიერ წამოწყებულ მნიშვნელოვან საქმეს.

P.S. რეგისტრაციასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ დარეკოთ "საპენსიო ფონდის" ცხელ ხაზზე: **696 593** და **696 594.**

*ნონა მაისურაძე*

## მოკლედ

### ბაღაფშს აფხაზური სცოდნია

აფხზეთის რეპსუბლიკის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, კომპანია "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა აფხაზური ენის სრულფასოვნად ცოდნაზე ტესტირება წარმატებით გაირა. სხვა კანდიდატებს ტესტი ჯერ არ ჩაუბარებიათ. როგორც ცნობილია, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პარლამენტის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტობის კანდიდატი ვალდებულია, ამგვარი ტესტი გაიაროს. თუ ლინგვისტებით დაკომპლექტებული კომისია უარყოფით დასკვნას გასცემს, მაშინ კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცემა.

*მედია-ნიუსი*

### კონფლიქტის ზონაში სიმშვიდეა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება არც 22 აგვისტოს ღამე დარღვეულა. მართალია, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა მოხდა, მაგრამ ამას ვითარების დაძაბვა არ მოჰყოლია.

როგორც შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები განმარტავენ, ასეთი ცელკეული შემთხვევები გამორიცხული არ არის, რადგან მოსახლეობის გარკვეეულ ნაწილში იარაღი ისევ რჩება. კონფლიქტის ზონა უკვე დატოვა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, რომელმაც 21 აგვისტოს სამშვიდობო ძალების პოზიციები დაათვალიერა და გორის საავადმყოფოში მყოფი დაჭრილი ქართველი სამხედროები მოინახულა. დიდი და პატარა ლიხვის ხეობის დამაკავშირებელ შემოვლით გზასა და სტრატეგიულ სიმაღლეებს კვლავ შერეული სამშვიდობო ძალები და ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლები აკონტროლებენ.

*მედია-ნიუსი*

# ჩეჩნური ფაქტორის ამოქმედების ორი კონტექსტი



*ჩეჩნური ფაქტორი მოსკოვმა უფრო ამ ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის ამოაქტივა.*

პირველი გვერდიდან

ამავე დროს, აღფრთოვანებას ვერ მალავს რუსული მედია. რუსული ინტერნეტ-გაზეთი "გაზეტა რუ" აქვეყნებს სტატიას სათაურით "კადიროვმა ბასაევად გადაქცევა გადაწყვიტა", სადაც დეტალურად არის მოცემული ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერის განცხადება და მასზე ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების კომენტარიც. რაც შეეხება ქართული მხარის მოსაზრებებს, მის გამომხატველად სტატიაში თეიმურაზ გამცემლიძეა წარმოდგენილი. საბოლოოდ კი ირკვევა, რომ იგი აღნიშნულ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობს.

მიმოხილვას კი ავტორის არცთუ სასიამოვნო კომენტარი ახლავს თან: **"საქართველოს წარმომადგენლები ცხინვალში ჩეჩნური სპეცრაზმის გაგზავნის ამბავს უარყოფითად შეხვდნენ, რაც არც არის გასაკვირი. თბილისს ჩეჩენ ბოევიკებთან ხომ ძველი ანგარიშები აქვს. როგორც ცნობილია, 1992-1993 წლების ომში, ჩეჩნები, რომელთა შორისაც იყვნენ შამილ ბასაევი და რუსლან გელაევი, აფხაზების მხარეს ომობდნენ და მათ გამარჯვებაშიც დაეხმარნენ".**

დამოუკიდებელმა ჩეჩნურმა ინტერნეტ-სააგენტომ გუშინ ვრცელი მასალა მიუძღვნა რამზან კადიროვის განცხადებებს და საერთოდ ქართულ-ჩეჩნურ ურთიერთობებს, სათაურით - "პუტინი საქართველოში კადიროვის დაჯგუფებას გაგზავნის".

მასალაში ფაქტის კომენტირებისას აშკარად ჩანს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ დიდი ხნის ჩაგუბებული ბოღმა: **"სააკაშვილისთვის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სულმდაბლურად მოღალატეობდა და პუტინს ჩეჩენ მოჯაჰედებს გადასცემდა, ახლა მაინც უნდა გახდეს გასაგები, რაც ელოდება, თუ იგი კვლავ განაგრძობს რუსეთის დახმარებას. საქართველოს ჰყავს მოკავშირეები – ჩეჩნური არმია და ჩეჩნეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, მაგრამ სააკაშვილმა, კარგად მოფიქრებული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის ნაცვლად, აირჩია შევარდნაძის გზა და ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედზე, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართველებისთვის წაერთმია თავისი მოკავშირეები. მაგრამ ამჟამად, არ არის ისეთი ვითარება, რომ ამერიკელებმა თავისი სამხედრო ძალები გაგზავნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. სააკაშვილს კიდევ აქვს დრო, გადახედოს თავის პოლიტიკას ჩეჩნების მიმართ და ფუჭი შიშის გადაგდების შემდეგ, საბოლოოდ აღიქვას რეალობა ისეთად, როგორიც არის. მას ამერიკა მხოლოდ მაშინ დაეხმარება, როცა საქართველო მზად იქნება, საკუთარ ქმედებებზე პასუხი აგოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი საქართველოსთვის და ქართველებისთვის დიდ ტრაგედიად იქცევა".**

საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება სააგენტო "ჩეჩენპრესიც", რომელმაც მეტად ობიექტური და ამავე დროს კრიტიკული შეფასება გაუკეთა კადიროვის განცხადებებს, სტატიაში სათაურით - "კრემლის ახალი ზიგზაგი სამხრეთ ოსეთში":

**"ძალიან საინტერესოა კრემლის ზიგზაგური პოლიტიკის დაკვირვება, როდესაც იგი იწყებს ამ პრინციპით მოქმედებას - დაყავი, რომ იბატონო.**

**შებინდებისას, რუსეთის პოლიტიკის საცირკო არენაზე ეშმაკივით გამოხტა კრემლის გაცვეთილი პოლიტიკის მეზუკე, "ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერი" რამზან კადიროვი, წინადადებით, რომ "5 ათასი ჩეჩენი" გაგზავნოს სამხრეთ ოსეთში, რასაკვირველია საქართველოს წინააღმდეგ, კოკოითის ფორმირებების დასაცავად.**

**თუ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ჩეჩნებთან მართლაც "თბილი ურთიერთობები" აქვს, იმის გამო, რომ ორივეს "აფხაზეთში ერთობლივი სამხედრო მოქმედებები აკავშირებს", მაშინ ეს "თბილი გრძნობები" სამხრეთ ოსეთის ლიდერებს უნდა ჰქონდეთ არა შიზოფრენ კადიროვის, არამედ შამილ ბასაევის და ხამზათ გელაევის მიმართ, რომლებიც 1991 წელს მართლაც ხელმძღვანელობდნენ ჩეჩენ მოხალისეებს აფხაზეთში.**

**მაგრამ აქ რაღაც გაურკვევლობაა, კოკოითმა გამოცდილი სტრატეგის გამომეტყველებით სულ ცოტა ხნის წინ არაერთხელ განაცხადა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფმი ფორმირებები წვრთნებს აფხაზებთან ერთად გადიან, რათა შეიმუშაონ "პანკისში დაბანაკებული გელაევის ჩეჩენი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები". როგორც ჩანს, ჩეჩნების მიმართ სამხრეთ ოსეთის ლიდერების "თბილი გრძნობები" სეზონურია, პოლიტიკური ამინდიდან გამომდინარე".**

ეს ყველაფერი სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაზე, მაგრამ "ჩეჩენპრესი", ამასთან ერთად, არც საქართველოს ხელისუფლებას და პრეზიდენტ სააკაშვილს ეფერება:

**"კიდევ უფრო საინტერესო პოზიციაშია პრეზიდენტი სააკაშვილი. რუსეთის "ტერიტორიული მთლიანობის" აღიარებისას, სააკაშვილი არ იშურებდა ეპითეტებს, რომ შეემკო "ჩეჩენი ტერორისტები", დიდი მონდომებით გადასცემდა რუსეთს ჩეჩენ ახალგაზრდებს და პანკისზე თავდასხმებს ახორციელებდა, სადაც მისი "სპეცრაზმელები" ჩეჩენ ქალებს სცემდნენ და მეჩეთებში ანადგურებდნენ ყურანს და ამ ყველაფრის დემონსტრირებას რუსეთში აკეთებდა.**

**ახლა, კრემლის მორჩილი "ვიცე-პრემიერი" მზადაა სააკაშვილს "5 ათასი ჩეჩენი" შეუგზავნოს იმავე კრემლის მეორე მორჩილის კოკოითის დასახმარებლად. აი, ასეთი საინტერესო პოლიტიკური კვანძი იკვრება,"** – წერს ჩეჩენი ჟურნალისტი ადლან ბენო.

# "მშვიდობით, საქართველო"

პირველი გვერდიდან

კარაგანოვს რომ თავი ვანებოთ, დაახლოებით ასეთ მდგომარეობაშია ბოლო დღეების რუსული პრესაც, სადაც ანტიქართულმა რიტორიკამ თავის პიკს მიაღწია და მოსკოვში საქართველოს საელჩოს წინ ოსი ახალგაზრდების პერმანენტულ აქციას დაემსგავსა. "საქართველო ფიქციაა" - წერია ერთ პლაკატზე, რომელიც რუს გოგონას უჭირავს. შეკითხვაზე, თუ რატომ ფიქრობს ასე, იგი პასუხობს: "იმიტომ, რომ...იმიტომ."

მოსკოველი ექსპერტების აზრით, ვაშინგტონელი მრჩევლების აქტიური ჩარევის შემდეგ, საქართველოს საკითხში პუტინის კაპიტულაციას ზედ დაერთო საქართველოს პრეზიდენტის მოჩვენებითი კაპიტულაციაც, როცა მან ცხინვალის მისადგომებთან უკვე დაკავებული სტრატეგიული სიმაღლეები სამშვიდობოებს გადასცა. მოსკოვში ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ამ "გადაცემას" რეალურად კონფლიქტის ფორმატის შეცვლა აღარ შეუძლია, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითი და დროებითია. რუსი ექსპერტების აზრით, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს გაერთიანებისათვის უკან აღარ დაიხევს. რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ უკვე კარგად გაიცნობიერა, რომ საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლება, რომელმაც ქვეყნის ფეხზე წამოყენების სიმძიმე იტვირთა, ბოლომდე ივლის მიზნის მისაღწევად. მოსკოვი ყველაზე მეტად ამ რეალობას უფრთხის და ძველ საქართველოს ემშვიდობება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შაოსანი დედები სამშვიდობო მისიით გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდნენ. სამშვიდობო მისიის მიზანი ცხინვალში ოს დედებთან შეხვედრა და გასაუბრება იყო. ვინაიდან ვერცერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ცხინვალში შესვლის შემთხვევაში დელეგაციას უსაფრთხოების გარანტია ვერ მისცა, დედებმა თავი შეიკავეს ქალაქში შესვლისგან და თბილისში დაბრუნდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ მელიქიშვილმა, საქართველოს ოთხი მხარის პრეზიდენტის რწმუნებულებთან ერთად, გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა მოინახულა. პატარა ლიახვის ხეობაში მათი ჩასვლის მიზანი მოსახლეობისადმი მხარდაჭერის გამოხატვა და მათთვის საჩუქრების გადაცემა იყო. მინისტრმა და რწმუნებულებმა მოსახლეობას პირველადი მოხმარების ნივთები, პროდუქტები და მედიკამენტები ჩაუტანეს. გუშინვე, კონფლიქტის ზონა სხვადასხვა რაიონის გამგეობის წევრებმაც მოინახულეს. ბოლნისის გამგეობამ ქურთის თემის წარმომადგენლებს საჩუქრად ახალი ავტომანქანა "ნივა" გადასცა. სახელმწიფო მინისტრი და რწმუნებულები დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებშიც აპირებდნენ გადასვლას, თუმცა მათ ცხინვალის გავლით რეგიონში შესვლისგან თავი შეიკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გალი.** ქართულ მხარეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალების სამხედრო წვრთნების ჩატარების შესახებ ჯერჯერობით ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია. შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალები 23 აგვისტოდან სამხედრო წვრთნებს ატარებს. წვრთნებს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალი ალექსანდრე ევტეევი უხელმძღვანელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში რუსეთის საელჩოს პროტესტის მიუხედავად, საელჩოს წინ ინტერნეტ-ფორუმის აქცია კვლავაც გრძელდება. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ზაზა მაჭარაშვილმა განაცხადა, რუსეთის საელჩოს წარმომადგენელმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცეს ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ აქციის მონაწილეები მათ მუშაობაში ხელს უშლიან და შესაბამისი ზომების მიღებას სთხოვენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმში, რუსეთის სამხედრო ბაზის ადმინისტრაციის შენობის წინ, პარლამენტარ კობა დავითაშვილის თანამოაზრეებმა და "ერთიანობის კავშირმა" საპროტესტო აქცია გამართეს და გონიოს პოლიგონზე რუსი სამხედროების წვრთნის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვეს. წვრთნები ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს. აქციას პარლამენტარი კობა დავითაშვილი არ დასწრებია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარები ვასილ მაღლაფერიძე, ზურაბ ცქიტიშვილი და რომან კუსიანი 23 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში მიემგზავრებიან. როგორც ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, მათ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძისგან კონკრეტული დავალება მიიღეს, რაც კონფლიქტის ზონაში ქართული სოფლების დაბომბვის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის შესწავლას ითვალისწინებს.

ამ მიზნით პარლამენტარები კონფლიქტის ზონაში, შესაძლოა, რამდენიმე დღე დარჩნენ.

მოსახლეობისთვის თანადგომის მიზნით, კონფლიქტის ზონაში ჩასვლას კიდევ რამდენიმე საპარლამენტო ჯგუფი გეგმავს. პარლამენტარები დაზიანებული სკოლებისა და სახლების აღსადგენად კონკრეტული დახმარების პროგრამასაც განიხილავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარ დეპუტატთა ოთხი ვაკანსიის შესავსებად 24 ოქტომბერს არჩევნები ოთხ საარჩევო ოლქში - თბილისში კრწანისისა და დიდუბის რაიონებში, ზესტაფონსა და გორში - ჩატარდება.

დიდუბის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატის ადგილი მას მერე გათავისუფლდა, რაც გიორგი ბარამიძემ შსს მინისტრის თანამდებობა დაიკავა. 24 ოქტომბრის არჩევნებში ამ ვაკანსიაზე პრეტენზიას აცხადებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი თემურ ჭეიშვილი.

რაც შეეხება კრწანისის საარჩევნო ოლქს, სადაც გია გეწაძემ გაიმარჯვა და შემდეგ აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადავიდა, შესაძლოა აქ კენჭი თბილისის ყოფილმა მერმა ვანო ზოდელავამ იყაროს. ვაკანტურია ზესტაფონისა და გორის მაჟორიტარ დეპუტატთა ადგილი, სადაც თავის დროზე შესაბამისად, კენჭი იყარეს დავით მუმლაძემ და ირაკლი ოქრუაშვილმა. მომავალი კანდიდატების შესახებ არაფერია ცნობილი. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ძირითადი ტენდენცია

# კონსოლიდირებული დემოკრატიის პროექტი

ნიკა იმნაიშვილი

სამწუხაროდ, პროცესები კონფლიქტის ზონაში გასულ კვირას ყველაზე უარესი სცენარით განვითარდა. გააფთრებული ბრძოლების შედეგად დაიღუპა რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი, რომლებმაც საკუთარი სისხლით ჩამობანეს საქართველოს 8 ივლისის შეურაცხყოფა.

მას შემდეგ, რაც ქართული მხარე იძულებული გახდა (უპირველესად ვაშინგტონის ადმინისტრაციის პოზიციის შედეგად) "სამხრეთ ოსეთიდან" საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ქვედანაყოფები გამოეყვანა, ვითარება "დაბალი ინტენსივობის" ომსა და "გაყინულ კონფლიქტს" შორის მერყეობს.

ქართული ქვედანაყოფები, რომლებიც მრავალი დღის განმავლობაში გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის არმიის სპეცდანიშნულების რაზმებს (მათ შორის ღამის ხედვის უნიკალური აპარატურით შეიარაღებულ ელიტურ ქვედანაყოფებს), ამჟამად, ტაქტიკური მოსაზრებებით, აღარ აკონტროლებენ შემოვლით გზას ქართული სოფლებიდან – საქართველოს შიდა რეგიონებისაკენ.

არსებობს მოვლენათა შემდგომი ალგორითმის ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარი. ყველაზე უარესი პროგნოზის შესაბამისად (თუმცა, მისი ალბათობა ასპროცენტიანი არ არის და ამისგან ღმერთმაც დაგვიფაროს), როდესაც "სამხრეთ ოსეთს" ყველა ქართული ქვედანაყოფი დატოვებს, "სამშვიდობო ბატალიონის" გარდა, - ოსურ-რუსული მხარე მოითხოვს "უკანონო პოსტების გაუქმებას" კონფლიქტის ზონაში. მათ შორის იმ პოსტებისა, რომელთა გახსნა გამანადგურებელი კონტრაბანდის შეწყვეტის აუცილებლობამ განაპირობა. თანაც, დაგომისის კაბალური შეთანხმებით, კონფლიქტის ზონა არა თუ ცხინვალის რაიონს, არამედ გორისა და ქარელის რაიონთა დიდ ნაწილს მოიცავს.

რაკი ქართული მხარე ამას არ დაეთანხმება, მოსკოვი და ცხინვალი ბრალს დაგვდებენ ხელშეკრულების დარღვევაში და ჩაკეტავენ ქართული სოფლებისაკენ მიმავალ გზას ცხინვალის გავლით. "შემოვლითი გზით" კი ქართული მხარე ვეღარ ისარგებლებს. ამავდროულად, ოსებს ჯავიდან-ცხინვალამდე საკუთარი ალტერნატიული გზა აქვთ, რომელიც ქართულ სოფლებზე არ გადის.

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება შეიძლება აღმოჩნდეს საზარელი ალტერნატივის წინაშე: შეურიგდეს ორივე ხეობის (ესე იგი, მთლიანად, სამაჩაბლოს) დაცლას ქართული მოსახლეობისაგან (თუ ოსები ბავშვებს უკან აღარ შეუშვებენ, ბუნებრივია, მშობლებიც გამოვლენ "ნებაყოფლობით" - ყოველგვარი აშკარა "ეთნიკური წმენდის" გარეშე) ან შეასრულოს მოსკოვის უმთავრესი მოთხოვნა – მისი "პროგრამა მაქსიმუმი", რაც რუსეთთან ეკონომიკური საზღვრის ძველებურ უკონტროლობაში მდგომარეობს.

ეს აბსოლუტურად ლოგიკურია: მოსკოვში ხომ შესანიშნავად უწყიან, რომ საქართველოს ბიუჯეტის ზრდა დიდწილად სწორედ "კონტრაბანდული ჩანჩქერის" შეწყვეტამ განაპირობა. ამრიგად, "გაყინული კონფლიქტის" ვითარებაში დაბრუნება გულისხმობს იდილიურ მშვიდობას, როდესაც კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა (საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში) "საცრით წყლის ზიდვას" დაემსგავსება.

შესაბამისად, გვიან შემოდგომისათვის კვლავ გამწვავდება საგადასახადო შემოსავლების პრობლემა, აქედან გამომდინარე შედეგებით.

სწორედ ეს არის რუსეთის მიზანი: არ დაუშვას საქართველოს ფეხზე წამოდგომა, მისი მოძლიერება, რათა ქვეყანამ დამოუკიდებელი განვითარების შანსი არ მოიპოვოს – მუდმივად დარჩეს მაჩანჩალა, ღარიბ-ღატაკ, დანაწევრებულ, შიდა წინააღმდეგობით აღსავსე, არაკონსოლიდირებულ, არშემდგარ სახელმწიფოდ.

მაგრამ ზემოთქმული ყველაზე უარესი, ჰიპოთეტური სცენარია (ალბათ, სჯობს, არარეალურობამდე საშინელი პროგნოზებიც წინასწარ განვიხილოთ) და მისი განვითარების შემთხვევაშიც, საქართველოს, რა თქმა უნდა, ექნება წინააღმდეგობის საშუალება.

ოპტიმისტური სცენარის შესაბამისად კი, ცხინვალი და მოსკოვი შეურიგდებიან იმას, რომ საქართველოს ეკონომიკური საზღვარი "გამჭოლი ეზო" აღარ იქნება. ამრიგად, სხვა ტაქტიკას აირჩევენ, რაც ყველა შემთხვევაში ჩვენი ქვეყნისაგან ძალთა და რესურსთა უმაღლეს კონცენტრაციას, სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის უმტკიცეს ხარისხს მოითხოვს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების მანდატით კვლავ რჩებიან ქართული სამხედრო შენაერთები.

ბუნებრივია, "სამხრეთ ოსეთი" მხოლოდ ბრძოლის ერთ-ერთი კერაა. რუსეთი საქართველოს არ მოეშვება, სანამ არ მიიღებს გარანტიას (თუკი შეძლებს), რომ საქართველო დაბრუნდება "წინა კალაპოტში", ანუ აღდგება სტატუს კვო, როდესაც ქვეყანას განვითარების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნდა და ამდენად, რუსეთის არავითარ შეშფოთებას არ იწვევდა, რომ ოდესმე, მის მეზობლად შეიძლება ჩამოყალიბდეს სტაბილური, ერთიანი, კონსოლიდირებული, მდიდარი, ევროპული სახელმწიფო.

მოსკოვში მიაჩნიათ (არც თუ უსაფუძვლოდ), რომ ასეთი სახელმწიფო, ობიექტურად, თვით თავისი არსებობითა და ცხოველმოქმედებით, განურჩევლად ხელისუფლების პოლიტიკისა – რუსეთს პრობლემებს შეუქმნის ჩრდილოეთ კავკასიაში. აქედან გამომდინარე, უახლოეს წლებში მართლაც უმოწყალო ბრძოლა გველის. თუ, რასაკვირველია, რევოლუციამდელი სტატუს კვოს აღდგენას არ ვეთანხმებით. რევოლუცია კი სწორედ იმისთვის მოხდა, რათა საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის სტრატეგიული პრობლემები გადაეწყვიტა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეულობით ათასი ადამიანი იმისთვის გამოსულა ქუჩაში, რათა რამდენიმე ჩინოსანი ციხეში ჩაესვა.

შინაარსობრივად სწორედ ამ საკითხებს ეხებოდა ჩემი სტატია "ვირტუალური ომი", რომელსაც (როგორც მოსალოდნელი იყო და თავად ვიწინასწარმეტყველე) საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა. პრეს-ომბუდსმენმა, ბატონმა ნოდარ ლადარიამ ისიც კი მისაყვედურა, თითქოს მე ხელისუფლებას რაღაცას (ლამის ფაშისტური დიქტატურის დამყარებას) "ვურჩევ". პატივცემული პრეს-ომბუდსმენის საგულისხმოდ უნდა შევნიშნო, რომ მე არავის არაფერს "ვურჩევ" და არც არაფრისკენ მოვუწოდებ, არამედ მხოლოდ ფაქტებს ვაანალიზებ და ამ ანალიზის საფუძველზე გამომაქვს დასკვნა "ძირითადი ტენდენციის" შესახებ, რაც ქვეყანაში ვითარდება. სწორედ ასე ეწოდება რუბრიკას, რომელიც გაზეთში მიმყავს.

ჩემი დასკვნა კი შემდეგია: საქართველოს ხელისუფლება, ქვეყნის სტრატეგიული პრობლემების გადასაწყვეტად (უპირველესად ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად), ახორციელებს (პირობითად) "კონსოლიდირებული დემოკრატიის" პროექტს.

ამ პროექტის კონტურები ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოიკვეთა. ამჟამად იგი ხორციელდება, რაზეც, ჩემი აზრით, შემდეგი უტყუარი ფაქტები მეტყველებს:

1) საკონსტიტუციო ცვლილებებით, რის შედეგადაც შესამჩნევად გაძლიერდა აღმასრულებელი ხელისუფლება, პრეზიდენტმა მიიღო (პირველად 1992 წლიდან) რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის უფლება, რაც, საქართველოს პირობებში, საკანონმდებლო ორგანოს მეტ "კონსტრუქციულობას" განაპირობებს. მათ შორის, პარლამენტში წარმოდგენილი დაჯგუფებების ლოიალურობის თვალსაზრისითაც, რის შედეგადაც, მათ გაცილებით ნაკლები საშუალება აქვთ, საკუთარი კორპორაციული, კლანური ინტერესების ლობირებისა, განსაკუთრებით საბიუჯეტო პროცესში, რაც ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკის "გულანია" და რასაც ყოველთვის ახერხებდნენ შევარდნაძის "პლურალისტური რეჟიმის" პირობებში.

2) პრეზიდენტის განცხადება (მაშასადამე მისი პოზიცია) იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არ დაუშვებს "ადგილებზე" ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებას "დეცენტრალიზაციის" ფორმით. ეს იმას ნიშნავს, რომ "ლოკალური დემოკრატია" უდავოდ და უეჭველად ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნების (უფრო ზუსტად, ამ კონტექსტში მისი აღდგენის) ინტერესებს მოემსახურება.

3) ცენტრალური ხელისუფლების კონცენტრაცია აჭარაში. საერთო-საქვეყნო ინტერესებიდან გამომდინარე ამ (თავიდანვე) ხელოვნური ავტონომიის ქცევა დეკორაციად (საერთაშორისო გართულებათა თავიდან აცილების მიზნით, მის სრულ გაუქმებაზე უარის თქმით) და ის გარემოება, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ მისცა საშუალება "ქრონიკულად ოპოზიციურ" ჯგუფებს, აჭარის პარლამენტი ექციათ შევარდნაძის დროინდელი პლურალისტური პარლამენტის მაგვარ "სადისკუსიო კლუბად", რითიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ისარგებლებდა განკერძოებისა და პარტიკულარიზმისადმი მიდრეკილების მქონე რეგიონული ("ასლანისტური") ელიტა.

4) პრეზიდენტის ძალზე ნიშანდობლივი და სიმპტომატური განცხადება იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში არსებობენ ჯგუფები, რომელთაც "არასდროს არაფერი კონსტრუქციული არ შეუქმნიათ, რევოლუციის დროს მხოლოდ შევარდნაძის სიძულვილი ამოძრავებდათ, მაგრამ როგორც კი კონსტრუქციული მუშაობა გახდა საჭირო, დაუბრუნდნენ ჩვეულ მდგომარეობას ანუ დესტრუქციულ ქრონიკულ ოპოზიციონერობას".

თანაც, უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი მხოლოდ პოლიტიკურ დაჯგუფებებს არ გულისხმობდა. არამედ ითვალისწინებდა იმ სოციალურად აქტიურ ჯგუფებსაც, რომელთაც მხოლოდ ანარქიული ქვენაგრძნობა ამოძრავებთ და საქართველოში (!) გარეწარი კომუნისტი-პარტიზანი ჩე გევარას სურათებიანი მაისურებით დარბიან, რაც პირადად მე ჩვენი ქვეყნის შეურაცხყოფად მიმაჩნია, ვინაიდან ყველა-ყველა და ის მთავარი, რაც მუდამ გვაერთიანებდა, სწორედ ანტიკომუნიზმი იყო. ეს კი "საკონცენტრაციო ბანაკის რომანტიკოს" გევარას თაყვანისცემასთან ნამდვილად შეუთავსებელია.

5) აშკარა ცვლილებები (უკეთესობისაკენ), რაც დაეტყო ქართულ პრესას (უპირველესად ელექტრონულ მედიას): სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობისა და თვითცენზურის თვისებათა რუდუნებით აღზრდა, რაშიც აშკარად იგრძნობა ხელისუფლების არც თუ გულგრილი მონაწილეობა.

6) სამართალდამცავ სტრუქტურათა გაძლიერება როგორც ინსტიტუციური, ასევე საკანონმდებლო თვალსაზრისით. სასამართლო ხელისუფლების პასუხისმგებლობის უზრუნველმყოფ მექანიზმთა განმტკიცება, რაც საქართველოს პირობებში, უფრო ანტიკორუფციულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე "სასამართლოს დამოუკიდებლობის" პრინციპთა დარღვევად.

7) ოლიგარქიის დათრგუნვა. ოღონდ აქ უნდა გავითვალისწინოთ უმთავრესი განსხვავება მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის ტაქტიკას შორის, რაც ამ ორი ფენომენის კარდინალურ შეუთავსებლობაზე მეტყველებს და ყოველგვარ საუბარს მათ "მსგავსებაზე" აბსურდად აქცევს: ერთი ამერიკელი მოღვაწე (თუ არ ვცდები, სტივენ სესტანოვიჩი) წერდა, რომ პუტინიც და სააკაშვილიც ებრძვიან ოლიგარქიას და არ აძლევენ მათ "ოლიგოპოლიების" შექმნის საშუალებას, მაგრამ თუ პუტინი თვით ოლიგარქებს ებრძვის ნაცვლად მათ მიერ მოსყიდული ბიუროკრატიისა, - სააკაშვილი პირიქით, - კორუმპირებულ ბიუროკრატიას ანადგურებს და ამ გზით ასუსტებს ოლიგარქიის გავლენას.

8) საკადრო პოლიტიკა. კადრების შერჩევა "გუნდური" პრინციპით – ქვეყნის სტრატეგიულ პრობლემათა გადაჭრის კონკრეტული პროექტის არსებობის უპირველესი ნიშანი.

შევარდნაძის "პლურალისტური რეჟიმის" პირობებში მთავრობა ყოველთვის ეკლექტური იყო, რადგან იმ დროს ხელისუფალს არანაირი პროექტი არ გააჩნდა სტატუსკვოსა და ძალაუფლების შენარჩუნების სურვილის გარდა. აი, ამ "ფსევდოპროექტის" ფარგლებში კი, სავსებით ბუნებრივი იყო ერთ სამთავრობო მაგიდასთან ზურაბ ნოღაიდელისა და ბაკურ გულუას ხილვა. თანაც, ორივე მათგანი კონკრეტული (თავთავიანთი) საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს და მისწრაფებებს გამოხატავდნენ.

შეგვიძლია "მეორედ მოსვლამდე" ვიმსჯელოთ, არის თუ არა ეს პლურალიზმი. ან "ჭეშმარიტი პლურალიზმია" თუ "ყალბი პლურალიზმი" - ამით არსი არ იცვლება. ხოლო ვისაც ჰგონია, რომ ამ დისკურსში "პლურალიზმზე" საუბარი უადგილოა, - მან უბრალოდ არ იცის, რა არის პლურალიზმი.

ამ რიგის გაგრძელება კვლავაც შეიძლება. თუმცა, საკმარისად მივიჩნიე იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ქვეყნის სტრატეგიულ პრობლემათა გადასაწყვეტად (უპირველესად ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, რის გარეშეც ნებისმიერ სხვა სტრატეგიულ პრობლემაზე საუბარი უაზრობაა) – პრეზიდენტი ახორციელებს კონკრეტულ პროექტს, რომელსაც პირობითად შეიძლება "კონსოლიდირებული დემოკრატიის პროექტი" ვუწოდოთ. თანაც, იგი არა თვითმიზანი, არამედ სტრატეგიულ პრობლემათა გადაწყვეტის პირობა და მეთოდია.

ასეთი გახლავთ, ჩემი აზრით, "ძირითადი ტენდენცია". პატივცემული პრეს-ომბუდსმენი კი ძალიან უცნაურად ირჯება – ნაცვლად იმისა, თვით პროექტზე იმსჯელოს (ან მისი არსებობა უარყოს, ოღონდ ასევე ფაქტებზე დაყრდნობით) – მე მაკრიტიკებს. თითქოს ან პროექტის ავტორი ვიყო, ან მისი განმახორციელებელი. როგორც ჩანს, იოლად გასაკრიტიკებლად მიმიჩნია.

აქვე დავძენ: თავად ვეთანხმები თუ არა ამ პროექტს – ჩემი პირადი საქმეა და მკითხველისთვის ნაკლებად საინტერესო მგონია.

ამრიგად, დავიწყოთ "მედია ომით" და თვალი მივადევნოთ ბატონ ნოდარ ლადარიას მსჯელობას. იგი წერს: "**თუ სტატიის ტექსტს ყურადღებით წავიკითხავთ, აღმოჩნდება, რომ ავტორი თავიდანვე უპირობოდ ეთანხმება იმას, რომ მედია მხოლოდ პროპაგანდისტული ბრძოლის იარაღია.**"

არაფერი მსგავსი მე არ მითქვამს. ვთქვი და კვლავ ვიმეორებ, რომ როდესაც საქმე ეხება ორი სახელმწიფოს ინტერესთა კონფლიქტს, მედია, დიახაც, ამ ინტერესთა დაცვისა და განხორციელების ინსტრუმენტია.

პუტინის რეჟიმი აქ აბსოლუტურად არაფერ შუაშია – რუსი ჟურნალისტების კატეგორიულ უმრავლესობას ანალოგიური პოზიცია ჰქონდა საქართველოს მიმართ ელცინის ეპოქაშიც, რაკი სულაც არ მიაჩნიათ, რომ "ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას".

მე ვწერდი, რომ ამ უმოწყალო ბრძოლის პროცესში, "მედია-ფაქტი" პოლიტიკური არგუმენტის მნიშვნელობას იძენს. თანაც, განურჩევლად იმისა, ეს ფაქტი რეალურია თუ მედია-ტექნოლოგიებით შექმნილი. მაინც იქმნება ფაქტი, რომელიც შემდგომ "მაგიდაზე იდება" ვენაში (ეუთო-ში) თუ ნიუიორკში (გაერო-ში) დისკუსიის დროს - ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ის, რაც ამ დღეების განმავლობაში "სამხრეთ ოსეთში" ხდებოდა, სწორედ ამგვარი ომის კლასიკური ნიმუშია. ანდრეი კოკოშინის ჩამოსვლაც "მედია-ფაქტის" დაფიქსირებას ისახავდა მიზნად: იგი ჯერ თბილისში ჩამოვიდა, კონფლიქტის ზონაში ჩასვლაზე საქართველოს ხელისუფლების ნებართვა მიიღო, შემდეგ შემოვლით გზაზე, რუს ჟურნალისტთა არმიასთან ერთად გაემგზავრა და მთელი მსოფლიოს თვალწინ აღმოჩნდა "ქართული მხარის მიერ გახსნილ ცეცხლქვეშ". რითიც ერთდროულად ორი, რუსეთისათვის სასურველი "მედია-ფაქტი" დააფიქსირა რუსი ჟურნალისტების მეშვეობით (ეს კადრები კი ევრონიუსმაც გადასცა): რომ 1) საქართველოს ხელისუფლება ან ვერ აკონტროლებს საკუთარ შეიარაღებულ ძალებს, ან 2) მასთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს, ვინაიდან შეთანხმებებს დაუყოვნებლივ არღვევს.

აქედან კი ლოგიკურად სურთ გამოიყვანონ დასკვნა, რომ ეუთო-მ არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოში (სამხრეთ ოსეთში) თავისი მანდატის გაფართოების, მით უმეტეს სამშვიდობო კონტინგენტის შეცვლის შესახებ, რაკი საქართველოს ხელისუფლებას ორიოდე საათის შემდგომაც კი არ შეუძლია, პასუხი აგოს საკუთარ დანაპირებზე და შეთანხმებები შეასრულოს.

ამიტომაც ვწერდი, რომ მიზანშეწონილი იყო ანდრეი კოკოშინისთვის თავაზიანად გვეთხოვა, კონფლიქტის ზონაში არ გამგზავრებულიყო. თუ მაინც გაემგზავრებოდა – საპასუხო არგუმენტი გვექნებოდა რუსულ "მედია ფაქტზე".

აქვე: სრული გაუგებრობაა ბატონ ნოდარ ლადარიას ფრაზა, რომ კოკოშინი ქართველ მეომრებს შემოვლით გზაზე უნდა შეეშვათ, რაკი ქართულ მხარეს იმ პოზიციებზე დასამალი არაფერი ჰქონდა. რას ქვია, "დასამალი არაფერი გვქონდა?!" – სამხედრო ტექნიკის განლაგების, სანგრების პერიმეტრის, შეიარაღების ოდენობისა და ხარისხის თვალსაზრისით იქ გვქონდა დასამალი თუ გვქონდა, სადაც ჩვენი გმირი ბიჭები იღუპებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იქ არაფერს არავის "დავუმალავდით", მსხვერპლი ათჯერ მეტი იქნებოდა.

გენერალ ნაბზდოროვს, რუსეთი, რა თქმა უნდა, არ განიხილავს "მედია პერსონაჟად", მაგრამ მისი სალდაფონურად ბრიყვული განცხადებები საქართველოს სასურველი არგუმენტის დაფიქსირების საშუალებას აძლევდა. სვიატოსლავ ნაბზდოროვი ხომ ჟირინოვსკი არ არის: საქართველოს ექნებოდა საშუალება, მსოფლიო ფორუმებზე პრობლემის განხილვისას ეთქვა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს (!) ხელმძღვანელობს გენერალი, რომელიც არ მალავს თავის სურვილს, საქართველო რუსეთის ფედერაციის წევრად იხილოს, ანუ ჩვენი ქვეყნის ანექსია მოახდინოს.

სწორედ ამიტომ უბრძანეს მოსკოვიდან, ენისათვის კბილი დაეჭირა და ბოლო დროსაც აშკარად ცდილობს, ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას საკუთარ სიტყვებს თავისივე პატარა ჭკუა "დაატანოს".

სამაგიეროდ, ბევრად უფრო ჭკვიანი და ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, ამ თვალსაზრისით, "სამხრეთ ოსეთის" თავდაცვის მინისტრი, ანატოლი ბარანკევიჩი, რომელიც რუსეთის სამხედრო დაზვერვამ მოავლინა ცხინვალში.

საქართველოს შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის უფროს გივი იუკურიძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან (ამ თვალსაზრისით იუკურიძის გამოუცდელობის გამოყენებით) გაიძვერულად მოახერხა იმ "მედია-ფაქტის" დაფიქსირება, რომ თითქოს ყბადაღებული "მესამე ძალა" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროა და ვითომდაც (რაც მთავარია) გენერალი იუკურიძე ამას დაეთანხმა. ეს, რასაკვირველია, აშკარა ტყუილი იყო, მაგრამ ვინც რუსეთის ტელევიზიას ადევნებს თვალს, - სათანადოდ დამონტაჟებული სიუჟეტი ხუთივე რუსულმა არხმა დღეში რამდენჯერმე გადასცა სათანადო კომენტარებით.

ახლა, სანამ უმთავრეს თემაზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთი საკითხი. პრეს-ომბუდსმენმა ყურადღების ღირსად ჩათვალა ემილ პაინის (სხვათა შორის, საშუალოზე ბევრად დაბალი დონის რუსი ექსპერტის – რუსულ "ექსპერტულ თანამეგობრობაში" მასზე ბევრად ძლიერი პოლიტოლოგები მრავლად არიან) სიტყვები, რომ **დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში მოსული ყველა მთავრობა თავის პოლიტიკას დეკლარირებულად ამყარებს დემოკრატიულ ღირებულებებზე. სწორედ ეს იწვევს რუსეთის უკმაყოფილებას.**

ჩვენი პრეს-ომბუდსმენისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ ემილ პაინის ეს მოსაზრება (თითქოს რუსეთს დემოკრატიული ღირებულებებისადმი საქართველოს ხელისუფალთა დეკლარირებული (!) ერთგულება აღიზიანებს), არის მტკნარი სისულელე.

სინამდვილეში, ჩვენი ქვეყნისადმი რუსული ისტებლიშმენტის დამოკიდებულება იმითაა განპირობებული, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის მხოლოდ საქართველო პოზიციონირებს, როგორც რუსეთის აშკარა (!) მოწინააღმდეგე და "მოპაექრე".

არც ერთი სხვა ყოფილი "მოკავშირე რესპუბლიკა" ამას არ აკეთებდა (მათ შორის, არც მოლდოვა და აზერბაიჯანი, რომელთაც მოსკოვისადმი არანაკლები პრეტენზია აქვთ და ზურგს ნატო-ს წევრი რუმინეთი-თურქეთი უმაგრებთ) და არ აკეთებს.

გაგრძელება A8 გვერდზე

მოკლედ

## ბორჯომის რაიონს ელექტროენერგია შეეზღუდება

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობამ ბორჯომის რაიონის მომხმარებლებს ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელად 3 დღის ვადა მისცა.

როგორც ენერგოკომპანიაში განაცხადეს, თუ 23 აგვისტომდე რაიონში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლები არ გაიზრდება, ბორჯომის რაიონი ელექტროენერგიას მკაცრი შეზღუდვებით მიიღებს.

ბორჯომის რაიონი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ყველაზე "ურჩი" გადამხდელია. იქ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 15-30 პროცენტს არ აღემატება. კომპანიას კი დაგეგმილი აქვს, აღნიშნული მაჩვენებელი 45 პროცენტამდე გაზარდოს. თუ ბორჯომელებს გადახდის კულტურა არ ჩამოუყალიბდათ, რაიონის ელექტრომომარაგება გადახდის მაჩვენებლის პროპორციულად, ანუ შეზღუდვებით მოხდება, - აცხადებენ ენერგოკომპანიაში.

აღნიშნული ულტიმატუმი გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის წარმომადგენლებმა ბორჯომელებს 20 აგვისტოს გამართული აქციის დროს წაუყენეს.

რაიონის მოსახლეობამ, ელექტროენერგიის მიწოდების მოთხოვნით, ბორჯომი-ბაკურიანის საავტომობილო გზა გადაკეტა. თუმცა, როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, ელექტრომომარაგების შეზღუდვის შესახებ, როგორც რაიონის ადგილობრივი ხელმძღვანელობა, ასევე მოსახლეობა, წინასწარ ინფორმირებული იყო.

ენერგოკომპანიამ რაიონის გამგეობაში წერილობითი შეტყობინება გაგზავნა, ხოლო მოსახლეობას ინკასატორები აფრთხილებდნენ, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მათ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდებოდა, - აცხადებენ ენერგოკომპანიაში.

მათი ინფორმაციით, ბორჯომის რაიონს სრული ელექტრომომარაგებისათვის 6-7 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგია ესაჭიროება, გადახდის დაბალი მაჩვენებლების მიუხედავად, რაიონი დღე-ღამეში 3-4 მეგავატ ელექტროენერგიას მოიხმარს.

**პრაიმ-ნიუსი**

## "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**23 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
თემქის XI მიკრორაიონის I და II კვარტლების მაცხოვრებლებს.

**23 აგვისტოს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფელ კოჯრის მაცხოვრებლებს

**24 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
მუხიანის III, IV ა და ბ მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

**24 აგვისტოს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ბაგების დასახლების, ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), წყნეთის გზატკეცილის, ირაკლი აბაშიძის, ბერძენიშვილის, ფალიაშვილის, ცხვედაძის, კავსაძის, რაზმაძის, არაყიშვილის, დარიალის, ტიციან ტაბიძის, წყნეთის, თამარაშვილის, ყიფშიძის, მოსაშვილის, თაქთაქიშვილის, ბარნოვის, შოვის, უჩანეიშვილის ქუჩების, ვერეს ხევის მაცხოვრებლებს.

## აჭარის საბანკო სექტორში თავისუფალი ნიშები ნელა ივსება

*მაისის რევოლუციის შემდეგ აჭარაში განსაკუთრებით კომერციული ბანკები გააქტიურდნენ. თუკი გასულ წელს რეგიონში მხოლოდ რვა კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა, წელს მათ კიდევ ხუთი დაემატა. "საზღვაო ბანკის" ლიკვიდაციის შემდეგ, დღეს აჭარაში კლიენტებს 12 კომერციული ბანკი ემსახურება.*

ეთერ მამულაშვილი

1 აგვისტოს მონაცემებით, წელს მათ მიერ გაცემული კრედიტების რაოდენობამ 24 მილიონ ლარს გადააჭარბა. აქედან ეროვნულ ვალუტაში მხოლოდ 3.458.000 ლარი გაიცა, დანარჩენი 21.462.000 კი - სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში, ძირითადად, ამერიკულ დოლარებში.

წლის პირველ ნახევარში გაცემული კომერციული სესხების მოცულობით, აჭარაში "პროკრედიტ ბანკი" ლიდერობს – 11.352.000 ლარით, რაც პირველ ექვს თვეში გაცემული სესხების თითქმის 46 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა "საქართველოს ბანკი" – 7.135.000 ლარით – 28 პროცენტი, მესამეზე – "სახალხო ბანკი" 2.974.000 ლარით – 12 პროცენტი.

როგორც წესი, წლების განმავლობაში ყველაზე მეტ საკრედიტო სესხებს აბაშიძის ფავორიტი, "საზღვაო ბანკი" გასცემდა. წელსაც, ლიკვიდაციამდე ორი თვით ადრე, ბანკმა 35 მილიონამდე ლარის სასესხო ხელშეკრულების გაფორმება მოასწრო.

აჭარის ცენტრალური ბანკის ინფორმაციით, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ერთგვარ ფილიალს წარმოადგენს, წელს აჭარაში კომერციული ბანკების მიერ გაცემული მოკლევადიანი სესხების ოდენობამ 12.338.000 ლარი, ხოლო გრძელვადიანმა – 11.869.000 ლარი შეადგინა. ვადაგადაცილებული სესხის მოცულობა კი, უკანასკნელი მონაცემებით, 610 ათას ლარს არ აღემატება.

წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, ძირითადად გაცემულია სამომხმარებლო სესხები ფიზიკურ პირებზე და სესხები მცირე და საშუალო ვაჭრობაზე.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაცემული სესხების თითქმის ერთმილიონიანი მატება დაფიქსირდა. შარშან პირველ შვიდ თვეში აჭარაში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა ("საზღვაო ბანკის" გამოკლებით) 22.684.000. ლარის მოცულობის კრედიტი გასცეს. 2003 წლის პირველ შვიდ თვეში გაცემული სესხების 67 პროცენტი "საზღვაო ბანკზე" მოდის, დანარჩენი 33 პროცენტი – 7 კომერციულ ბანკზე. შარშან იანვრიდან ივლისის ჩათვლით "საზღვაო ბანკმა" ორჯერ მეტი (48.157.000 ლარი) მოცულობის სესხი გასცა, ვიდრე ერთად აღებულმა სხვა 7-მა კომერციულმა ბანკმა.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებს, წლის პირველ ნახევარში მათი მოცულობა 15 მილიონს აღწევს, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თუკი "საზღვაო ბანკის" სადეპოზიტო ანგარიშებს არ ჩავთვლით, თითქმის ორი მილიონი ლარით მეტია. შარშან პირველ ორ კვარტალში "საზღვაო ბანკში" შეტანილმა დეპოზიტებმა კი 92 მილიონ ლარს გადააჭარბა.

სულ ახლახან, აჭარაში კიდევ ერთი კომერციული ბანკის - "თი-ბი-სი ბანკის" ფილიალი გაიხსნა, რომელიც ფუნქციონირებას უახლოეს მომავალში დაიწყებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეგიონში საკუთარი ფილიალების გახსნას კიდევ ორი ბანკი – "ქართუ" და "ბაზისბანკი" აპირებს.

რაც შეეხება არასაბანკო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ჯერჯერობით, აჭარაში ახალი ოფისი არც ერთს არ გაუხსნია. თუმცა, როგორც ამბობენ, 2005 წლისთვის რამდენიმე მათგანი აქ წარმომადგენლობის გასახსნელად ემზადება. რამდენიმე წელია, აჭარაში მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის - "World Vision"-ისა და "კონსტანტა"-ს ფილიალები ფუნქციონირებს.

## საკრედიტო ორგანიზაციები რუსეთის წინააღმდეგ

*"იუკოს"-ის საქმის შედეგები სახეზეა: გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რამოდენიმე ევროპულმა ბანკმა რუსულ ტრანსნაციონალურ კორპორაცია BP-ს "იუკოს"-ის საქმის გამო კრედიტზე უარი უთხრა. ეს რუსებისთვის განგაშის მომასწავებელი შემთხვევაა. რუსი ანალიტიკოსები შეშფოთებულნი არიან, თუმცა იმედოვნებენ, რომ აღნიშნული ფაქტი რუსეთის მსოფლიო საფინანსო ბაზრიდან იზოლირებას არ ნიშნავს.*

ორმა ევროპულმა საინვესტიციო ბანკმა – ჰოლანდიურმა ING-მ და ფრანგულმა Societe Generale-მა გააკეთეს განცხადება იმ ბანკების კონსორციუმიდან გამოსვლის თაობაზე, რომლებმაც BP-ს კრედიტი უნდა გამოუყოს, იუწყება ბრიტანული გაზეთი Financial Times-ი. თავდაპირველად გასაცემი კრედიტის მოცულობა 600 მილიონ დოლარს შეადგენდა, თუმცა ამჯერად იგი 499-500 მილიონ დოლარამდე შემცირდება.

ბანკირები თავის გადაწყვეტილებას იმ ფაქტით ხსნიან, რომ "იუკოს"-ის საქმე რუსეთში საკუთრების უფლების მდგომარეობის გაუარესების სიგნალს იძლევა. **"ჩვენ ეჭვი არ გვეპარება BP-ის გადახდისუნარიანობაში, მაგრამ პრობლემა რუსულ რისკშია,"** – აცხადებენ ისინი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან "იუკოს"-ზე მიტანილი იერიში სხვა რუსულ წამყვან კომპანიას საერთაშორისო საკრედიტო ბაზარზე სირთულეებს უქმნის.

*24 საათი*

## "პარმალატი" ამერიკულ ბანკს უჩივის

თორნიკე შარაშენიძე

იტალიური კვების გიგანტის, "პარმალატის" გარშემო ატეხილი სკანდალი კვლავაც გრძელდება. კომპანია თავის ყოფილ აუდიტორებს უჩივის და თავისი პრობლემების ერთ-ერთ მიზეზად მათ აცხადებს. ამჯერად "პარმალატის" სამიზნედ ამერიკული საინვესტიციო ბანკი "სიესეფბი" იქცა. იტალიური გიგანტი ამ უკანასკნელს 250 მილიონ ევროს სთხოვს. ამ თანხას (თუკი მისი ამოღება მოხერხდა) "პარმალატი" თავისი ვალების გასტუმრებას მოახმარს.

"პარმალატის" გაკოტრებაში ლომის წილი მის ყოფილ ხელმძღვანელობას უდევს. სკანდალის შემდეგ ხელმძღვანელობა, ცხადია, გადადგა და ის ცალკე აგებს პასუხს. იტალიის მთავრობის მიერ დანიშნული კომპანიის ახალი თავკაცები კი ყოფილ აუდიტორებს მისდგნენ, რომლებმაც, მათი თქმით, ასევე ითამაშეს დიდი როლი "პარმალატის" კრახში.

250 მილიონი ევრო შემთხვევით არ გაჩენილა. საქმე ისაა, რომ იტალიის კანონმდებლობის მიხედვით "პარმალატს" უფლება აქვს უკან მოითხოვოს ის თანხა, რომელსაც გაკოტრებამდე ერთი წლით ადრე უხდიდა ბანკებს.

"სიესეფბი"-ის გარდა "პარმალატმა" კიდევ არაერთი ბანკის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი. ესენია "დოიჩე ბანკი," "სიტიგრუპი," შვეიცარიის გაერთიანებული ბანკი. საჩივრის ობიექტებად იქცნენ აგრეთვე აუდიტორები "დელუა ანდ ტუში" და "გრანტ ტორნტონი."

"პარმალატის" გაკოტრებულად გამოცხადებას დიდი სკანდალი უძღოდა წინ. გაირკვა, რომ კომპანია წაგებას მალავდა და ის თანხები და ქონება, რომელსაც იწერდა, მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. გაირკვა ასევე, რომ ამ პრაქტიკას "პარმალატი" 15 წლის განმავლობაში იყენებდა.

"პარმალატის" საქმის გამო აღძრულ გამოძიებას არა მხოლოდ კომპანიის თანამშრომლები შეეწირნენ. "ბენქ ოფ ამერიკას" ყოფილი თანამშრომელი ლუკა სალა გამოძიებამ უკვე დაკითხა. დაკითხვას სალას მიერ "ლა რეპუბლიკასათვის" მიცემული ინტერვიუ მოჰყვა, სადაც ეჭვსქვეშ მყოფმა ფინანსისტმა თავი იმართლა და საკუთარი თავიცა და საკუთარი ბანკიც "პარმალატის" ბინძური მაქინაციებსი მსხვერპლად გამოაცხადა.

სალა "ბენქ ოფ ამერიკას" იტალიური კორპორაციული-საფინანსო შტოს თავკაცი გახლდათ და მისი ორგანიზაციის ერთ-ერთი პარტნიორი სწორედ "პარმალატი" იყო. როცა ეს უკანასკნელი გაკოტრდა, იტალიელი სამართალდამცავები ფრიად დააეჭვა იმ ფაქტმა, რომ "პარმალატის" პარტნიორი ბანკი არაფერს უწყოდა კომპანიაში შექმნილი კატასტროფული ფინანსური ვითარების შესახებ. გამოძიებას ბუნებრივად დაებადა ვერსია იმის თაობაზე, რომ ლუკა სალას მეთაურობით "ბენქ ოფ ამერიკას" იტალიური შტო, ალბათ გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, თვალს ხუჭავდა "პარმალატის" პრობლემებზე და ხელს უწყობდა კომპანიის ფასიანი ქაღალდების გაყიდვას. მოგეხსენებათ, ამგვარი სამწუხარო პრეცედენტი უკვე არსებობს ახლო წარსულში გაკოტრებული ამერიკული გიგანტების "ენრონისა" და "ანდერსენის" სახით, როცა ამ უკანასკნელმა არაფერი იცოდა "ენრონში" შექმნილი ვითარების შესახებ და შედეგად მართლმსაჯულების მთელი რისხვა სწორედ მას დაატყდა თავს.

ჯერჯერობით "პარმალატი" "ბენქ ოფ ამერიკას" არ უჩივის.

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში
მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში
უკვე წლიური 17%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58

# კრემლი კავკასიაში გამარჯვებისთვის ემზადება

პირველი გვერდიდან

ამ უკანასკნელისვე მონაცემებით, საარჩევნო უბნები აღჭურვილია ყველა თანამედროვე ტექნოლოგიით, რაც არჩევნების უსაფრთხოდ და მშვიდობიანად ჩატარებისთვისაა აუცილებელი. დღეისათვის უკვე მოგვარებული იქნება ის პრობლემაც, რასაც იძულებით გადაადგილებულ პირთა არჩევნებში მონაწილეობის სირთულე ქმნის.

ოფიციალური რუსეთის ინტერესების დასადასტურებლად საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია. საარჩევნო მარათონში აშკარა ლიდერად ჩეჩნეთის ამჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი და კრემლის ფავორიტი ალუ ალხანოვი მიიჩნევა. რაც შეეხება შამილ ბასაევსა და ასლან მასხადოვს, ისინი საპრეზიდენტო კანდიდატთა სიაში ვერ მოხვდნენ იმ "უბრალო" მიზეზის გამო, რასაც მუდმივი საცხოვრებელი მისამართის არქონა ჰქვია. თუმცა, როგორც რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრ ვეშნიაკოვი აცხადებს, "ჩეჩნეთის საარჩევნო კომიტეტის ხელმძღვანელმა არაერთხელ მოუწოდა ტყეს თავშეფარებულ მებრძოლებს, გამოსულიყვნენ საფარიდან და კანონის შესაბამისად გაევლოთ რეგისტრაცია, მაგრამ ამაოდ".

სენტიმენტალურ გრძნობებს აღძრავს აჰმად კადიროვის დაბადების დღის წინ გუშინ რუსეთის პრეზიდენტის მიერ გადაგმული მოულოდნელი ნაბიჯი. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე "დიდი რუსეთის დემოკრატი მმართველი" ჩეჩნეთში, აწ გარდაცვლილი აჰმად კადიროვის მშობლიურ სოფელში ცენტოროიში ჩადის და კრემლის ერთგული მებრძოლის საფლავს ყვავილებით ამკობს. არანაკლებ გულისამაჩუყებელია მისი სიტყვებიც: "ჩვენ დავკარგეთ გულწრფელი, მამაცი, ნიჭიერი და წესიერი ადამიანი. მისი მიზანი მხოლოდ საკუთარი ხალხისთვის თავგანწირული სამსახური იყო. ვალდებულნი ვართ, ბოლომდე მივიყვანოთ თავისი ხალხის საკეთილდღეოდ აჰმად კადიროვის დაწყებული საქმეები. ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ ჩეჩენი ხალხისთვის, მათთვის, ვინც ამ რესპუბლიკაში ცხოვრობს, მას საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევს და ცხადია, რუსეთისათვის," - აღნიშნა პრეზიდენტმა. თავის მხრივ, პუტინს არც ალუ ალხანოვი ჩამორჩა სამადლობელ და საქებარ სიტყვებში: "მე მადლობას მოგახსენებთ, რომ ამ რთულ პერიოდში შეძელით ჩამოსულიყავით ჩეჩნეთში, რათა პატივი მიგეგოთ ჩვენი, აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის ხსოვნისთვის, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურეთ თქვენი დამოკიდებულება კადიროვისადმი და ჩეჩენი ხალხისადმი. ჩვენ მადლობელი ვართ გულისხმიერებისთვის და გპირდებით, რომ აჰმად კადიროვის პოლიტიკურ კურსს დასასრული არ უწერია".



მოქმედების გუნდური პრინციპი - არჩევნებში გამარჯვების გარანტი.

კადიროვის საფლავზე ურთიერთკეთილგანწობის გამოხატვის შემდეგ ვლადიმირ პუტინი, ალუ ალხანოვი და რამზან კადიროვი სოჭში გაემგზავრნენ, სადაც მათ საქმიანი საუბარი ელოდათ. საუბრის ძირითად თემებს შეადგენდა ჩეჩნეთში დაკარგულ საცხოვრებელ სახლებზე დაზარალებულთათვის კომპენსაციის გადახდა, ჩეჩნეთში მობილური სატელეფონო ქსელების განვითარება და ძალოვანი სტრუქტურების ურთიერთქმედების ხარისხის გაზრდა.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, ჩეჩნეთის მომავალმა სავარაუდო პრეზიდენტმა რუსი მფარველისაგან ჩეჩნეთის ეკონომიკის აღდგენისათვის აუცილებელი თანხების მოძიება მოითხოვა, რაზეც პუტინის თანხმობა მიიღო კიდეც. "ჩვენ დიდხანს ვიფიქრეთ და შეგვიძლია, ასეთი გეგმა შემოგთავაზოთ - ჩეჩნური ნავთობისგან, რომლის ნაწილობრივ ექსპორტსაც რუსეთი საზღვარგარეთ ახორციელებს, შემოსული თანხები რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური სფეროს განვითარებას მოვახმაროთ. ეს, გარკვეულწილად, ფედერალურ ბიუჯეტსაც მოუხსნიდა ტვირთს," - განაცხადა ალხანოვმა. "გეთანხმებით, ეს მართლაც გონივრული წინადადებაა. თუ საჭირო გახდება, სახელმწიფო სათათბიროს მივმართავ საგადასახადო კანონში ცვლილებების შეტანის თხოვნით. ეს შეამსუბუქებს ფედერალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს," - თავის მხრივ მიუგო პუტინმა.

როგორც ჩანს, გუნდური პრინციპით მოქმედების გეგმა ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში კრემლის გამარჯვების მყარი გარანტია.

# ინდოეთი პაკისტანს საერთაშორისო ტერორიზმში ადანაშაულებს

ლევან გელაშვილი

ინდოეთის მმართველმა პარტიამ პაკისტანი საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. შესაბამისი ხასიათის განცხადება მოცემულია რეზოლუციაში, რომელიც "ინდოეთის ეროვნული კონგრესის" ყრილობის დასრულებისას მიიღეს. დოკუმენტში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ დღეს ინდოეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ ტერაქტებზე მთელ პასუხიმგებლობას პირადად ისლამაბადს აკისრებს, თუმცა კონტექსტიდან ჩანს, რომ საუბარი სწორედ პაკისტანზეა.

"როგორც ჩანს, ჩვენ საქმე გვაქვს მეზობელი ქვეყნის მთავრობასთან, რომელსაც საკუთარი დაპირებების შესრულება არ უნდა ან არ შეუძლია," – ნათქვამია დოკუმენტში.

ინდოეთი პაკისტანს თავის ტერიტორიაზე ისლამური ფუნდამენტალისტების მომზადებასა და შეიარაღებაში ადანაშაულებს, რომლებიც შემდგომ თავიანთ ტერორისტულ საქმიანობას ქაშმირში ეწევიან.

ცოტა ხნის წინ, პირველად ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, ინდოეთსა და პაკისტანს შორის უმაღლესი დონის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრისას ბირთვულ გამოცდებზე მორატორიუმის გამოცხადების თაობაზე შეთანხმება იქნა მიღწეული. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ორივე მხარემ შორი რადიუსის მოქმედების რაკეტების გამოცდა განახორციელა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარე მუდმივად არღვევს შეთანხმებებს. არ წყდება ორმხრივი ტერაქტებიც.

ინდოეთსა და პაკისტანს შორის კონფლიქტს სათავე 1947 წელს დაედო, როდესაც ბრიტანეთმა ინდოეთს დამოუკიდებლობა მიანიჭა. კონფლიქტის საფუძველი კი ის გახლავთ, რომ ინდოეთის მუსულმანურმა დიასპორამ უარი თქვა რეგიონულ ავტონომიაზე და გამოყოფა მოისურვა, რის შედეგადაც ახალი სახელმწიფო – პაკისტანი წარმოიშვა. ინდოეთის ორ სახელმწიფოდ დაყოფისთანავე ინდუსებს, მუსულმანებსა და სიკხებს შორის შეტაკებები დაიწყო. ამ ქვეყნებმა სამი სამხედრო კონფლიქტი გადაიტანეს – 1947-1949 წლებში, 1965 წელს და 1971-1972 წლებში. ბოლო კონფლიქტის შედეგად 60 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. თავის დროზე, ინდოეთმა ჩინეთთან და სსრკ-თან კავშირი შექმნა, ხოლო პაკისტანს აშშ მფარველობდა. ბოლო 50 წლის მანძილზე ქაშმირში მდგომარეობა საბრძოლო ქმედებების ზღვარზე იმყოფება. ექვსი წლის წინ ინდოეთმა და პაკისტანმა პირველი ბირთვული გამოცდები ჩაატარეს. მას შემდეგ, ეს ქვეყნები სამხედრო კონფლიქტის საფრთხის წინაშე არაერთგზის დამდგარან. მოცემულ ეტაპზე, ქაშმირის რეგიონში მილიონამდე პაკისტანელი და ინდოელი სამხედრო იმყოფება. მოლაპარაკებების მსვლელობისას სამხედრო კონტინგენტის შემცირებაც იგეგმებოდა, თუმცა ეს ვერ განხორციელდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შაბათს პაკისტანში მსხვილმასშტაბიანი ტერაქტების მომზადებაში ეჭვმიტანილი ექვსი პირი დააპატიმრეს. როგორც ქვეყნის ინფორმაციის მინისტრმა რაშიდ ახმედმა განაცხადა, ტერაქტები, რომლის მომზადებაშიც დაპატიმრებული პირები იღებდნენ მონაწილეობას, აგვისტოს პირველ ნახევარში იყო დაგეგმილი. პოტენციურ სამიზნეთა რიცხვში ქვეყნის პრეზიდენტის ფერვეზ მუშარაფის რეზიდენცია, პაკისტანში აშშ-ს საელჩო და ფენჯაბის პროვინციის წარმომადგენლის ოფისი შედიოდა.

დაპატიმრებულთა შორისაა ეგვიპტის მოქალაქე, რომელიც, სავარაუდოდ, ჯგუფის მთავარი კოორდინატორი გახლდათ. ამჟამად ტერორისტული დაჯგუფების კიდევ 3 წევრი იძებნება.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს პაკისტანის სპეცსამსახურების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპერაცია ალ ქაიდას ორი მაღალჩინოსანის დაპატიმრება გახლავთ. ერთ-ერთი მათგანი, ტანზანიელი ახმედ ხალფან გალიანი, აშშ-ს სპეცსამსახურების მონაცემებით, ნაირობსა (კენია) და დარ-ეს-სალამში (ტანზანია) ამერიკის საელჩოების აფეთქებაში მონაწილეობდა. აღნიშნული ტერაქტების შედეგად 200 ადამიანზე მეტი დაიღუპა, მათ შორის აშშ-ს მოქალაქეებიც. ასევე არსებობს ეჭვი, რომ გალიანი ლონდონის ჰითროუს აეროპორტზე ტერაქტის მომზადებაშიც იღებდა მონაწილეობას. ტერორისტის დაკავებისათვის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 25 მილიონიანი ჯილდო დააწესა. მეორე დაპატიმრებული კომპიუტერების სპეციალისტი მუჰამედ ნაიმ ნურ ხანი გახლავთ, რომლის პორტატულ კომპიუტერებსა და ლაზერულ დისკებზეც აშშ-სა და ევროპაში მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ სრული ინფორმაცია ინახებოდა.

პაკისტანი ტრადიციულად მიიჩნევა საერთაშორისო ტერორიზმის თავშესაფარად. მის მიმართ არაერთი ბრალდება გაისმა, რომ მის ტერიტორიაზე ალ ქაიდას ბაზებია განთავსებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
### აცხადებს კონკურსს
### ვაკანტურ თანამდებობაზე



ილია ჭავჭავაძე

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტი შედგება მთელი რიგი კომპონენტებისა და ქვეკომპონენტებისაგან, რომელთაგან თითოეულს კონკრეტული მიზნები გააჩნია.

**A. დაწყებითი და ზოგადი საშუალო განათლების მიზნების გარდაქნა**

- **A1. დაწყებითი და ზოგადი საშუალო განათლების სისტემისათვის ახალი სასწავლო გეგმების შემუშავება და დანერგვა,** რაც უნდა განხორციელდეს შედეგების მიხედვით. კერძოდ, ახალმა სისტემამ მოსწავლეებს უნდა მისცეს დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები.
- **A2. ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ახალი სისტემის ჩამოყალიბება,** რომელსაც ექნება შესაძლებლობა შეაფასოს სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის მიღწევები, ხელი შეუწყოს განსხვავებული პედაგოგიური მიდგომების შემუშავებას და უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის წინსვლა სწავლის ხარისხის თვალსაზრისით.
- **A3. განათლების სფეროს მუშაკების პროფესიული განვითარება**, რომლის ამოცანაა შექმნას სიცოცხლისუნარიანი, მოქნილი და მდგრადი პროფესიული განვითარების სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს განათლების სფეროს მუშაკების პროფესიული კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას.
- **A4. ხარისხიანი სასწავლო მასალებისა და ახალი სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა** ახალი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად.

**B. პოლიტიკისა და მართვის საკითხების გაძლიერება**

- **B1. პოლიტიკის შემუშავების განვითარება** მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის გზით; განათლების სისტემის დეკონცენტრაცია (დეცენტრალიზაცია).
- **B2. განათლების მართვის ეფექტური და სანდო საინფორმაციო სისტემის შექმნა.**

**C. პროექტის მართვის ხელშეწყობა**

- **C1. პროექტის საკოორდინაციო ცენტრის განვითარება და დაფინანსება.**
- **C2. საზოგადოებრივ-საინფორმაციო და საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო სტრატეგიის განხორციელება.**

B კომპონენტის მიზანია, ხელი შეუწყოს:

ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე მართვის სიმძლავრეების გაუმჯობესებას, რათა ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენებას უფრო ეფექტური, ეფექტიანი და რაციონალური ხასიათი მიეცეს;

ექსპერიმენტული ინიციატივების განხორციელებას, რათა სისტემა უფრო ეფექტური და ეფექტიანი გახდეს;

სათანადო მექანიზმების ჩამოყალიბებას, რათა გაიზარდოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საჯაროობა, გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება.

ფინანსური ხელშეწყობით სარგებლობს შემდეგი სახის საქმიანობა: ა) ისეთი საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ემსახურება ეფექტიანობისა და გამჭვირვალეობის ზრდას ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენებისას და ყველასათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას, რისთვისაც მიღებულ უნდა იქნეს რიგი ისეთი გადამჭრელი ზომებისა, როგორებიცაა ახალი ფინანსური ფორმულებისა და დაფინანსების მექანიზმების შემოღება, კადრების მართვის ახალი პოლიტიკის შემუშავება, სკოლების ოპტიმიზაციისა და კონსოლიდაციის გეგმების განხორციელება, სასკოლო შენობებისათვის ახალი სამშენებლო-სარემონტო სტანდარტების დადგენა; ბ) ექსპერიმენტული ინიციატივების განხორციელება დარგის რესტრუქტურიზაციის, მისი ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით; მათ შორის, ცენტრალურ დონეზე და გარკვეულ რაიონებში გამყოფი პაკეტების ექსპერიმენტირება მასწავლებელთა და ადმინისტრატორთა გარკვეული ჯგუფებისათვის, რომლებიც ასეთ სურვილს გამოთქვამენ; გ) განათლების მართვის ეფექტური და სანდო საინფორმაციო სისტემის შემუშავება და ამოქმედება.

**B კომპონენტის კოორდინატორი**

**ამოცანები და უფლება-მოვალეობები:**

- პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მითითებების შესაბამისად უზრუნველყოს კავშირი და ეფექტური თანამშრომლობა შესაბამისი კომპონენტის ქვეკომპონენტებს შორის;
- პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორთან თანამშრომლობა კომპონენტის შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას, მოცემული ვარიანტების ანალიზსა და პროექტის განხორციელების პროცესში პრობლემათა გადაწყვეტის გზების შეთავაზებას;
- შესაბამისი ქვეკომპონენტების კოორდინატორებისათვის დახმარების გაწევა პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით, როგორებიცაა წლიური სამუშაო გეგმების შემუშავება და ტექნიკური დავალების შედგენა; აგრეთვე მათთვის დახმარების გაწევა ადგილობრივი და უცხოური ტექნიკური დახმარების ექსპერტების შერჩევაში, რაც შესაბამისი ქვეკომპონეტების შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს;
- B კომპონენტის მოსამსახურეებისათვის ზოგადი რჩევების მიცემა შესყიდვებისა და ფინანსური მართვის საკითხებში პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- ამოცანების დროულად და ეფექტიანად გადაჭრის მიზნით ეფექტური კავშირების დამყარება B კომპონენტსა და პროექტის საკოორდინაციო ცენტრის შესყიდვებისა და საფინანსო განყოფილებებს შორის;
- პროექტით გათვალისწინებული მიზნების დროულად და ეფექტურად რეალიზაციის მიზნით B კომპონენტისთვის განსაზღვრული საქმიანობის სათანადო წესით განხორციელება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორისათვის დახმარების გაწევა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების, მათ შორის სამუშაო გეგმებისა და ბიუჯეტის მომზადება-გადასინჯვის საქმეში;
- კომპონენტის ფარგლებში რეგულარული შეხვედრების დაგეგმვა და მათში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე სხვადასხვა ქვეკომპონენტებს შორის ეფექტური კავშირებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებისა და კონსულტანტების ვიზიტებში მონაწილეობის მიღება და თავიანთ საქმიანობაში მათთვის დახმარების გაწევა;
- ქვეკომპონენტების კოორდინატორებისათვის დახმარების გაწევა ქვეყნის შიგნით ტრეინინგების, აგრეთვე ქვეყნის გარეთ სასწავლო პროგრამებისა და ტურების ორგანიზებაში;
- ქვეკომპონენტების კოორდინატორებისათვის დახმარების გაწევა პროექტის მართვის ანგარიშების (PMR), აგრეთვე პროექტის განხორციელების კვარტალური და ნახევარი წლის ანგარიშების მომზადებაში.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება
- ქართული და ინგლისური (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი) ენების კარგი ცოდნა
- მეტყველებისა და წერის კარგი უნარ-ჩვევები
- საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები (Microsoft Office; Microsoft Excel; Microsoft Power Point; და უპირატესობა მიენიჭება PhotoShop-ის ცოდნას)
- გამოცდილება საჯარო სამსახურის საკითხებში (სასურველია)
- საქართველოს განათლების სისტემის ღრმა ცოდნა (სასურველია)
- მრავალმხრივი ამოცანების კოორდინირებისა და გადაჭრის უნარი

**ანგარიშვალდებულება**

B კომპონენტის კოორდინატორი ანგარიშვალდებული იქნება პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ლია მეტრეველი**

წარსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი.**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# ხელისუფლების სერიოზული წარმატება

### სს "მადნეულს" ახალი სუნთქვა გაეხსნა

ნატო ივანიაძე

*"ვარდების რევოლუციის" თანამდევი პროცესები, რომლებიც, თავისთავად, გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ბუნებრივია, იმ გზით ვერ წარიმართება, რომელზეც წინა ხელისუფლება და მისი მთავარი საყრდენი ძალები აპელირებდნენ. ეკონომიკური წინსვლა, პრაქტიკულად, შეუქცევად პროცესად იქცა. თუმცა, ლიბერალურ საგადასახადო კოდექსზე ორიენტირებული სააკაშვილის ხელისუფლება გაცილებით მეტის მოლოდინშია, აგრესიული პრივატიზაციისათვის ემზადება და ახალ ინვესტორებს ელის. წინა ხელისუფლების დროს წარმოებულ ე.წ. "პრიხვატიზაციის" პროცესს თან არაკეთილსინდისიერ ვაიინვესტორთა მთელი წყება მოჰყვა, მაგრამ ეს უკვე მწარედ მოსაგონარ წარსულად იქცა, წარსულად, რომლის შედეგებს, ალბათ, კიდევ დიდხანს მოვიმკით...*

თუმცა, უკვე არსებობს სასიამოვნო პრეცედენტი იმისა, თუ როგორ შეიძლება ენერგიული ხელმძღვანელობისა და გამართული მენეჯმენტის პირობებში ზემოხსენებული შედეგების მინიმალურ ვადებში ალმოფხვრა. ამის ნათელი დადასტურება სს "მადნეულში" უკანასკნელ, სულ რაღაც, ექვს თვეში განვითარებული პროცესებია.

სს "მადნეული" ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საწარმოს წარმოადგენს და წესით, მისი წარმატებული მუშაობა ქვეყნის ხელისუფლების ინტერესი უნდა ყოფილიყო. "ინტერესი" იყო, შედეგად: საზოგადოებამ კარგად იცის, რა მდგომარეობაშიც იმყოფებოდა ეს საწარმო წინა ხელისუფლების დროს და რომ არა "ვარდების რევოლუცია", კიდევ დიდხანს გავამდიდრებდით, ალბათ, ავსტრალიელ ოსტაპ ბენდერებსა და მათ ქართველ დამქაშებს. საინტერესოა ერთი ნიუანსიც, ავსტრალიელი ინვესტორები საქართველოს რატომღაც სწორედ ახლა, საწარმოს ახლად დანიშნული ხელმძღვანელის, ვასილ ცოტაძის საზღვარგარეთ ყოფნისას ეწვივნენ. სავარაუდოდ, ისინი კიდევ ერთხელ ეცდებიან ქართველთა შორის წყლის ამღვრევას და სათავისოდ მეტი სარგებლის ნახვას. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ამჯერად სრულიად ხვა რეალობა დახვდებათ აქ, რეალობა, რომელიც მიმდინარე წლის დასაწყისში პრეზიდენტ სააკაშვილის მკვეთრმა საკადრო ცვლილებებმა და კომბინატის სათავეში ვასილ ცოტაძის მოსვლამ (რომელიც, სხვათა შორის, პრეზიდენტმა სააკაშვილმა დანიშვნისას "წარმატებულ მეწარმედ" მოიხსენია) განაპირობეს. შედეგად, საწარმოს სრულიად ახალი გაქანება მიეცა. ამის დასტურად ერთი შეხედვით მშრალი, მაგრამ უდავოდ მრავლისმეტყველი ფაქტებიც კმარა, - გეგმით მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში დაგეგმილი იყო 2 მლნ 956 ათას 600 ლარის მოგება, ფაქტობრივმა მაჩვენებელმა კი 8 მლნ 339 ათას 312 ლარი შეადგინა (ანუ გადაჭარბება 5 მლნ 382 ათას 712 ლარი). ამავე პერიოდში სს "მადნეულის" მიერ ბიუჯეტში გადახდილია 4 მლნ 252 ათას 749 ლარი. **შედარებისათვის, 2002-2003 წწ. (ანუ მთელი ორი წლის განმავლობაში) საწარმოდან ბიუჯეტში, სულ რაღაც, 2 მლნ 149 ათას 168 ლარი იყო შესული.**

ამ ფონზე, ბუნებრივია ის ინტერესი, რაც საზოგადოებაში "მადნეულის" ახალი ხელმძღვანელობის მიმართ გაჩნდა. როგორ მოხერხდა ასეთი შედეგის მიღწევა მაშინ, როცა არაერთი სასამართლო პროცესისა თუ სახელისუფლებო შტოების ჩარევის მიუხედავად, კომბინატში ვითარების გამოსწორება, თითქმის, შეუძლებელი ჩანდა. პრაქტიკულად, საქმე კომბინატისათვის, ასე ვთქვათ, სახის შენარჩუნებაზე იდგა და არა წარმატების მიღწევაზე დროის მართლაც, რომ საოცრად მცირე მონაკვეთში.

თავად სს "მადნეულის" გენერალურ დირექტორთან, ვასილ ცოტაძესთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, ის ამჟამად, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საზღვარგარეთ, კერძოდ აშშ-ში იმყოფება (ვასილ ცოტაძესა და მის ამერიკელ მეუღლეს მეორე ვაჟი შეეძინათ). მისი თანაგუნდელები კი მასზე ხაზგასმული პატივისცემით საუბრობენ და იმ დროს იხსენებენ, როცა სულ რაღაც ექვსი თვის წინ, ცოტაძისგან არცთუ მიმზიდველი წინადადება მიიღეს: სამუშაო ჩამორჩენილ და სასამართლო დავებისა თუ სკანდალების მუდმივ ობიექტად ქცეულ "მადნეულში". უმთავრესი, რასაც ყველა ერთხმად აღნიშნავს და რაც ყველა სხვა ფაქტორთან ერთად, ამ პიროვნების ერთ სახასიათო საქმიან შტრიხზე მიუთითებს, საკუთარ ორბიტაზე ერთ მუშტად შეკრული გუნდის შემოკრებისა და დარაზმვის უნარია. რომ არა ეს თვისება, საკითხავია, შეძლებდა კი ვასილ ცოტაძე მის მიერ წამოწყებულ ნებისმიერ საქმეში წარმატებების მიღწევას? არადა, წარმატებას, შეიძლება ითქვას, უყვარს ეს ინიციატივიანი და რისკიანი კაცი. ასე იყო სპორტშიც, და ასე იყო მაშინაც, როდესაც მან გადაწყვიტა აემოქმედებინა ახალგაზრდა თაობაში განსაკუთრებით პოპულარული კაფე "ბატონები" და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში თითქმის ყველა ქალი კარგი კულინარია და აქედან გამომდინარე, თბილისში, სწორედ, რესტორნებისა და გასართობი ცენტრების ბუმია და შესაბამისად, უამრავი მათგანი კონკურენციის უმკაცრეს პირობებს ეწირება. ასე რომ, ამ სფეროში ხანგრძლივი წარმატება და კონკურენციის "გაძლება" იოლი სულაც არ არის.

რაც შეეხება ვასილ ცოტაძისა და მისი გუნდის ახალ სამოღვაწეო ასპარეზს, "მადნეულს", - ბუნებრივად ჩნდება კითხვა - **რა გახდა კომბინატში ახალი გუნდის წარმატებული მუშაობის საწინდარი?**

გავიხსენოთ: "მადნეულის" მეპატრონეთა შორის არსებული უთანხმოება, ძირითადად, ინტერესთა შეუთავსებლობას უკავშირდებოდა. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით ავსტრალიურ ფირმასთან დადებული ცნობილი კაბალური ხელშეკრულების შემდეგ გამძაფრდა. "მადნეულში" მისულმა ახალი გუნდმა უმთავრეს ორიენტირად ორგანიზაციული სტრუქტურის ახალი მოდელი დაისახა, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს სტრუქტურის შიგნით ინტერესთა კონფლიქტებს, უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების არსებობას და მინიმუმამდე დაჰყავს დუბლირებული ან ზედმეტი ფუნქციონალური რგოლების არსებობა. უახლოესი გეგმებით გათვალისწინებულია ახალ სტრუქტურაზე გადასვლა, სტრუქტურის საკადრო დაკომპლექტება და რაოდენობრივი ოპტიმიზაციის პრინციპების განსაზღვრა. საკმაოდ მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემუშავება, რაც, ბუნებრივია, "მადნეულის" თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებას გულისხმობს. საყურადღებოა, რომ მას შემდეგ, რაც კომბინატში ახალი მენეჯმენტი მოვიდა, ახალ გუნდში უმეტესობა მკაცრი საჯარო კონკურსის შედეგად მოხვდა. ბევრს განათლება მიღებული აქვს უცხოეთში, გამოირჩევიან პროფესიონალური და პიროვნული თვისებებით.

ერთ-ერთი მათგანია **ლაშა ახალაძე** - დამთავრებული აქვს მართვის ევროპული სკოლა ESM-თბილისი, 1997-2003 წწ. იყო სს "თბილუნივერსალბანკის" საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორი და დირექტორთა საბჭოს წევრი; სტაჟირება გავლილი აქვს აშშ-ს კომერციულ ბანკებში; არის "ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაციის დამფუძნებელი"

2004 წლის მარტიდან სს "მადნეულის" ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

- "მადნეულის" ხელმძღვანელობაში მოსულ ახალ გუნდს რთული ვითარება დაგვხვდა, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნათ იმაზე, თუ რა ფონზე მოგვიხდა მუშაობის დაწყება, აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო მხოლოდ ზოგიერთი იმ უამრავი პრობლემიდან, რაც კომპანიაში ჩვენი მისვლის დროისათვის არსებობდა. კომპანიას ჰყავდა ძალიან მსხვილი კრედიტორები და საკმაოდ მძიმე იყო ფინანსური მდგომარეობა.

**- როგორც ცნობილია, სს "მადნეული" იმყოფებოდა რეაბილიტაციის რეჟიმში, რისი შედეგიც უნდა ყოფილიყო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.**

- დიახ, მაგრამ რეალური სურათი იყო სულ სხვა. ანუ, იზრდებოდა კომპანიის კრედიტორული დავალიანება, ხოლო საოპერაციო საქმიანობა არაეფექტური იყო. საწარმოო ხარჯები - არაკონტროლირებადი და ხელოვნურად გაზრდილი, რაც არ იძლეოდა მოგების მიღებისა და აღნიშნული მოგების საფუძველზე რეინვესტიციების განხცორციების საშუალებას საწარმოო ტექნოლოგიებში და კრედიტორების გასასტუმრებლად. რეალურად კომპანია მუდმივად განიცდიდა ფინანსური რესურსების დეფიციტს, არ არსებობდა ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგების ეფექტური სისტემა. უკონტროლო ხარჯების გამო წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება იმდენად იყო გაზრდილი, რომ საერთაშორისო ბაზარზე სპილენძსა და ოქროზე ფასების უმნიშვნელო ცვლილებაც კი სერიოზული საშიშროების წინაშე აყენებდა კომპანიის საქმიანობის ეფექტურობას.



ცალკე პრობლემა იყო კონტრაქტორებთან ურთიერთობა. კომპანიის საწარმოო პროცესის დიდი ნაწილი სრულდებოდა კერძო კონტრაქტორების მიერ, რომლებთანაც თავის დროზე გაფორმებული იყო მადნეულისთვის არამომგებიანი ხელშეკრულებები, რამაც, საბოლოო ჯამში, კონტრაქტორი ორგანიზაციების მხრიდან მადნეულის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა გამოიწვია, რასაც, თავის მხრივ, "მადნეული" ვერანაირად ვერ აკონტროლებდა. პრობლემა იყო შესყიდვებისა და მომარაგების სისტემის გაუმჭვირვალობაც, არ ტარდებოდა არანაირი ტენდერები, არ არსებობდა ალტერნატიული მომწოდებლების ბაზა, არ ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება ალტერნატიული წინადადებების საფუძველზე, მოუწესრიგებელი იყო სასაწყობე მეურნეობა, ადგილი ჰქონდა მასალებისა და სათადარიგო ნაწილების დატაცებას და არაეფექტურ ხარჯვას. არაეფექტური და ხელოვნურად გაბერილი იყო ორგანიზაციული სტრუქტურაც: არსებობდა ბევრი უფუნქციო სტრუქტურული ერთეული, ადგილი ჰქონდა ფუნქციების დუბლირებას, არსებული სტრუქტურა არ უზრუნველყოფდა შიდა კონტროლის მექანიზმების არსებობას. ხშირი იყო ინტერესთა კონფლიქტების მქონე სტრუქტურული ერთეულები ერთი ხელმძღვანელის მმართველობის ქვეშ არსებობა, პრობლემა იყო საწარმოო პროცესში დაგროვილი სერიოზული ჩამორჩენები, ანუ 2004 წლის სამუშაოებისათვის მომზადება, პრაქტიკულად, ახალ მენეჯმენტს მოუხდა. ჩვენი გუნდი პირველი ორი თვე მხოლოდ არსებული პრობლემების შესწავლას მოუნდა. აპრილის თვის ბოლოსათვის ამ შესწავლების საფუძველზე შემუშავდა ახალი მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა და 2004 წლის ბიუჯეტი. გადახსნითი სამუშაოები წინა წლებში სრულდებოდა დაბალი მოცულობით, რამაც პრაქტიკულად გამოიწვია ის, რომ კომპანიას 2004 წლის განმავლობაში მოუწევს სერიოზული ხარჯების გაწევა აღნიშნული ჩამორჩენის გამოსასწორებლად, რათა შესაძლებელი გახდეს სპილენძის შემცველი მადნების მოპოვების დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულება.

**- თქვენმა გუნდმა მნიშვნელოვან მაჩვენებლებს საოცრად მოკლე დროში მიაღწია, რით ახსნით ამას?**

- ჩვენ მოსვლისთანავე დავისახეთ რამდენიმე მიზანი: მათ შორის კომპანიის კრედიტორული დავალიანებების შემცირება. გასული 6 თვის განმავლობაში დამატებითი ვალდებულებების აღების გარეშე კომპანიის ვალდებულებები შემცირდა დაახლოებით 6 მლნ ლარით, რომელშიც შედის ვალდებულებები როგორც კომერციული ბანკების, ასევე მომწოდებელი და მომსახურე ორგანიზაციების მიმართ და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანება. ასევე, ერთ-ერთი მიზანი იყო ხარჯების ოპტიმიზაცია. 2003 წელთან შედარებით კომპანიამ დაგეგმა 4 მლნ ლარით ნაკლები ხარჯები, რაც 6 თვის შესაბამისი პროპორციით 700 ათასი ლარის გადაჭარბებით არის შესრულებული.

ერთ-ერთ ქართულ საკონსულტაციო კომპანიასთან ერთად დაიწყო მუშაობა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება-დანერგვაზე, ამ ეტაპზე შემუშავებულია ორგანიზაციული სტრუქტურის ახალი მოდელი, მოხდა უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის მკაფიო გამიჯვნა, სამსახურების დებულებების, სამუშაო აღწერილობების შემუშავება. ხდება საკადრო დაგეგმვისა და რაოდენობრივი ოპტიმიზაცის პრინციპების განსაზღვრა, რომლის შემდგომაც განსაზღვრულია კომპანიის თანამშრომელთა შრომის ანაზრაურების ახალი სისტემის შემუშავება-დანერგვა. გარდა ამისა, მოლაპარაკებების შედეგად გაუმჯობესდა სპილენძის კონცენტრატის რეალიზების პირობები. 2004 წლის განმავლობაში კომპანია რეალურად იხდის მიმდინარე საბიუჯეტო გადასახადებს. დაწესებულია მკაცრი კონტროლი შესყიდვებზე. აღნიშნული პროცესის გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ყველა მსხვილი შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საფუძველზე, მიმდინარეობს მარაგების სასაწყობო მეურნეობის მართვის კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა. ყველაფერმა ამან კომპლექსში მოგვცა ის შედეგი, რაც დღესაც მნიშვნელოვანია და სამომავლოდაც უფრო მეტ იმედებს გვისახავს.

**- ბატონო ლაშა, ვფიქრობ, ვერანაირად ავუვლით გვერდს ინვესტორებთან ურთიერთობის თემას. მიხვდით ალბათ, მხედველობაში მყავს შპს "კვარციტის" ავსტრალიელი ინვესტორები, რომელთა მცდელობით და "მოღვაწეობით" ქართულმა მხარემ უპრეცედენტოდ კაბალურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი...**

- მიმაჩნია და ეს, პრინციპში, ასეცაა, რომ სტრატეგიული მიზანი უნდა განსაზღვროს მფლობელმა, ხოლო მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ამ მიზნის მიღწევა. აქედან გამომდინარე, კომბინატის სამომავლო ბედი, ინვესტორის მოძიების ნება, უნდა განსაზღვროს მფლობელმა. თუ სახელმწიფო გადაწყვეტს პრივატიზაციას, მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს კომპანიის მომზადება საპრივატიზაციოდ, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს კომპანიის ღირებულების მაქსიმიზაციას აქციონერთა ინტერესებიდან გამომდინარე. შპს "კვარციტთან" ურთერთობას რაც შეეხება - "მადნეულისათვის" მნიშვნელოვანია ამ ურთიერთობების დარეგულირება, ვინაიდან სს "მადნეული" არის 50% მეწილე შპს "კვარციტისა, დღეის მდგომარეობით კი "კვარციტს" "მადნეულის" მიმართ დაახლოებით 7 მლნ ლარის დავალიანება გააჩნია, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს წარმოადგენს. აღნიშნული ურთიერთობა მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე იურიდიულ ასპექტებს და ამ დარეგულირების პროცესში სახელმწიფომ, როგორც აქციონერმა, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს.

ამავე დროს მსურს აღვნიშნო (შეგიძლიათ ეს ჩემს სუბიექტურ აზრად ჩათვალოთ), რომ პასუხი უნდა აგოს არა ავსტრალიურმა მხარემ, რომლებიც არიან კერძო კომერციული ინტერესების მქონე პირები და ბუნებრივია, ეცდებიან მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ყველა მნიშვნელოვანი კომერციული გარიგებებისაგან, არამედ პასუხი უნდა მოეთხოვოს მათ, ვინც დაეთანხმა მათ პირობებს და უფლება მისცა ისეთი ხელშეკრულება მოეხვია თავს ქართული მხარისათვის, რაც წამგებიანი იყო როგორც "მადნეულისათვის" ისე საერთო ჯამში სახელმწიფოსათვის. მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ახალი მენეჯმენტის გუნდს კომპანიაში, რა თქმა უნდა, ბევრი პრობლემის გადაჭრა გვიწევს, ბუნებრივია ისიც, რომ იარსებებს გარკვეული ხარვეზებიც, მაგრამ საბოლოო ჯამში, ჩვენი საქმიანობის შეფასებისას დავეყრდნოთ მიღწეულ შედეგებს, რაც გვაძლევს იმის პროგნოზირების საშუალებას, თუ რას შეიძლება ველოდოთ უახლოეს მომავალში...

***ქეთი ალექსიძე*** - წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიული ფაკულტეტი; არის სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი; დამთავრებული აქვს საერთაშორისო განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ცენტრი; აშშ-ს ვერმონტის ბიზნესისა და განვითარების ცენტრი; 1999-2000წწ. გახლდათ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე; 2000-2001 წწ. ეროვნული ანტიკორუფციული ჯგუფის წევრი; 2001-2002წწ. ბრიუსელის ევროპის სამართლის სტუდენტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი და წარმომადგენელი გაეროში; 2004 წლის მარტიდან არის სს "მადნეულის" იურისტი

- სს "მადნეულში" ჩვენს გუნდს იურიდიული თვალსაზრისით სრული ქაოსი დახვდა. პრაქტიკულად გამქრალი იყო ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი. რაც მოვიპოვეთ, ისიც ნაკლული ან უმნიშვნელო იყო. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე. ხდებოდა ასეც, რომელიმე პროცესზე გამოცხადებისას, აღმოვაჩენდით, რომ იმ დღეს კიდევ სამი პარალელური პროცესი ჰქონდა სს "მადნეულს" დანიშნული და პრაქტიკულად, მოუმზადებლები ვიყავით. პირველი თვეების განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რეალურად კარდაკარ დავდიოდით, რათა გაგვეგო, კიდევ რა პროცესები ჰქონდა "მადნეულს". ამავე დროს შემოვიღეთ შეხვედრებისა და პროცესების ანგარიშების წარმოების პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა მუშაობაში და პრაქტიკულად ერთ თვეში, გუნდური მუშაობით შევძელით ყველა საქმის მოძიება, აღრიცხვა და ორგანიზაციული კუთხით გარკვეულ კალაპოტში ჩავდექით, მოვიგეთ რამდენიმე სასამართლო პროცესიც.

საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ახალმა მენეჯმენტმა ძალიან ქმედითი მუშაობა გასწია უცხოელ ინვესტორებთან. უდიდესი დაინტერესებაა "მადნეულის" მიმართ. გენერალური დირექტორი ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს ისეთ კომპანიებთან, როგორებიცაა მარკ რიჩი (Marc rich), ტრაფიგურა (Trafigura), გლენკორი (Glencore) და სხვ. რათა განსაკუთრებულად საინტერესო ვარიანტი შეარჩიოს "მადნეულისათვის". ამავე დროს, იგი ცდილობს მაქსიმალურად დაარეგულიროს ურთიერთობა ავსტრალიელ პარტნიორებთან და უზრუნველყოს საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება. მას შემდეგ, რაც მივიღებთ რეალურ წინადადებებს, შევარჩევთ სამ საუკეთესოს და წარვუდგენთ სამეთვალყურეო საბჭოს. გენერალური დირექტორი მაქსიმალურად აწვდის ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს საწარმოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რაც გულისხმობს რეგულარული მოხსენებების, ანგარიშების წარდგენის პრაქტიკას... მე საკმაოდ ბევრ ადამიანთან მიმუშავია. ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ადამიანის პროფესიონალიზმს, არამედ მის ადამიანურ თვისებებსაც და შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი ვასილ ცოტაძე მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. ***მის უდიდეს მენეჯერულ თვისებად მიმაჩნია ის, რომ სს "მადნეულში" მან შეძლო არა რაღაც ჯგუფის შემოკრება, არამედ ერთი მიზნის გარშემო გუნდის დარაზმვა და მისი მოტივაცია საამისოდ, რომ ჩვენ ერთად ნამდვილად მივაღწევთ წარმატებას.***

მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულებით გახდა შესაძლებელი ასეთი წარმატების მიღწევა და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ წინ უფრო დიდი წარმატებები გველის. ...



**P.S. - ის მაგიერ**

მაშ ასე, სს "მადნეულის" ახალი გუნდი მოღვაწეობას ენერგიულად და წარმატებით იწყებს და პრეზიდენტის მიერ ავანსად გაცემულ ნდობას გადაჭარბებული მონდომებითაც ასრულებს. თუმცა, სხვანაირად არც შეიძლება, როდესაც საქმეში სულს დებ და ამავე დროს კარგად გესმის, რომ შენი სამოქმედო უბანი ერთ-ერთი ის უბანია, რომელსაც ქმედითი წვლილის შეტანა შეუძლია შენი ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების საქმეში. ჯერჯერობით კი კომბინატის მიერ მიღწეული 6 თვის შედეგები პრეზიდენტის არჩევანის მართებულობის თვალნათელი დადასტურებაა...

# „ასლან აბაშიძის საჩუქრებმა" ექვსი ადამიანი დაასახიჩრა

თამარ კაციტაძე

*ჩაქვის სანაპიროზე აფეთქებულმა ნაღმმა საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენა აჭარის ყოფილი ლიდერის "მმართველობის ნარჩენების" საშიშროება. "ეს ის საჩუქრებია, რომელსაც ასლან აბაშიძე გვპირდებოდა", - ამბობენ აჭარის დღევანდელი სამართალდამცველები.*

ასლან აბაშიძის დანატოვარი "საჩუქრების" შესახებ ინფორმაცია დღევანდელ ხელისუფლებას იმთავითვე გააჩნდა. ამიტომ რევოლუციის მომდევნო დღეებშივე დაიწყო იმ ნაღმების მოძიება და განეიტრალება, რომელიც აჭარის ყოფილმა ლიდერმა რევოლუციის უკანასკნელ დღეებში დესანტის გადასხმის შიშით თავის ქვეშევრდომთ ზღვაში და მის სანაპიროზე ჩააყრევინა.

**"მართალია, ზღვაში და მის სანაპიროზე ჩაყრილი ნაღმების რაოდენობა ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ დაახლოებით ვიცოდით, რომ 150-მდე უნდა ყოფილიყო",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში საქართველოს უშიშროების სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსმა აკაკი ცინცაძემ.

აკაკი ცინცაძის ინფორმაციით, ასლან აბაშიძის დანატოვარ "საჩუქრებს" ადგილობრივი და თბილისიდან სპეციალურად მიწვეული გამნაღმველები რამდენიმე ხნის განმავლობაში ეძებდნენ და საბოლოოდ, მათ შორის ჩაქვის სანაპიროდანაც, 147 ნაღმი ამოიღეს.

სწორედ, ჩატარებული სამუშაოს დამსახურებაა, რომ თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ასლან აბაშიძის და მისი ხელისუფლების მიერ დანატოვარი ნაღმები არავის გახსენებია და არც მათ შეუხსენებია თავი. მაგრამ სამი დღის წინ მოჩვენებითი სიმშვიდე დაირღვა და ჩაქვის ზღვის სანაპიროზე მომხდარმა აფეთქებამ უდანაშაულო ადამიანები სამუდამოდ დაასახიჩრა.



*ნაღმზე აფეთქებული ექვსი პიროვნების სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.*

აფეთქების ხმა სანაპიროზე შაბათს დაახლოებით 18.30 საათზე გაისმა. აფეთქება პლაჟზე ავტომანქანა "ვილისის" შესვლამ გამოიწვია. მანქანაში ხუთი ჩაქველი და ერთიც თბილისიდან ჩასული სტუმარი იჯდა. აფეთქების შემდეგ ექვსივე მათგანი ბათუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ უმძიმესი ოპერაციები გაუკეთდათ. განსაკუთრებით მძიმე იყო ორი პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელზსაც ქვედა კიდურების ამპუტაცია ჩაუტარდათ.

ამ ფაქტში ჩაქველმა მოსახლეობამ პასუხისმგებლობა ყოფილ და დღევანდელ ხელისუფლებას ერთნაირად დააკისრა. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო სანაპიროზე ნაღმების არსებობა, ხელისუფლებამ მათ გასანეიტრალებლად არაფერი გააკეთა.

**"ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია გამწარებული ხალხის პოზიცია. მაგრამ დაგვერწმუნეთ, რომ სანაპიროებზე გამნაღმველი ოპერაცია სრულყოფილად ჩატარდა. როგორც თქვენთვის ცნობილია, ამ პერიოდში ჩაქვში საკმაოდ მაღალი რანგის სტუმრები იმყოფებოდნენ და წარმოიდგინეთ, რა დონეზე იქნებოდა უსაფრთხოების ზომები მიღებული",** - განაცხადა აკაკი ცინცაძემ.

აჭარის უშიშროების სამსახური კატეგორიულად გამორიცხავს განაღმვითი სამუშაობის შემდეგ ჭურვების სანაპიროზე დარჩენას ან იმას, რომ ისინი მოგვიანებით ვინმეს მიეტანა. მათი ვერსიით, შესაძლებელია, ჩაქვის სანაპიროზე ნაღმები ზღვის მიქცევით გამოირიყა და ქვიშაში ღრმად ჩაიმარხა.

მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აჭარის პროკურატურაში აღიძრა და ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა. ჯერჯერობით საქმეს ზუსტი კვალიფიკაცია არ მისცემია და, აქედან გამომდინარე, არც სავარაუდო ეჭვმიტანილებზეა საუბარი. თუმცა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ვარშალომიძის განცხადებით, მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა აბაშიძის დროინდელმა ხელისუფლებამ უნდა აიღოს.

ვიდრე სამართალდამცველები აფეთქებასთან დაკავშირებით კონკრეტულ დამნაშავეებს გამოავლენენ, მანამდე ჩაქვის და საერთოდ აჭარის სანაპიროებზე გამნაღმვნელი სამუშაოები მიმდინარეობს.

გუშინ თბილისიდან ჩასულმა გამნაღმველებმა ჩაქვის სანაპიროზე კიდევ ერთი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი აღმოაჩინეს. იგი მომხდარი ინციდენტის ადგილიდან 200 მეტრის დაშორებით, კანალიზაციის ღრმულში იყო ჩაგდებული. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ერთი კვირის წინ ჩაქვში მომხდარმა ძლიერმა წყალდიდობამ სანაპირო ზოლიდან ნაღმს მიმართულება შეუცვალა და იგი კანალიზაციის ღრმულში სწორედ ასე აღმოჩნდა.

განაღმვითი ჯგუფი ჩაქვის ტერიტორიაზე მუშაობას კვლავ აგრძელებს. არ არის გამორიცხული, რომ იქ ნაღმები კიდევ აღმოჩნდეს.

ჩაქვის სანაპირო ზოლზე აფეთქებასთან დაკავშირებით, ბათუმში საგანგებოდ ჩავიდა უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი. მისი განცხადებით, მოწვეული სპეციალისტები განაღმვით სამუშაოებს აჭარის სანაპირო ზოლზეც ჩაატარებენ, რათა დამსვენებელთა უსაფრთხოება აბსოლუტურად იყოს დაცული.

## ორი სიტყვით

**ბათუმი.** გუშინწინ, გვიან ღამით, სარფის საბაჟოზე საქართველოს მოქალაქე, ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაისტატეში მცხოვრები ნუგზარ დილავერიძე თურქეთიდან ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინის" შემოტანის დროს დააკავეს. დილავერიძეს ნარკოტიკი საბაჟოს და უშიშროების თანამშრომლებმა ფეხსაცმელში დამალული უპოვეს. უშიშროების სამსახურის კონტრტერორისტული განყოფილების უფროსის, გიზო დიდიას განცხადებით, დილავერიძეს "ჰეროინი", რომელიც წინასწარი ინფორმაციით, 4 გრამს შეადგენს, თურქეთიდან სარეალიზაციოდ მოჰქონდა. დიდიას განცხადებით, თუ დილავერიძეს დაუმტკიცდა ნარკოტიკების რეალიზაცია, მაშინ მას სასამართლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთას, ან სამუდამო პატიმრობას მიუსჯის. თავად დილავერიძე აცხადებს, რომ იგი ნარკოტიკის მომხმარებელია და 4 გრამი "ჰეროინი" ტრაპზონში უცნობი ადამიანისგან 200 დოლარად იყიდა. მისივე თქმით, 4 გრამი "ჰეროინი" მისთვის 25 დღის სამყოფია და აცხადებს, რომ სამართალდამცველები მას ნარკოტიკის რეალიზაციას ვერ დაუმტკიცებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ დილით ზესტაფონის შინაგან საქმეთა განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ამავე რაიონში მცხოვრები კახა ბარბაქაძე და ვაჟა ხიჯაკაძე დააკავეს. მათ შავი და ფერადი ლითონების დატაცება ედებათ ბრალად. როგორც ზესტაფონის პოლიციაში განმარტეს, ბარბაქაძემ და ხიჯაკაძემ ზესტაფონში მდებარე ს/ს "ტრანსმშენის" დასავლეთ ფილიალის ტერიტორიიდან გაიტაცეს დაზგები და არმატურის საჭრელი ჩარხები. დაკავებულებმა მოპარული ნივთები დააბრუნეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ბაღდათის რაიონის პოლიციამ სოფელ ხანში, ერთ-ერთ ოჯახში დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლ იარაღს მიაკვლია. ოლეგ მსხვილიძე საკუთარ საცხოვრებელ სახლში სხვადასხვა დასახელების იარაღს მალავდა. სამართალდამცველებმა სახლის ჩხრეკის შედეგად მცირეკალიბრიანი შაშხანა, "ნაგანის" სისტემის რევოლვერი, ბულგარული წარმოების პისტოლეტი, ცეცხლსასროლი იარაღი "ტოზ-კოროვინი" და 18 ცალი შაშხანის ვაზნა ამოიღეს. "დასადგენია, ვის ეკუთვნოდა აღნიშნული იარაღი, ოჯახის უფროსს თუ ის უბრალოდ მალავდა იარაღს," - განაცხადეს ბაღდათის პოლიციაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზმა სამართალდამცველებმა გალის რაიონის სოფელ სიდაში მცხოვრები ცოლ-ქმრის, ეთერ და ბიჭიკო ალფენიძეების გატაცებაში და შემდგომ ბიჭიკო ალფენიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი აფხაზი დამნაშავეების ჯგუფი დააკავეს.

ერთი თვის წინ გალის რაიონის სოფელ სიდადან გატაცებული ცოლ-ქმარი გალის რაიონის სოფელ მუხურის მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბიჭიკო ალფენიძე აფხაზმა კრიმინალებმა მოკლეს, ხოლო მისი მეუღლე, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი, გადარჩა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ის გალის საავადმყოფოში გადაიყვანეს. საქართველოს უშიშროების სამსახურის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ბადრი დგებუაძის ინფორმაციით, გამტაცებლები ეთერ და ბიჭიკო ალფენიძეების ნათესავებისგან გამოსასყიდის სახით საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვდნენ.

მისივე ინფორმაციით, აფხაზმა სამართალდამცველებმა ცოლ-ქმრის საქმესთან დაკავშირებით ცნობილი აფხაზი "ბოევიკის" ვალმერ ბუთბას დაჯგუფების წევრები დააკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ბორჯომის რაიონის სოფელ ტაბაწყურში მცხოვრებნი ჯონი გალოიანი, ვარუჟან ირიციანი, გაგიკ პაპიკიანი და ჰრანტ მურადიანი, რომლებმაც 20 აგვისტოს ჯანმრთელობის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში მცხოვრებნი, ძმები ზურაბ და მიხეილ მამულაიძეები და ზაზა სუხაშვილი, რომლებიც მიმალვაში მყოფ, იმავე სოფელში მცხოვრებ ბონდო მამულაიძესთან და ზურაბ ნარიმანიძესთან ერთად სოფელ ბოდბისხევში თავს დაესხნენ თამაზ აბაშიძეს და, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, წაართვეს ტრაქტორი და ჯართი. დაკავებისას სუხაშვილის სახლიდან ამოღებულია გადაჭრილი თოფი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ ძებნილი თეიმურაზ ოკუჯავა 2003 წლის 21 ივლისს ხობის რაიონის სოფელ თორსა-დღვაბის ტერიტორიაზე თავს დაესხა ზუგდიდელ ლერი კაჭარავას და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცა ავტომანქანა "ვაზ-2107". **მედია-ნიუსი**

# უცნაური ტენდენცია დანაშაულებრივ სტატისტიკაში

*უცნაური, მეტიც, შემაშფოთებელი ტენდენცია გამოიკვეთა მიმდინარე წლის პირველ შვიდ თვეში მომხდარ დანაშაულთა სტატისტიკაში. როგორც აღმოჩნდა, შეშფოთების საფუძველი ყოველთვისაც არსებობდა, ოღონდ აქამდე ამას გვიმალავდნენ, შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს კი დასამალი არაფერი აქვს.*

სოფიკო ჩხაიძე

არც თუ ისე დიდი ხნის წინანდელ წარსულში ნაჩვევი ანგარიშები, რომლებსაც მთავრობის ყველა წარმომადგენლის მსგავსად, სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებიც წარუდგენდნენ ხოლმე საზოგადოებასა და, პირველ რიგში, უმაღლეს ხელისუფალთ, დადგენილი წესის წინაშე ვალის მოხდად აღიქმებოდა და ციფრებისა და პროცენტული მაჩვენებლების კორიანტელით საზოგადოებას უფრო აბნევდა, ვიდრე რეალობის ამსახველ სურათს იძლეოდა. ასეთი ანგარიშები, როგორც წესი, წინა წლის შესაბამის საანგარიშო პერიოდთან შედარებასაც შეიცავდა, და მცირე თვითკრიტიკული შენიშვნების გარდა, ხაზს უსვამდა ტენდენციას უკეთესობისკენ.

ამჟამად კი, 2004 წელს თბილისში ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკური მაჩვენებლები, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან მისი შედარება, შიდაუწყებრივი მუშაობის შუქ-ჩრდილების გარდა, პოლიტიკური დატვირთვის მატარებელიც გახლავთ, აშკარად შემაშფოთებელ სურათს იძლევა და თუ ამ სტატისტიკას ვერწმუნებით, საერთო ჯამში, 2003 წლის ბოლო 7 თვესთან შედარებით, 2004 წლის პირველ 7 თვეში დანაშაულთა რიცხვმა ორჯერ იმატა – თუ წინა წელს პოლიციის მიერ დაფიქსირებული ყველა სახის კრიმინალის რაოდენობა 2961 გახლდათ და აქედან, არც მეტი არც ნაკლები, 2465 გაიხსნა, წელს მომხდარი 5168 დანაშაულიდან 1792 ითვლება გახსნილად.

შედარებისთვის არც სხვადასხვა სახის დანაშაულთა სტატისტიკური მაჩვენებლების მოყვანა იქნება ურიგო:

### 2003 წლის ბოლო 7 თვე

ნაკლებად მძიმე დანაშაული მომხდარია 1027, გახსნილია – 992;

მძიმე – 925, გახსნილია – 767;

განსაკუთრებით მძიმე – 1009, გახსნილია – 706;

განზრახ მკვლელობა – 37, გახსნილი – 30;

მკვლელობის მცდელობა – 38, გახსნილია – 34;

თავისუფლების უკანონო აღკვეთა – 12, გახსნილია – 11;

მძევლად ხელში ჩაგდება – 2, გახსნილია – 2;

ქურდობა - 1075, გახსნილია–741 (შესაბამისად - ბინის 366–204, ავტომობილის 150–65);

ძარცვა – 154, გახსნილია – 133;

ყაჩაღობა –205, გახსნილია - 133 (ავტომანქანის 38 - 26);

### 2004 წელი 7 თვე

ნაკლებად მძიმე დანაშაული მომხდარია 998, გახსნილია – 695;

მძიმე დანაშაული – 1810, გახსნილია – 596;

განსაკუთრებით მძიმე – 2360, გახსნილია – 501;

განზრახ მკვლელობა – 36, გახსნილი – 20;

მკვლელობის მცდელობა – 58, გახსნილია – 31;

თავისუფლების უკანონო აღკვეთა – 8, გახსნილია – 3;

მძევლად ხელში ჩაგდება – 3, გახსნილია – 2;

ქურდობა - 2630, გახსნილია–350 (ბინის 1044 –65, ავტომობილის 585–30);

ძარცვა – 482, გახსნილია – 160;

ყაჩაღობა –476, გახსნილია - 171 (ავტომანქანის 104 - 34);

ერთადერთი დანაშაული, რომელმაც სტატისტიკური მონაცემების თანახმად, თბილისში იკლო, გაუპატიურებაა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი დანაშაული, ტრადიციულად, ვაკე-საბურთალოს რაიონზე მოდის – 1492 დანაშაულიდან გახსნილია 355. მეორე ადგილზეა დიდუბე-ჩუღურეთი და ისანი-სამგორი - 1062, თუმცა, ამ უკანასკნელს დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი უკეთესი აქვს, შემდეგ გლდანი-ნაძალადევისა (843) და მთაწმინდა-კრწანისის (603).

ზემოთ მოყვანილ მონაცემებში ერთი დეტალი შეიმჩნევა. მიუხედავად დანაშაულთა რაოდენობის მკვეთრი მატებისა, უმნიშვნელოდ მატულობს, ანდა სულაც კლებულობს ისეთ დანაშაულთა რიცხვი, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, მძევლად აყვანა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა. ამ დროს კი გაორმაგებული და გასამმაგებულია ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა. ეს ისეთი დანაშაულებია, რომელთა არაღრიცხვა ყველაზე უმტკივნეულოდ შეიძლება, რადგან მკვლელობა და ადამიანის გატაცება არც ისე ადვილი დასამალია. ეს კი გარკვეული ვარაუდების გამოთქმის საფუძველს იძლევა:

შევარდნაძის დროინდელი უკანასკნელი შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი დაუღალავად იმეორებდა, რომ ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობის, მართალია, მეტად უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ზრდის მაჩვენებელი მის მიერ დანაშაულის აღრიცხვიანობის გაუმჯობესებაა, მთელი საქართველოს მასშტაბით მაინც უამრავი დანაშაული რჩებოდა აღურიცხავი და არა იმიტომ, რომ ამა თუ იმ პოლიციის უფროსს ცუდი სტატისტიკის გამო თანამდებობის დაკარგვის ეშინოდა, არამედ მარტივი ჭეშმარიტებაა –პოლიციის მიერ დამალული დანაშაული მათთვის უკანონო შემოსავლის წყარო გახლდათ.

რა შეცვალა ხელისუფლების ცვლილებამ?

პოსტრევოლუციური პერიოდის პირველ ეტაპზე, შინაგან საქმეთა მინისტრად გია ბარამიძის დანიშვნის შემდეგ, ახალი რეალობის წინაშე შიშით დაზაფრულმა სამართალდამცველებმა ერთი კი სცადეს წესიერი ცხოვრების გზაზე დადგომა, მაგრამ მალევე დაუბრუნდნენ ძველ მდგომარეობას და ეს მანამდე, სანამ შინაგან საქმეთა მინისტრად ირაკლი ოქრუაშვილი დაინიშნებოდა. მის წინაშე ქვეშევრდომთა შიშს კი, როგორც ჩანს, ვადა არ აქვს.

**"აღრიცხვიანობის საკითხი მინისტრის პირად კონტროლზეა და ამ მხრივ საქმე ძალიან მკაცრად დგას. ამიტომ შემიძლია გითხრათ, რომ დანაშაულის ეს რაოდენობა ადრეც ხდებოდა, მაგრამ ახლა არც ერთი, უწვრილესი დანაშაულიც კი არ იმალება. მეტიც, გასულ წლებში დამალულ დანაშაულზე წელს არის აღძრული საქმეები. ყველაფერმა ამან განაპირობა ასეთი სტატისტიკური მაჩვენებლის მიღებაც,** - ამბობს თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსი ზურაბ ბაქრაძე, - **ამასთან, რაც შეეხება ისეთ დანაშაულებს, როგორიც, ვთქვათ ადამიანის ანგარებითი მიზნებით გატაცებაა, წელს მომხდარიდან ყველა გახსნილია. ნარკორეალიზატორების დაკავების თვალსაზრისითაც აშკარად გაუმჯობესებულია მდგომარეობა – შარშან თუ ნარკორეალიზაციის 38 ფაქტი იყო გამოვლენილი, წელს – 62-ია. გარდა ამისა, ძარცვისა და ქურდობის დიდი ნაწილი პერსპექტიულად გახსნადი დანაშაულებია და აქტიური ოპერატიული მუშაობა მიმდინარეობს. ასე რომ, მინდა გითხრათ: სტატისტიკური მაჩვენებლები ამჟამად იმ რეალობას ასახავს, რაც ყოველთვის იყო, მაგრამ აქამდე იმალებოდა."**

სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ.83/11**

კოდი 04-ლ-01

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

### ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს

### სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემაზე

**კონკურსის საფუძველი:**

კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის ლიტერატურის განვითარების და ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაის სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს და დააფინანსოს ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები 2004 წლის ბოლომდე. კონკურსის ამოცანაა სტიმულირება გაუწიოს ახალი ნაწარმოებების შექმნას, თარგმნას და გამოქვეყნებას, გაზარდოს საზოგადოების ინტერესი ლიტერატურის მიმართ და დააკმაყოფილოს მკითხველის მოთხოვნილება თანამედროვე და მაღალმხატვრული კრიტერიუმების შესაბამისი სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემაზე.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ლიტერატურის განვითარების და ჟურნალ-გაზეთების გამოცემათა ხელშეწყობის 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს და შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში გამომავალ ნებისმიერ სალიტერატურო პერიოდულ ორგანოს (ჟურნალი, გაზეთი), ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერ`ძო და იურიდიულ პირებს და საინიციატივო ჯგუფებს.Mმონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნას ჟურნალის (გაზეთის) გამოცემის გეგმა 2004 წლის ბოლომდე.

**კონკურსის ბიუჯეტი:**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 12 000 ლარს.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*



# კონსოლიდირებული დემოკრატიის პროექტი

მესამე გვერდიდან

ოღონდ, როგორც ვამბობდი, ამის მიზეზი საქართველოს სამი პრეზიდენტის პიროვნული თვისებები ან მათი პოლიტიკური ხაზი კი არ არის, არამედ მთლიანად, რუსეთთან ურთიერთობის და მისდამი დამოკიდებულების ის პარადიგმა, რაც ჯერ კიდევ "ეროვნულმა მოძრაობამ" ჩამოაყალიბა გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან და რომელიც თვისებრივად განსხვავდებოდა სხვა ქვეყნების მიერ თავიდანვე შერჩეული პარადიგმისაგან.

ბატონი ნოდარ ლადარია შემდეგ უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ, ჩემი აზრით (ბოდიშს ვიხდი საკუთარი ციტატისთვის), "მედია-ომები აუცილებლად მოითხოვს ცინიზმის გარკვეულ დოზას, მაგრამ სხვაგვარად ამ ომის წარმოება შეუძლებელია. დღეს მსოფლიოს (მათ შორის, უპირველესად დასავლეთს) არა რომანტიკოსები, არამედ უმოწყალო ცინიკოსები მართავენ. სწორედ ამ ყაიდის პოლიტიკოსებმა (კლინტონმა და ბლეერმა თავის დროზე) შეცვალეს რეიგანისა და ტეტჩერის "რომანტიულად იდეოლოგიზირებული" გენერაციის წარმომადგენლები".

პატივცემული ოპონენტი კითხულობს: **"მაგრამ, ამ ცინიკოსებს რაიმე მიზანი აქვთ, თუ მათი "ცინიზმი" თვითკმარია? ერთი სიტყვით, რის გულისთვის ცინიკოსობენ?"**

რასაკვირველია, ბატონო ნოდარ. რასაკვირველია, აქვთ ასეთი მიზანი. ეს გახლავთ საკუთარ სახელმწიფოთა ინტერესების დაცვა-განხორციელება. და თუ ამ ინტერესთა განსახორციელებლად, რაიმე დათმობის სანაცვლოდ, რუსეთისათვის საქართველოს "ხურდაში დაბრუნება" იქნება საჭირო – ერთი წუთითაც არ დაფიქრდებიან.

გულწრფელად შემეცოდა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, რომელმაც კოლინ პაუელთან საუბრის შემდეგ გულამოსკვნით თქვა, "მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდესო" და ამით შინაარსობრივად გაიმეორა ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვები (9 აპრილის შემდეგ): "ჩვენ ობოლი ერი ვართ".

თუმცა, აქ სენტიმენტების ადგილი არ არის. დავუბრუნდეთ სათქმელს: სტატიაში რეიგანი და ტეტჩერი შემთხვევით არ მიხსენებია. საქმე ის გახლავთ, რომ "ცივი ომის" დასრულების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც დასავლური ცივილიზაციის სრული განადგურების საფრთხე აღარ არსებობს, დასავლეთი რუსეთს უფრო პარტნიორად განიხილავს, ვიდრე სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ. ამდენად, მასთან გარიგებაც დასაშვებად მიაჩნია.

ამიტომ, რამდენიც არ უნდა აკრიტიკონ პუტინი "იუკოსთან" თუ იმავე პრესასთან დაკავშირებული სკანდალების გამო – ტონი ბლეერი და ჯორჯ ბუში მასთან მაინც "მოაწერენ ხელს" იმაზე, რასაც არაფრის დიდებით არ "მოაწერდნენ ხელს" რეიგანი და ტეტჩერი – ბრეჟნევთან ან ანდროპოვთან.

ოღონდ იმიტომ კი არა, თითქოს პიროვნულად ნაკლები ცინიკოსები იყვნენ (ცინიკოსობამდე პრაგმატულობას ვგულისხმობ), არამედ იმის გამო, რომ იმ ეპოქაში, როცა დასავლურ ცივილიზაციას სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხე ემუქრებოდა, თვით პრინციპის (ღირებულებათა) დაცვა იყო უმაღლესი (სტრატეგიული) პრაგმატიზმის გამოვლინება.

დღეს ეს ვითარება შეიცვალა. რუსეთი ითვლება "ნაკლებგანვითარებულ დემოკრატიად", მაგრამ მაინც დემოკრატიად. დასავლეთი აღიარებს, რომ ისევე, როგორც ამერიკასა და ბრიტანეთს, რუსეთსაც აქვს თავისი "სასიცოცხლო ინტერესთა ზონები" და, ამ ზონებში, გარკვეულ ჩარჩოებამდე, თავისუფალი მოქმედების საშუალებასაც აძლევს – სხვა რეგიონებსა და სფეროებში საპასუხო დათმობების ფასად, რასაკვირველია. იქნება ეს ახლო აღმოსავლეთი, ერაყი, ავღანეთი, ბალკანეთი, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა თუ სხვა.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რუსეთი ენერგოშემცველთა უკიდეგანო რეზერვუარია და სულაც არ გამიკვირდება, თუ დასავლეთისათვის საწვავის რეგულარულად მიწოდების გრძელვადიანი, სტრატეგიული შეთანხმების სანაცვლოდ (ამგვარი ხელშეკრულების შესაძლებლობაზე რამდენიმე თვის წინ კონდი რაისი საუბრობდა), ერთ-ერთი საპასუხო დათმობის ფასად, ჩვენი საბრალო ქვეყანაც დაუბრუნონ "ხურდად". რა თქმა უნდა, ეს საქართველოს ანექსიაზე თანხმობას არ გულისხმობს, მაგრამ რაც შეეხება კონფლიქტურ ზონებს, აქ კრემლის პრიორიტეტის აღიარება (როგორც ისევ და ისევ გასულ კვირას დავრწმუნდით) სრულიად უეჭველია.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ჭერჭერობით, სტატუს-კვოსთან მიახლოებული მდგომარეობა აღდგენილია, ქართველი ჯარისკაცები კი ჭრილობებს იშუშებენ.*

აქვე: სხვათა შორის, ნავთობის ფასმა ბარელზე 50 დოლარს გადააჭარბა. როგორ გგონიათ, კოლინ პაუელსა და კონდი რაისს (ან იმავე რამსფელდს) ეს უფრო აწუხებს საპრეზიდენტო არჩევნების წინ თუ ცხინვალელი და სოხუმელი ლტოლვილების უბედურება?

და საერთოდ, სანამ ჩვენ გვექნება ილუზია, თითქოს თანამედროვე ამერიკას საქართველოში რაიმე აღელვებს, გარდა ნავთობსადენის (როგორც დამხმარე ფასმარეგულირებელი ფაქტორის) სტაბილურობის, ესე იგი სტატუს-კვოს შენარჩუნებისა – მანამ ყოველთვის მწარედ დავმარცხდებით.

არადა, რატომაც არ დაეთანხმება ათასობით ბირთვული ქობინის მქონე რუსეთს, თუკი ეს უკანასკნელი ჰპირდება, რომ არ შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობას (ესე იგი ნავთობსადენის უსაფრთხოებას), თუ თბილისიც არ შეეხება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს?

აკი დავრწმუნდით, რომ დაეთანხმა – სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელი განცხადებით, თურმე რუსეთი სამხრეთ ოსეთში "კონსტრუქციულ როლს ასრულებს". და ეს მაშინ, როცა ჩვენი სათაყვანებელი, სულმნათი ბიჭები ყოველ ღამე იხოცებოდნენ რუსული "გრუ"-ს ელიტურ, სპეცდანიშნულების რაზმებთან უთანასწორო ბრძოლებში, წვერიახოს ფერდობებზე.

ვიმეორებ: არსებული სტატუს-კვო კავკასიაში უკლებლივ ყველა "მოთამაშეს" ხელს აძლევს, საქართველოს გარდა, ვინაიდან ის, რაც ამერიკისთვის "ნავთობზე ფასმარეგულირებელი დამატებითი ფაქტორის" შენარჩუნება, ხოლო რუსეთისათვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთვის ფაქტობრივი(!) წაგლეჯაა, ჩვენთვის ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი რღვევის დაკანონებას ნიშნავს.

ბატონი ნოდარისათვის (ისევე, როგორც ჩემთვის) სამწუხაროდ, ამ დისკურსში ღირებულებებისათვის ადგილი მართლაც არ რჩება. მაგალითად, რაღაც არა მგონია, უზბეკეთის პრეზიდენტი დემოკრატიული ღირებულებებისადმი დიდ ერთგულებას ამჟღავნებდეს ან საერთოდ იცოდეს, რას ნიშნავს ეს ღირებულებები. მიუხედავად ამისა, ამერიკას უზბეკეთში სამი ათასი სამხედრო მოსამსახურე (არა ინსტრუქტორი, არამედ მოქმედი "ჯიაი") ჰყავს. საქართველო კი უკანასკნელმა ამერიკელმა ინსტრუქტორმა ერთი თვის წინ დატოვა. ხოლო სტამბულის შეთანხმების შესრულებისა და რუსული ბაზების გაყვანის ჩვენეულ მოთხოვნას ვაშინგტონი მხოლოდ ცალყბად ეთანხმება – ისე, რომ რუსეთი მეტისმეტად არ გააღიზიანოს.

შევადაროთ იმას, რაც დასავლეთში ხდებოდა ბალტიის ქვეყნებთან დაკავშირებით ანალოგიური პრობლემის გადაწყვეტის დროს – რაკი ეს რეგიონი დასავლური ცივილიზაციის განუყოფელ (თუმცა ანექსირებულ) ნაწილად მიაჩნდათ ყოველთვის.

აქვე: ძალზე სიმპტომატურია, რომ პატივცემული პრეს-ომბუდსმენი ვერ მიხვდა, რისთვის დაგვჭირდა სტატიაში "თბილისის გარნიზონზე" საუბარი. იგი წერს, თითქოს ამ გარნიზონის შენარჩუნებისათვის მე "რუსეთს ვლანძღავ". არადა, ამ შემთხვევაში, რუსეთს ნამდვილად არაფერს ვერჩი. რუსეთი ხომ იმის რუსეთია, თავისი ინტერესები დაიცვას. მე მხოლოდ იმ ვითარების ტრაგიკომიკურობაზე მივუთითებდი, როდესაც ქვეყანა პრეტენზიას აცხადებდა ნატო-ს წევრობაზე და ამ დროს მის დედაქალაქში დგას რუსეთის სამხედრო გარნიზონი – რუსული კომენდატურით და რუსი კომენდანტით.

აკი მოგახსენეთ, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის ნატო-ში შესვლის საკითხზე სერიოზული მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ვილნიუსში, რიგასა და ტალინში არავითარი "რუსული გარნიზონები" აღარ იდგა და რუსი კომენდანტები აღარ ჰყავდათ. ჩვენებურ "სამხედრო ექსპერტთა" და "გეოპოლიტოლოგთა" უმრავლესობას კი, როგორც ჩანს, დღემდე ჰგონია, რომ ნატო-ში საქართველოს შესვლის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი სამხედრო მოსამსახურეთა ანტივირუსული აცრების სისტემის განუვითარებლობა და საველე სწავლებისას ახალწვეულ ჯარისკაცთა პირადი ჰიგიენის ჩვევათა არასაკმარისი ("არაევროატლანტიკური") დონეა.

■ ■ ■

ზემოთთქმულის შემდეგ კი, გადავიდეთ იმ თემაზე, რაც უეჭველად პრეს-ომბუდსმენის კრიტიკული გამოხმაურების უმთავრესი მიზეზი გახდა. ეს თემა მისთვის აშკარად "მახლობელია" არა მხოლოდ პროფესიულად, არამედ ემოციურადაც.

სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ერთი ნაწილის გამოყვანის შემდეგ, რუსული ტელეარხები შხამად იღვრებიან: "ახალი საქართველოს პირველი დამარცხება!" - ასეთია მათი რეფრენი.

კიდევ კარგი, რომ ეს ტელეარხები საქართველოში მასობრივად ხელმისაწვდომი აღარ არის, თორემ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მათი ზემოქმედების დამანგრეველი შედეგი გარდაუვალი იქნებოდა.

არადა, სწორედ ესაა რუსული მედიის მიზანი - საკუთარი ქვეყნის (რუსეთის) ინტერესებიდან გამომდინარე, გააღვივონ ქართულ ცნობიერებაში არასრულფასოვნების, "დამარცხებული, უუნარო და არშემდგარი ერის" შეგრძნება.

1992-1993 წლებში, როცა ალტერნატივა ჯერ არ არსებობდა, რუსულმა ტელევიზიამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიულ დამარცხებაში.

8 ივლისს, როდესაც ქართველი ჯარისკაცები მთელი მსოფლიოს წინაშე დააჩოქეს, აქციის მთავარი მიზანი ისევ და ისევ ქართულ საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება იყო. მადლობა ქართულ მედია-თანამეგობრობას, რომელიც ამას მიხვდა, უმაღლესი შეგნება გამოამჟღავნა (თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ალბათ, ხელისუფლების "თხოვნაც" გაითვალისწინა) და დღის მეორე ნახევარში ეს გამანადგურებელი კადრები საერთოდ აღარ უჩვენებია. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოქმედება, თუ ფორმალური ლოგიკით მივუდგებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლების დარღვევა იყო – "თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია" ანუ თავისი თვალით იხილოს, როგორ დააჩოქეს ქართველი ჯარისკაცები ცხინვალში.

მიმდინარეობს უმოწყალო ომი, ხოლო ომის დროს მედია უძლიერესი იარაღია მოწინააღმდეგის დასასუსტებლად, შიდა დაპირისპირებების გასაღვივებლად, წინააღმდეგობის უნარისა და ხალისის წასაგლეჯად.

ამ საკითხებზე თუ არ ვიმსჯელეთ, დამარცხება კვლავ (ისევე, როგორც 11 წლის წინ) გარდაუვალი იქნება.

ძალიან ვწუხვარ, თუ პრეს-ომბუდსმენს დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს ამ ტექსტის ავტორი შეიძლება სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიული ღირებულებების წინააღმდეგი იყოს. არადა, იმ ფენომენს, რომელზეც ვსაუბრობდი, ანუ ხელისუფლების მიზანმიმართულ "დაჩმორებას" (რასაც გორის ეპიზოდში აშკარად პირადი ინტერესები და კოლეგა ჟურნალისტთან პიროვნული ანგარიშსწორება ედო საფუძვლად), სიტყვის თავისუფლებასთან და დემოკრატიასთან სინამდვილეში საერთო არაფერი აქვს. უფრო მეტიც, პირიქით, ეს შინაარსობრივად ანტიდემოკრატიული და ანტილიბერალური მოვლენაა.

კატეგორიულად ვერ დავეთანხმები აზრს, თითქოს საკითხი მხოლოდ "გემოვნების" სფეროში უნდა განვიხილოთ. საზოგადოების "მაღალი გემოვნებისადმი" პატივისცემა (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც) ანტიდემოკრატიულ ჯგუფებს ვერ შეაჩერებს, რაკი მომხმარებელი არ დაილევა. ერთ-ერთი მაგალითი თავად პრეს-ომბუდსმენმა დაასახელა. ვეთანხმები, რომ ეროვნული კულტურის ბოროტი შეურაცხყოფა მართლაც "ანტიდემოკრატიული დივერსიაა".

გულნარა უროტაძის ციტატა კი სწორედ იმ მიზნით მოვიტანე, რათა მეჩვენებინა, როგორ ეკიდებიან ამ პრობლემას დასავლეთში. გულნარა უროტაძე ეთნიკურად ქართველი, ამასთანავე "საზოგადოებრივად" (ანუ ცნობიერად, და მენტალურად) "დასავლელი" ადამიანია. ალბათ იმის შედეგადაც, რომ მთელი ცხოვრება დასავლეთში გაატარა. თუ მისი ფრაზის კატეგორიულობას დავაკვირდებით, უეჭველად დავრწმუნდებით, რომ იგი მხოლოდ "გემოვნებას" არ გულისხმობდა და ამით პრობლემისადმი ევროპული საზოგადოების დამოკიდებულებაც გამოხატა. არადა, იმ საზოგადოებას ხომ "გამოუცხადებელი ომის" ვითარებაში არ უწევს ცხოველმოქმედება?!

შეგახსენებთ: განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ფრონტისპირა რაიონს და საკვანძო პიროვნებებს, რომელთაც პრეზიდენტი ეყრდნობა ქვეყნისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

აქ ჩემთვის საინტერესო ის კი არ იყო, რამდენად აქვს ჟურნალისტს მორალური უფლება, ხელისუფლება აკრიტიკოს, თუკი(!) მან, თავისუფლების სანაცვლოდ, ნარკოტიკებით ვაჭრობა(!!!) აღიარა, არამედ პრეზიდენტ სააკაშვილის ძალზე ნიშანდობლივი პოზიცია. მას არ შეეშინდა, აელო თავზე პასუხისმგებლობა ანუ გაეკეთა ის, რასაც არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებდა მისი წინამორბედი. თანაც ეს გააკეთა იმ ვითარებაში, როდესაც (დარწმუნებული ვარ), წინასწარ (დაპატიმრებამდე) ამ საქმის შესახებ არაფერი იცოდა და არც რაიმე ბრძანება გაუცია.

როდესაც უმაღლეს ხელისუფალს პასუხისმგებლობის და არაპოპულარული გადაწყვეტილებების არ ეშინია, მთლიანად ხელისუფლებაც ბევრად უფრო ქმედითი ხდება. სწორედ ამას ვგულისხმობ "ძლიერ ხელისუფლებაში".

დარწმუნებული ვარ: მიხეილ სააკაშვილი დასავლური ყაიდის (არ აგერიოთ "პროდასავლურში") პოლიტიკოსია; ამდენად, იგი სავსებით ტოლერანტული, კოლეგიური და გამჭვირვალე იქნება კრიტიკის, საყვედურის, მსჯელობის, ოპონირების, ესე იგი, მთლიანობაში, პრესის მიმართ.

მაგრამ თავისი ხელისუფლების (არა მხოლოდ პიროვნულად თავის, არამედ მთლიანად ხელისუფლების და მისი სტრუქტურების) მიზანმიმართულ, კამპანიურ "დაჩმორებას" იგი არ დაუშვებს! ეს გახლავთ ფაქტის კონსტატაცია და არა "მოწოდება". არ დაუშვებს, მორჩა და გათავდა!

როდესაც პრეზიდენტს "ტიტლიკანა" არბენინებენ, ეს კონკრეტული ხელისუფალის შეურაცხყოფა კი არ არის მხოლოდ (პიროვნულად მასზე ახიც რომ იყოს), არამედ თვით ინსტიტუტის, ანუ "ხელისუფლების, როგორც ასეთის", ესე იგი სახელმწიფოებრიობის დისკრედიტაციაა.

იოტისოდენი ეჭვი არ მეპარება: გარკვეულ ეტაპამდე ედუარდ შევარდნაძეს ამ პროცესების შეჩერება შეეძლო. მაგრამ მან ეს შეგნებულად არ გააკეთა და იცით, რატომ? იმიტომ და იმ მიზნით, რომ მეტისმეტად მაღლა აეწია "თამასა", შეექმნა ფსევდოდემოკრატიულობის ისეთი სტანდარტი, რომელთან შედარებითაც მისი ნებისმიერი ალტერნატივა "ანტიდემოკრატად" წარმოჩინდებოდა საზოგადოების თვალში (თუ თავადაც იგივე სტანდარტს არ დაიცავდა) – შესაბამისი რეაქციითა და შედეგებით. აი, ამაში კი შეცდა ბატონი ედუარდი. მას საკუთარ საზოგადოებაზე იმაზე ნაკლები წარმოდგენა აღმოაჩნდა, ვიდრე იგი სინამდვილეში იმსახურებდა.

"კონსოლიდირებული დემოკრატია" კი უეჭველად გულისხმობს მარგინალური, ანტიდემოკრატიული ჯგუფების დათრგუნვას. "გემოვნებითა" და "სინდისზე შეგდებით" მათ ვერაფერს შეასმენ. ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ ე.წ. "მამა ბასილთან" დაკავშირებულ ეპიზოდს. სხვათა შორის, "მამა ბასილი" კლასიკური აზრით "მარგინალი" (უმცირესი, უმცირესობა, უმნიშვნელო, გამონაკლისი) სულაც არ ყოფილა. მას და მის ჯგუფს ძალიან მრავალრიცხოვანი და გავლენიანი მომხრეები ჰყავდა როგორც მოსახლეობის ფართო პლასტში, ასევე ინტელიგენციაში და ეკლესიაში. სწორედ ამიტომ, შევარდნაძის "პლურალისტური რეჟიმის" პირობებში ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი აღმოჩნდა და არც გადაწყდებოდა კიდევ ასი წელი.

როდესაც "ბასილის მოწინააღმდეგეს" ამას ეუბნები, იგი ღიზიანდება და გაანჩხლებით გპასუხობს, რომ "ბასილის მომხრეები" არიან "იდიოტები", "ფაშისტები", "გონებადაბნელებული ბრბო", ამიტომ მათი აზრი და შეხედულება სათვალავში ჩასაგდები ან გასათვალისწინებელი არ არის. იმათი აზრით კი, პირიქით, ესენი (ანუ "ბასილის მოწინააღმდგენი") არიან "იეღოველები", "სამშობლოს გამყიდველები" და "სოროსის მონები".

სოციუმის ორივე სეგმენტს უამრავი წარმომადგენელი და გავლენიანი მხარდამჭერი ჰყავდა და ჰყავს. ამდენად, შევარდნაძის "პლურალისტური რეჟიმის" პირობებში, როდესაც ყველა სტრატეგიული საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე წყდებოდა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაწყვეტილების არმიღება უშუალოდ ხელისუფალს იმაზე მეტ პრობლემას უქმნიდა, ვიდრე მიღება), პრობლემა ვერაფრით გადაიჭრებოდა.

მის გადასაწყვეტად ხელისუფლების ნება იყო საჭირო და არა "საზოგადო კონსენსუსი". რევოლუციის შედეგად მოვიდა ხელისუფლება, რომელმაც ეს პრობლემა არცთუ სასიამოვნო, მაგრამ სამართლიანი ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრა და ამით დაიცვა დემოკრატიული ღირებულება. ისევე, როგორც თვით 23 ნოემბრის დემოკრატიული რევოლუცია იყო არც თუ ბოლომდე რაფინირებულად კანონიერი, უსისხლოდ ძალადობრივი, "ნებელობითი აქტი".

სამწუხაროდ, ჩვენში უჭირთ იმ აზრთან შეგუება, რომ ზოგიერთი კატეგორია იმ საზოგადოებაში, სადაც დემოკრატიული ღირებულებები თვისებრივი სულაც არ არის, შესაძლოა ამ ღირებულებათა დამკვიდრების (!) შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს. ვითარება, როდესაც პრეზიდენტს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის დათხოვნის უფლება არა აქვს, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო "პლურალისტურია". სამაგიეროდ, როგორც დავრწმუნდით, ნაკლებ პროგრესულიც და განვითარების შემაფერხებელიც საქართველოს პირობებში.

მხოლოდ "უნარი" არ კმარა. მთავარია სისტემა. შევარდნაძე არავიზე ნაკლებ ნიჭიერი და უნარიანი პოლიტიკოსი არ ყოფილა. მისი პრობლემა ის გახდა, რომ არა მხოლოდ "კალენდართან", არამედ ქვეყნის სისტემურ მოთხოვნილებებთან შევიდა წინააღმდეგობაში. ამიტომაც დამარცხდა ისტორიულად.

ახალმა გუნდმა კი ხელისუფლება კი არ "ჩაანაცვლა", არამედ სისტემური ცვლილების (იგივე საკონსტიტუციო რეფორმის) წინადადებით გამოვიდა. მაშასადამე, საქმე მართლაც სისტემაში იყო და არა პიროვნებაში.

მესმის, ცნებათა ამგვარი დისკურსი "მენტალურად სახამუშოა", მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი მენტალიტეტი კომუნისტურ ეპოქაში ჩამოყალიბდა, როდესაც ცნებები მხოლოდ "შავ-თეთრ" რაკურსში განიხილებოდა.

ბატონმა ნოდარმა, რასაკვირველია, იცის, რომ სიტყვა-ცნება "დემოკრატია" ხშირად ნაციისა და ქვეყნის აღმნიშვნელად იხმარება. ამრიგად, ქართული დემოკრატიის ყოველმხრივი (მათ შორის ტერიტორიული) კონსოლიდაციის გარეშე, ჩვენს ქვეყანას მომავალი არა აქვს. ეს კი უმძიმესი ბრძოლის გარეშე ვერ მოიპოვება და ამის გარეშე ვერაფრით მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ველარავინ (როგორი ძლევამოსილიც არ უნდა იყოს) გაბედავს და მოახერხებს, საქართველო ვინმეს "ხურდაში დაუბრუნოს".

გასული წლის ნოემბერში საზოგადოებამ გააკეთა არჩევანი (ულირსებო) მშვიდობასა და (ღირსეულ) ომს შორის. ამ ომში გამარჯვება, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ კონსოლიდირებულ დემოკრატიას ძალუძს. დამარცხება სამუდამო და საბოლოო განადგურების ტოლფასი იქნება. ანუ პროექტი, რომელიც ამჟამად ხორციელდება, "უკანასკნელი ქართული პროექტია".

## ჩემპიონის დაბადება



ასანიძეს ხელს უშლიდნენ, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერეს.

B4

## გზა, რომელიც არასდროს დასრულდება და არსად მიგვიყვანს



B6

## კივილი ოსლოში



საგამოფენო დარბაზში შეიარაღებულ ნიღბოსნები შეცვივდნენ, კედლიდან ჩამოხსნეს მუნკის ორი ტილო, შენობის წინ გაჩერებულ "აუდი ა6"-ში ჩასხდნენ და მიიმალნენ.

B7



# მომავალ ორშაბათამდე!

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ჩვენს გაზეთსაც შემოესივნენ "ფანტომები" — აი, მაგალითად, 18 აგვისტოს გამოქვეყნებული კულინარული რეცეპტი მოულოდნელად მოგვმართავს: **"ამ კერძის ღირსებებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან თავად მისი გაკეთება ნამდვილად არ მიცდია"**. ნეტა ვინ გვესაუბრება ასე უშუალოდ ხელმოუწერელი ტექსტიდან?

სხვა თუ არაფერი, 16 აგვისტოს ჩემი ყოველკვირეული პუბლიკაციისათვისაც დავიწყნიათ ავტორის სახელისა და გვარის წამძღვარება და ლამის ანონიმურ ფანტომად მიქციეს ამოდენა შრომა. მზერა ოდნავ ზემოთ მიმართე, მკითხველო, და თუ ამ სტატიის თავში ჩემს სახელსა და გვარს შეამჩნევ, ესე იგი გვისმენენ და უქმად არ იკარგება ჩვენი წუხილი. საწუხარი კი, როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრი გვაქვს, უფრო სწორად, ახლა უფრო მეტი, ვიდრე ყოველთვის. ამ და ამ მოჭარბებულ საწუხარს სწორედ რომ უსახელო თუ უხსენებელი გვიჩენს...

არა, ეს სულაც არ გახლავთ როყიოდ წამოსროლილი შეურაცხყოფა: ამგვარად მას თვით მფარველები და ხელშემწყობნიც კი მოიხსენიებენ თავიანთ მედიაში, რაც რუსული ენის ერთი თავშესაქცევი ომონიმიის წყალობით სწორედ ასე ჟღერს: **ГОСПОДИН КАКОЙ-ТО.** თუმცა ამის გამო მტერი მტრად არ დაიწუნება და, უფრო მეტიც, ერთ კლასიკურ პარალელსაც კი აღვიძებს მეხსიერებაში...

როცა დაბრმავებულ ციკლოპს, პოლიფემეს ჰკითხეს, თვალი ვინ ამოგთხარაო, მან მიუგო: "არავინ!". ამ სახელით გაეცნო მას ცბიერი ოდისევსი. ჩვენც ასე შეიძლება მოგვივიდეს, თუ ციკლოპივით ცალი თვალით, ესე იგი ცალმხრივად შევხედეთ სინამდვილეს. მაშინ შეიძლება საქმე ისე დაგვიდგეს, ვერც მსოფლიო თანამეგობრობის მძვინვარე პოსეიდონმა გვიშველოს რამე.

იმედია, ძალიან დამღლელი და მძიმე შედარება არ ყოფილა და თუ როგორმე გადავიტანეთ, შეგვიძლია დინჯად შევუდგეთ ჩვეულ საქმეს.

ერთია რეპორტაჟები ადგილიდან — აქ "24 საათთან" არაფერი შეიძლება იყო სადავო — მაგრამ სულ სხვაა შექმნილი ვითარების ანალიზი, მისი გააზრების მცდელობა. 16 აგვისტოს გამოქვეყნდა **ნიკა იმნაიშვილის** სტატია სათაურით *ოსური "დესტაბილიზატორი"*, რომელმაც სწორედ ეს უკანასკნელი ფუნქცია იტვირთა. პოლიტიკურ მიმომხილველს არ ევალება იყოს წინასწარმეტყველი, ამიტომ გასულ ორშაბათს გამოქვეყნებულ სტატიაში არ დავიწყებ გაუმართლებელი ვარაუდების ძიებას. ამ შემთხვევაში ჩვენ სულ სხვა, გაცილებით უფრო არსებითი მომენტი გვაინტერესებს, რომლის გახსნას ან თანდათანობით მოვახერხებთ, ან სულაც ერთიანად გადმოვცემთ, როგორც ამას მსჯელობის დინამიკა მოგვთხოვს.

მაშ ასე, ნიკა იმნაიშვილი 16 აგვისტოსათვის ჩამოყალიბებულ ვითარებას ახასიათებს, როგორც "დაბალი ინტენსივობის ომს" და მისი რამდენიმე ნიშანიც მოჰყავს: მუდმივი დაძაბულობა, სპორადული სროლები, დივერსიები, მძევლები, პერიოდული დაბომბვები და, რაც მთავარია, სნაიპერები. ამ უკანასკნელთა უმრავლესობა ქალები იქნებიან — გვპირდება ავტორი.

მაგრამ ოდნავ ქვემოთ ის სულ სხვა რამესაც გვპირდება, რაც ქალ-სნაიპერებზე გაცილებით უფრო საშიშია: **"საქართველო "დაბალი ინტენსივობის" ომის თავიდან აცილებას ვერ შეძლებს, ხოლო პრობლემის "ერთი დარტყმით" გადაწყვეტის, ანუ ცხინვალის აღებისა და ოსური ფორმირებების გაუვნებლების საშუალებას რუსეთი არ მოგვცემს"**. რატომ არ მოგვცემს? — რატომ და მუდმივი "დესტაბილიზატორი" სჭირდება ჩვენს ტერიტორიაზე და იმიტომ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ სტატიის მოყვანილ ფრაგმენტს: დავინახავთ, რომ ცხინვალის აღება ავტორს პრობლემის "ერთი დარტყმით" გადაწყვეტად მიაჩნია.

აი, ერთი ნაბიჯი უკვე გადავდგით იმ არსებითი მომენტისკენ, რომელიც გვაინტერესებს. განვაგრძოთ სიარული. სხვანაირად შევხედოთ საკითხს: მოსკოვმა "საშუალება მოგვცა", ავიღოთ ცხინვალი და გავაბნიოთ ოსური ფორმირებები. ნუთუ ამგვარად ბოლო მოეღება მოსკოვის სწრაფვას მუდმივი **"სისხლივით თბილი"** დაძაბულობა შეინარჩუნოს საქართველოში? ცხინვალის აღება შიშველი ფაქტი იქნება, რომელსაც საზრისს უკვე ამღები კი არა, სხვა მიანიჭებს. რატომ უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ ეს საზრისი ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება?

მაგრამ ამ კითხვებს ავტორი არ სვამს, იგი განაგრძობს: **"მეორე მხრივ, თუ ძალიან არ დასჭირდა, რუსეთი არც ოსებს მისცემს საშუალებას, სამხრეთ ოსეთი ქართველი მოსახლეობისაგან გაწმინდონ ან გორის მიმართულებით განავითარონ მძლავრი შეტევა. ნუ გაიკვირვებთ, ვლადიკავკაზში "ერთიანი დიდი ალანიის" იდეოლოგები ამგვარ სცენარსაც ამუშავებენ"**. ახლა ისეთი რამ უნდა ვთქვა, რაც არასოდეს მითქვამს: ამ ადგილს სულაც ამოვიღებდი სტატიიდან — თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს ასე ჰაიჰარად არ განიხილავენ. სერიოზულ ბრალდებას სერიოზული დასაბუთება სჭირდება, მსგავსი განცხადებები კი სრულიად არაპროდუქტიულ და გაუმართლებელ სიძულვილს აღვივებს მკითხველში.

ერთი სიტყვით, სტატიის პირველი ნაწილი ხმარდება იმის მტკიცებას, რომ ეს "დაბალი ინტენსივობის ომი" სრულიად გარდაუვალი და დაუძლეველია საქართველოსთვის: თუ საქართველოს კონფლიქტის დემილიტარიზაციაზე დათანხმდება რუსეთი, როკის გვირაბის გახსნას მოგვთხოვს კონტრაბანდული ტვირთების შემოტანისთვის, ამაზე ჩვენ არ წავალთ და ცხინვალის სახით მუდმივ დენთის კასრს მივიღებთ. არჩევანი შემდეგია: ან ნელი და გულისგამაწვრილებელი სისხლისღვრა (სნაიპერი ქალები), ან ეკონომიკის ქრონიკული ჭირი ერგნეთში.

აქ მოვიდა დრო, ჩამოვთვალოთ პირველი ნაწილის ძირითადი ლოგიკური სისუსტეები:

1. ის გარემოება, რომ საკუთარ საზღვართან მუდმივი "დესტაბილიზატორი" გჭირდება, სულაც არ მეტყველებს შენს სასარგებლოდ. უფრო მეტიც, არანაირად არაა ბუნებრივი და თავისთავად გასაგები. ავტორი ვერ აღწევს დამაჯერებლობას.

2. თავისთავად ნაგულისხმევია, რომ ცხინვალის ომი შესაძლებელია სრულიად დაგვირგვინდეს სამხედრო გამარჯვებით — ეს კი შეუწყნარებელი პოლიტიკური სიბეცეა.

ამის შემდეგ სტატია მეორე ნაწილზე გადადის და ნიკა იმნაიშვილი გვთავაზობს ცხინვალის კრიზისზე ამერიკული რეაქციის საკუთარ თარგმანს: **"ამჟამად თქვენთვის არ გვცალია, ერაყში ომია, ნავთობზე ფასმა (პირველად ბრეჟნევის ეპოქის შემდეგ) 46 დოლარს მიაღწია — მოელაპარაკეთ რუსეთს. მეტი არაფერი შეგვიძლია"**. მართალია, აშშ-მ ცალსახად გვიჩვენა, რომ კონფლიქტის ძალოვანი გადაწყვეტის მომხრე ვერ იქნება, მაგრამ სტატიის ავტორი მეტად ცალმხრივ ახსნას აძლევს ამას: **"მისთვის მთავარია, იყოს სტაბილურობა, არ იყოს ომი და არაფერი დაემუქროს ნავთობსადენს, რომელიც ნავთობზე ფასის კატასტროფულ ზრდასთან ერთად მართლაც სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს"** (ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იაფი ნავთობის შემთხვევაში ეგ ნავთობსადენი გინდ ყოფილა, გინდ არა).

მაგრამ ეს მხოლოდ ინტერლუდიაა. გაგრძელება უფრო საინტერესოა: **"კვლავ გრძელდება გულუბრყვილო მოლაპარაკებები და განცხადებები იმის თაობაზე, რომ "რუსეთს თავად არ ესმის საკუთარი ინტერესები, თორემ სინამდვილეში მას გრძელვადიანი თვალსაზრისით ხელს აძლევს საქართველოს ქცევა ნორმალურ, დემოკრატიულ, ძლიერ, აყვავებულ, ერთიან სახელმწიფოდ"**. აქ ჟრუანტელმა უნდა დაგვიაროს და რაღაც საოცარი აღმოჩენის წინათგრძნობამ შეგვიპყროს. აი, აღმოჩენაც: **"დღემდე ვერავინ ახსნა, მაინც რატომ უნდა აძლევდეს რუსეთს ხელს საქართველოს ქცევა მდიდარ და აყვავებულ სახელმწიფოდ"**. აბა, კაცო! — ამდენი ხანია თურმე გვატყუებდნენ, კიდევ კარგი, ნიკა იმნაიშვილმა შეამჩნია და, როგორც იქნა, აგვიხილა თვალები. თანაც რა რკინისებური არგუმენტაცია მოაყოლა: **"წარმოვიდგინოთ, 20-30 წლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში (ანუ ჩრდილოეთ კავკასიის მეზობლად, სადაც რუსეთისადმი ისტორიულად არც თუ ლოიალურად განწყობილი ეთნოსები სახლობენ) წარმოიშვა შვეიცარიის, ნიდერლანდის ან ბელგიის მსგავსი სტაბილური, მდიდარი, კონსოლიდირებული სახელმწიფო. ეს ობიექტურად შეუქმნის რუსეთს პრობლემებს ჩრდილოეთ კავკასიაში განურჩევლად იმისა, როგორ პოლიტიკას გაატარებს საქართველოს ხელისუფლება"**. ერთი ცნობილი მათემატიკოსი მოიწვიეს მკერავთა ასოციაციაში ჭრა-კერვის მათემატიკური საფუძვლების ასახსნელად. მან ლექცია ასე დაიწყო: "სიმარტივისათვის წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი სფერული ფორმისაა". აუდიტორია მყისვე დაიშალა. გასაგებია, რომ მათემატიკოსი თავისი მაღალი აბსტრაქციების სამყაროდან ვერ გამოვიდა, მაგრამ ნიკა იმნაიშვილმა კი რისთვის შეაბიჯა ეგზომ მაღალ აბსტრაქციაში? გათვლა გასაგებია: საშუალო ქართველის ოცნებაა ასეთი პატარა ნეიტრალური სამოთხე — შვეიცარია, ბელგია... დახე რუსებსა, არ უნდათ მაგ დამპლებს, მაგათ! არგუმენტაცია კი ვერ ვიპოვეთ, მხოლოდ შიშველი დებულებაღა შეგვრჩა: "პრობლემებს შეუქმნის". მორჩა და გათავდა! თანაც პოლიტიკაზე არ ყოფილა დამოკიდებული ეს მდგომარეობა: არ ვევასებით და ძალაა?!

არგუმენტაციას ვერც ქვემოთ ვიპოვით, სადაც ავტორი გვიმტკიცებს, რომ ამერიკასაც არ აძლევს ხელს განვითარებული და დამოუკიდებელი მექსიკა. ეს ხომ ბუნების კანონია!

რას იზამ, ასე ჰგონია ავტორს, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მის სისუსტეთა სია განვაგრძოთ:

3. სახელმწიფოები განხილულია როგორც სრულიად ჰომოგენური და ერთიანი ნებით დაჯილდოებული ინდივიდები. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ანალიზის ილიკოილარიონისეული დონეა: "რას უჩივა გერმანია... რას უჩივა იაპონია". გაზეთის მკითხველს მარტივად რომ ელაპარაკო, სამართლიანია, მაგრამ სიმარტივეში დისკურსის შემსუბუქება უნდა იგულისხმებოდეს და არა ობიექტის დამახინჯება.

4. უნდა ვიკითხოთ, ნუთუ რუსეთსა და ამერიკას შორის მართლა ვერ ატყობს ვერანაირ განსხვავებას? — ეს ჩვენი ავტორის მთავარი სისუსტეა, რომელიც სტატიიდან სტატიაში მომთაბარეობს: არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება ღირებულებებს! სრულიად უგულებელყოფილია ის რომ, ისტორია მხოლოდ უპიროვნო "ფაქტორთა" ასპარეზი კი არა, ნებათა, ვნებათა და აზროვნებათა ბრძოლის ველია. ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ ამ უსუსურ და უსულო მიახლოებაშიც კი არ მართლდება აშშ-სა და რუსეთის გაიგივება.

ამის შემდეგ კი ავტორი გადადის ფინალზე, რომლის ძირითადი დანიშნულება ჩვენი დაშინებაა.

დაშინება № 1:

**"რუსეთი, საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე (არა იმიტომ, რომ იგი "გენეტიკურად ბოროტია"), ყოველთვის შეეცდება, მისგან დამოუკიდებელი საქართველო იყოს მაქსიმალურად ღარიბ-ღატაკი, სუსტი, წინააღმდეგობებით აღსავსე ქვეყანა"**. ეს რომ არ მოხდეს, ავტორის აზრით, საქართველომ უდრტვინველად უნდა აიტანოს **"გაჭირვება, მუდმივი დაძაბულობა, "უშუქობა-უგაზობა" (რაკი ერთადერთი წყარო რუსეთია)"**.

დაშინება № 2:

დასავლეთის მხრიდან ჩვენი დახმარება კი იმაზეა დამოკიდებული, **"თუ რამდენად რეალური და არადეკლარაციულია ... ერისა და საზოგადოების 15 წლის წინანდელი "ევროატლანტიკური არჩევანი" და ვართ თუ არა მზად, ამ არჩევანის დასაცავად გავიღოთ რეალური (!) მსხვერპლი"**. არ ზუსტდება, თუ რა იგულისხმება ამ ძახილისნიშნიან რეალურ მსხვერპლში, მაგრამ ალბათ ადამიანების სიცოცხლე უნდა ვიგულისხმოთ.

რატომ ვუწოდე ყოველივე ამას დაშინება? — ავტორისეული რიტორიკიდან პირდაპირ გამომდინარეობს შემდეგი: რუსეთთან დაპირისპირება უშუქობა-უგაზობას მოგვიტანს, დასავლეთისკენ უზომო სწრაფვა კი შვილებს დაგვიხოცავს. რა დასკვნამდე უნდა მივიდეს ჩვეულებრივი მშვიდობისმოყვარე ადამიანი?..

უპასუხოდ დავტოვოთ ეს კითხვა, რადგან ამაზე მნიშვნელოვანიც გვაქვს სათქმელი.

როცა ნიკა იმნაიშვილის სტატია დაიბეჭდა, ჯერ არავინ იცოდა, რომ რამდენიმე დღეში საქართველოს შეიარაღებული ძალები წარმატებულ ოპერაციას განახორციელებენ, რასაც ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილება მოჰყვება. ინტერესი, რომლითაც ჩვენი საზოგადოება თვალს ადევნებს მოვლენებს, მათავისუფლებს სამთავრობო გადაწყვეტილების შინაარსის გამეორებისაგან. ისღა დამრჩენია, მისი ზოგიერთი თვისება მიმოვიხილო ზემოთქმულის შუქზე.

1. გადაწყვეტილებიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ საქართველო არ აღიარებს, რომ საარსებო ინტერესების მისაღწევად სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ლამის დარვინისტულად განპირობებული ქიშპობა ერთადერთი შესაძლებლობაა.

2. გადაწყვეტილება ცალსახად უარყოფს, რომ ჩვენი პოლიტიკური თვალსაწიერი მხოლოდ ცხინვალის კამპანიის სამხედრო დასასრულით იფარგლება და მის მიღმა ვერ ვრცელდება. გამარჯვების მიღწევა უშუალო სურვილის სფეროა, მისი შენარჩუნება — შორს გამიზნული ინტერესებისა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სრულად იმსახურებს პოლიტიკურის წოდებას.

3. გადაწყვეტილება ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლება აღიარებს ინტერესთა მრავლობითობას და იმას, რომ დარწმუნება გამარჯვების ყველაზე საიმედო და ეფექტური ხერხია. მოპირდაპირე მხარეს საშუალება ეძლევა, გააკეთოს შემდეგი სვლა და თვით დარწმუნდეს მის წამგებიანობაში.

4. გადაწყვეტილება უპირატესობას ანიჭებს არა ქმედებას, არამედ ღირებულებათა აღიარებას. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება თავისი ბუნებით სულიერია.

ახლა შევადაროთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების ოთხი თვისება ნიკა იმნაიშვილის სტატიის ოთხ ჩამოთვლილ სისუსტეს. სულ მცირე, ორ დასკვნამდე მივალთ.

ჯერ ერთი, ჩვენ არ ვედავებით სტატიის ავტორს წინასწარმეტყველებათა კონკრეტულ სიზუსტეში. ამ სიზუსტეს მოცემულ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ 21 აგვისტოს ნომერში **ალექსანდრე რონდელმა** თქვა: **"ხანდახან უფრო გონებამახვილი უნდა იყო, ვიდრე მართალი"**. გავიხსენოთ, როცა კოკოითის მხარე "მესამე ძალაზე" ალაპარაკდა, ყველამ ჩაყლაპა ეს სატყუარა. ყველამ, **ირაკლი ოქრუაშვილის** გარდა. მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრმა აიღო საკუთარ თავზე მძიმე ვალდებულება, დაემტკიცებინა გალაკტიონისთვის, რომ თოვლი სინამდვილეში თეთრია და არა იისფერი! საბოლოოდ, მართლაც ასე აღმოჩნდა, მაგრამ რაოდენ უფრო პოეტური და ელეგანტურია, როცა მოწინააღმდეგეს მისივე წესებით მოუგებ. მაშ ასე, დასკვნა პირველი: **პოლიტიკაში წააგებს ის, ვინც საჭირო მომენტში ვერ მიხვდება კონკრეტულობის მეორადობას**.

მეორეც, ნიკა იმნაიშვილის მიდგომა, რომელიც სხვადასხვა წარმოშობის უპირობო "ფაქტორთა" ლოგიკურ კავშირებზეა აგებული, პრინციპულად აღმოჩნდა აცდენილი საქართველოს მთავრობის მიერ სულ რამდენიმე დღეში არჩეულ გზას. მასთან შედარებით, მთავრობის გადაწყვეტილება სწორედ რომ **ჰუმანური** აღმოჩნდა: არა იმ ზედაპირული თვალსაზრისით, რომ ომსა და სისხლისღვრაზე უარს წარმოადგენს, არამედ იმ უფრო ღრმა აზრით, რომ მოქმედების საშუალებას უხსნის ადამიანებს, ყველას, ვის ცხოვრებასაც შეეხო ეს კონფლიქტი. ასე რომ, მეორე დასკვნაც აშკარაა: **პოლიტიკაში წააგებს ის, ვინც არ იცის, რა უყოს ადამიანურ ფაქტორს**.

მთავრობამ გეოპოლიტიკას თავი ანება და ადამიანებისკენ მოიხედა. რატომ? — იმიტომ რომ თუნდაც იმავე ლოგიკიდან გამომდინარე, არ შეიძლება მარჯვენა ხელით იარაღს აჟღარუნებდე, მარცხენათი კი რესტიტუციის კანონს ამზადებდე. ახლა კი ვერავინ დაგვწამებს ორგულობას. "საქართველო ის აღარაა, რაც გუშინ იყო!" — გვეუბნებიან წამდაუწუმ. როგორც იქნა, უნდა მივხვდეთ, რომ აქ ტლანქი გაძლიერება კი არ იგულისხმება, არამედ ის, რომ, ციკლოპისაგან განსხვავებით, იგი სინამდვილეს ორი თვალით უყურებს.

B2 რეკლამა B3 რეკლამა B4 სპორტი B5 სპორტი B6 რევიუ B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

**კოდი 04-ს-01**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის პრიორიტეტი: თანამედროვე ქართული ვიზუალური ხელოვნების პოპულარიზაციისა და მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობს:
1. ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ;
2. ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ექსპონირებას საზღვარგარეთ; 3. ქართველ ხელოვანთა მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებში, ფესტივალებსა და ბიენალეებში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს ზემოჩამოთვლილი მიზნების/მიზნის განხორციელებას და შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების კომისიის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს.
პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 7 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

*შენიშვნა:* კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტროში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

**კოდი 04-ს-02**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**გამოფენების მოწყობაზე საქართველოში თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობისთვის**

კონკურსი ცხადდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.
თბილისსა და რეგიონებში თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის შესაბამისდ;

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია მხარი დაუჭიროს პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდივიდუალური და ჯგუფური გამოფენების მოწყობას, როგორც თბილისში ასევე საქართველოს სხვსდსხვა რეგიონებში. Gგამოიწვევენ შემოქმედთა სტიმულირებას, ვიზუალური ხელოვნების ახალი მიმართულებების და სახეები წარმოჩენას, რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს ზემოჩამოთვლილი მიზნების/მიზნის განხორციელებას და შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების კომისიის მიერ შემუშავებულ პრიორიტეტებს.
პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**პროექტის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3. 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

*შენიშვნა:* კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, და მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

**კოდი 04-ს-03**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა**
**და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**სახვითი ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობისთვის**

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული სახვითი ხელოვნების განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სახვითი ხელოვნების სფეროში მოღვაწე ნებისმიერ ხელოვანს, ხელოვანთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**
ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* **თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

**საქართველოს კულტურის,**
**ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ღონისძიებათა მხარდასაჭერად

**კონკურსის მიზანია:**
მხარი დაუჭიროს იმგვარ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ხელი შეუწყოს იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგის შესახებ არსებობს ჩვენში და უცხოეთში. წაახალისოს ის ღონისძიებები, რომლებიც კონკურენტუნარიან გარემოში ქართული კულტურის ღირსეული წარმოჩენისკენაა მიმართული.

**კონკურსის პირობები:**
კონკურსი დააფინანსებს ქართულ-უცხოენოვანი ალბომების, ბარათებისა თუ საცნობარო ლიტერატურის მომზადებასა თუ გამოცემას, კინო თუ ელექტრონული პროდუქციის შექმნას საქართველოს კულტურული მემკვდრეობის შესახებ, აგრეთვე იმგვარ პროექტებს, რომლებიც ქართული ხელოვნებას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ფონზე წარმოჩენას გულისხმობს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი პროფილის ნებისმიერ პროფესიონალს, ან პროფესიონალთა საინიციატივო ჯგუფს, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებს. კონკურსში წარმოდგენილ პროექტს თან უნდა ახლდეს იმგვარი მასალა, რომელიც ამომწურავად და თვალსაჩინოდ დაახასიათებს პროექტის საბოლოო შედეგს.

კონკურსში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

პროექტის ბიუჯეტი:
თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წელი

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**საქართველოს მუზეუმებში კოლექციათა შენხვის პირობების გაუმჯობესებისა და უნიკალურ ექსპონატთა რეაბილიტაციისათვის**

**კონკურსის მიზანია:**

ხელი შეუწყოს საქართველოს მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების შენახვისა და დაცვის პირობების გაუმჯობესებას, უზრუნველყოს პროფესიონალ რესტავრატორთათვის ძეგლთა საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა მათი დაცვისა და გადარჩენის მიზნით.

კონკურსის პირობები:
ექსპონატთა შენახვის რეჟიმის გაუმჯობესების ღონისძიებები თუ მათი კონსერვაციის მეთოდი დაფუძნებული უნდა იყოს კვალიფიციურ სამეცნიერო დასკვნებზე, სარეაბილიტაციო ძეგლები უნდა შეირჩეს მათი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობისა და გადაუდებლობის კრიტერიუმით. კოლექციათა შენახვის პირობების გაუმჯობესება სასურველია ითვალისწინებდეს მათი დაცვის პრევენციულ ღონისძიებებსაც. განსახორციელებელი საქმიანობა საჭიროებს წინასწარულ კომპლექსურ ექსპერტიზას, დადებითი შედეგის უცილობლად მისაღწევად.

განაცხადის წარმოდგენა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მუზეუმს ან მუზეუმთან დაკავშირებულ პროფესიონალებს, რომლებიც შექმნიან საინიციატივო ჯგუფს.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 15 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

**ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს**

**კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ახალი თაობის სპეციალისტთა მოზიდვისა და პროფესიული დაოსტატების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია:**

იმ ღონიოსძიებათა მხარდაჭერა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ძველი და ახალი თაობის სპეციალისტთა გამოცდილების უწყვეტობის შენარჩუნებას, ახალი თაობის პროფესიულ დაოსტატებასა და შეძენილი ცოდნის რეალიზების ატმოსფეროს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად

კონკურსის მეშვეობით შეირჩევა ის ღონისძიებები - მასტერკლასები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, პრაქტიკული მეცადინეობა და სხვა - რომლებსაც მაქსიმალური სარგებლის მოტანა შეუძლია სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა დაოსტატების პროცესში.

**კონკურსის პირობები:**
განაცხადი დაფინანსებისათვის შეუძლია წარმოადინოს როგორც პროფესიონალთა ჯგუფმა, ისე პროფესიონალმა, რომელსაც აქვს სიძველეთა აღრიცხვის, რესტავრაცია-კონსერვაციისა თუ სიძველეთმცოდნეობითი გამოცდილება. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სემინარის მსმენელთა რაოდენობისა და კონტიგენტის შესახებ, აგრეთვე დასაბუთებას თუ ჩატარებული ღონისძიება რითი შეუწყობს ხელს არსებული ვითარების გაუმჯობესებას.
დაფინანსებულ ღონისძიებათა შედეგები - მონაწილეთათვის მისი შედეგიანობა - განხილული იქნება კომისიური წესით, საუკეთესო ახალგაზრდების შერჩევისას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებასთან მათი თანამშრომლობის მხარდაჭერას.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში პროფესიული განათლების დონის ამაღლების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია:**

განახორციელოს ის პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამედროვე დასავლური ცოდნის გაზიარებას ქართველი პროფესიული საზოგადოებისათვის, ახალგაზრდებისათვის. დაფინანსდება: რესტავრაციის, კონსერვაციის, სხვადასხვა მეთოდოლოგიების შესახებ უცხოენოვანი საუკეთესო ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა. აგრეთვე: ამ ლიტერატურისა და მათში მოყვანილი დასკვნების მისაწვდომობისათვის აუცილებელი ღონისძიებები - სემინარები, პროფესიული პრეზენტაციები, რომლებიც ახალგაზრდობისათვის წარმოაჩენს სარესტავრაციო-საკონსერვაციო დარგის პრესტიჟულობას, მნიშვნელოვანებასა და დიდ პრაქტიკულ საჭიროებას.

კონკურსის პირობები:
საუკეთესო პროექტთა შერჩევის შემდგომ, განხორციელების დაწყებამდე განმცხადებელი ვალდებულია უზრუნველყოს შერჩეულ გამოცემაზე ნებართვის წარმოდგენა შესაბამისი ორგანიზაციიდან (გამომცემლობა, უნივერსიტეტი, საავტორო ჯგუფი თუ სხვა). სასურველია გამოცემა არ იყოს ორიენტირებული ფართო კომერციულ გათვლებზე, უპირველესად იგი უნდა გულისხმობდეს პროფესიული საზოგადოების საჭიროებას დარგში არსებული სიახლეების მიმართ.

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში ქართველი ახალგაზრდობის დაოსტატებისა და თანამედროვე დასავლური გამოცდილების გაზიარების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია**

მხარი დაუჭიროს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და კონსერვაციის სფეროში უცხოელი მაღალკვალიფიციური ექსპერტების საქართველოში ჩამოყვანასა და პროფესიული თრეინინგების ჩატარებას სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის.

**კონკურსის პირობები:**
პროექტთა წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური ექსპერტების მოზიდვას საქართველოს კულტურული მემკვიდრებისათვის გადაუდებელი საჭიროებათა გათვალისწინებით. განაცხადს აუცილებელია თან ახლდეს მოწვეული სპეციალისტის გამოცდილების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია, მისი სამუშაო ადგილ(ებ)ისა და ჩატარებული კვლევ(ებ)ის ჩამონათვალი, აგრეთვე დასაბუთება, თუ ექსპერტის გამოცდილების გაზიარება რითი შეუწყობს ხელს საქართველოში კონსერვაცია-რესტავრაციის სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესებას.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 6 000 ლარს.

კონკურსში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებსაც გააჩნიათ თანადაფინანსების წყარო

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
20 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს

**კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ქართველი ახალგაზრდობისათვის თანამედროვე დასავლური გამოცდილების გაზიარების ხელშესაწყობად**

**კონკურსის მიზანია**

წამყვან სარესტავრაციო, საკონსერვაციო და ამ სფეროს სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრებში ქართველი ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობა, საქართველოში მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ნიმუშების გადარჩენისათვის აუცილებელი ცოდნის განსავითარებლად. კონკურსი დააფინანსებს სამგზავრო გრანტებს იმ სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან უცხოურ ცენტრებში რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში დასაოსტატებლად.

კონკურსის პირობები:
განაცხადს თან უნდა ახლდეს ამგვარი ცენტრიდან (უნივერსიტეტიდან) მოწვევა, ენის ცოდნის სერთიფიკატი, საზღვარგარეთ მიმღები მხარის ვალდებულებები (სტიპენდია და სხვა), ცენტრის დახასიათება, განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფია და დასაბუთება თუ რა აუცილებლობითაა გამოწვეული აღნიშნულ დარგში მისი საზღვარგარეთ მივლინება. აუცილებელია წარმოდგენილ იქნას იმ სასწავლო საათების, საგნებისა თუ საკითხების ჩამონათვალი და ხანგრძლივობა, რომლის დაუფლებაც არის დაგეგმილი უცხოეთში მივლინებისას. შესაძლებელია განმცხადებელთან საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საექსპერტო კომისიის გასაუბრების საკითხის წამოჭრაც.
პირს რომელიც მიიღებს ამგვარ დახმარებას, დათქმული ვადების ფარგლებში საქართველოში დაბრუნებისას, შეუძლია მიმართოს სამინისტროს სამუშაო ადგილის მოპოვებისათვის სარეკომენდაციოდ.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტო

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ა ც ხ ა დ ე ბ ს კ ო ნ კ უ რ ს ს
**საქართველოს რეგიონებში სამუზეუმო დაწესებულების თანამშრომელთა პროფესიული დაოსტატებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად**

**კონკურსის მიზანია**

რეგიონალურ მუზეუმებში უზრუნველყოს დაცვისა და კოლექციათა შენახვის თანამედროვე პრინციპების გაცნობა და დანერგვა, ახალგაზრდობის მოზიდვა სამუზეუმო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, ცენტრსა და რეგიონებს შორის დაახლოება სამუზეუმო პრობლემათა ერთიანი ძალისხმევით მოსაგვარებლად.
კონკურსი ხელს შეუწყობს იმგვარი სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და სასწავლო კურსების ორგანიზებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიებისა და პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობის, ქვეყნის მუზეუმებში თანამედროვე სტანდარტების დასანერგად.

**კონკურსის პირობები:**

განაცხადი შეიძლება შემოიტანოს პროფესიონალთა ჯგუფმა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონალური მუზეუმების გააქტიურებას არსებული პრობლემების გაანალიზებისა და მოგვარების მიმართულებით.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.
პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
10 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

---

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საუკეთესო ქართულ-ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის შესაქმნელად**

**კონკურსის მიზანია**

ხელი შეუწყოს საერთაშორისო სივრცეში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სრულად და ღირსეულად წარმოჩენას, იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც ქართული კულტურის ინტეგრაციასთანაა დაკავშირებული საზღვარგარეთ.

კონკურსის პირობები:
ვებ გვერდი უნდა შეიცავდეს: რაც შეიძლება სრულ ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა სფეროსა და ძეგლების შესახებ, უნდა იყოს უხვად ილუსტრირებული და ინფორმაციული, მოტანილი ცნობები კვალიფიციური და მრავალფეროვანი. სასურველია ტექნიკური ჯგუფისა და პროფესიული წრეების თანამშრომლობა ვებ-გვერდის შექმნისას.
განსახილველად წარმოდგენილი უნდა იყოს:
საიტის კონცეფცია, სტრუქტურა, ასევე ყოველი ნაწილის სამაგალითო ვარიანტი: ტექსტებით, ილუსტრაციებით, თარგმანით, დიზაინით.

ბიუჯეტი:

თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2,500 ლარს.
პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

---

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს

**ძველი თბილისის ისტორიულ ძეგლებზე არსებულ მცირე ხელოვნების ნიმუშთა ფიქსაცია-პოპულარიზაციის სამუშაოებზე**

**კონკურსის მიზანია**

შეიქმნას მონაცემთა ბაზა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი, დღემდე მივიწყებული სფეროს - ძველი თბილისის ისტორიულ ნაგებობებზე არსებული მცირე ხელოვნების ნიმუშების შესახაბ (სადარბაზოს კარები, ცხაურები, კიბისა და აივნის მოაჯირები, ფარნები, ქუჩის წარწერები და სხვა). სისტემატიზაციისა და ამომწურავი ინფორმაციის არსებობა ხელს შეუწყობს ყოველდღიურად შემცირებული და უკვალოდ გამქრალი შესანიშნავი ნიმუშების დაფასებას, მათ გადარჩენასა და პოპულარიზაციას, სტიმულს მისცემს ქართველ ხუროთმოძღვართ აქტიურად გამოიყენონ ნიმუშები თავიანთ შემოქმედებაში.

კონკურსის პირობები:
დაგეგმილი კატალოგიზაცია უნდა ჩატარდეს არსებული საპასპორტო ფორმის შესაბამისად - ნიმუშების მისამართების, მდებარეობის, შენახულობის, თარიღის მითითებით და დახასიათება-აღწერით, ხარისხიანი დაწვრილებითი ფოტოფიქსაციით;
შეგროვილი მასალა საავტორო უფლებების დაცვით დაარქივდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში, გამოყენების უფლებით.

ბიუჯეტი:
თითოეული პროექტისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 4000 ლარს.

პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა:
15 სექტემბერი, 2004 წ.

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

---

**კოდი 04-მ-01**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**აცხადებს კონკურსს**

**გამოჩენილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის ლექსებზე მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად**
**კონკურსის საფუძველი:**
გამოჩენილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს პოეტის ლექსებზე ვოკალური ნაწარმოებებისა და ა კაპელა შერეული გუნდების შესაქმნელად.
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი - ქართული პროფესიული საკომპოზიტორო მემკვიდრეობის გამდიდრება სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებებით.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია თანამედროვე ქართული მუსიკა გაამდიდროს ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილი ახალი ნაწარმოებებით, გაააქტიუროს საქართველოს პროფესიული საკომპოზიტორო ცხოვრება, წაახალისოს ახალგაზრდა საკომპოზიტორო კადრები, ხელი შეუწყოს ქართველ შემსრულებელთა რეპერტუარის გამდიდრებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ჟანრის ნაწარმოებები: სიმღერა, რომანსი, ა კაპელა შერეული გუნდი.
კონკურსზე გამარჯვებული ნაწარმოებებისთვის თითოეულ ჟანრში დაწესებულია სამ - სამი პრემია: I პრემია - 800 ლარი
II პრემია - 700 ლარი
III პრემია - 600 ლარი.

განაცხადების მიღების წესი: საკონკურსო ნაწარმოები წარმოდგენილი უნდა იქნეს დევიზით, ორ ეგზემპლარად.
ცალკე, დახურულ კონვერტზე, აღინიშნება იგივე დევიზი, ხოლო კონვერტში - ავტორის სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

**საკონკურსო ნაწარმოებების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 1 ნოემბერი.**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
**ტელ. 99 03 06**
**ორშაბათს და ოთხშაბათს**
**14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.**

---

**კოდი 04-თ-04**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**პროფესიონალ მუსიკოსთა სამგზავრო გრანტზე**
**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის მუსიკალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე პროფესიონალთა სამგზავრო გრანტების
მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია სამგზავრო გრანტით ხელი შეუწყოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში, მასტერ-კლასებში, შესაძლებელი გახადოს ნიჭიერ ახალგაზრდათა წარგზავნა უცხოეთში, ამით დაეხმაროს მათი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, ქართველ მუსიკოსთა წარმოჩინებას და ინტეგრაციას მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების სივრცეში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მუსიკალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ მუსიკალურ მოღვაწეს უცხოეთიდან მიღებული მოწვევის საფუძველზე, რომლის პირობებშიც სამგზავრო გრანტის გარდა სხვა ხარჯები (კვება, სასტუმრო, უცხოეთის ტერიტორიაზე გადაადგილების ხარჯები და ა.შ.) უზრუნველყოფილია მომწვევი მხარის, ან თანადამფინანსებლის მიერ.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
*2004 წლის 15 სექტემბერი და 15 ნოემბერი ( განაცხადები განიხილება მათი შემოტანიდან 21 დღის ვადაში)*

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-მ-02**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისადა სპორტის სამინისტრო**
**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**მუსიკალურ სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშესაწყობად**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში.
თავისუფლი პროექტებმი უნდა დაეხმარონ საქართველოს პროფესიული მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე ხელოვანთა ისეთი ინიციატივების (საკონცერტო პროგრამებისა და სპექტაკლების დადგმა, მუსიკალური ნაწარმოებების გამოცემა და სხვა) განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების განვითარებას, პოპულარიზაციასა და ინტეგრაციას მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების სივრცეში.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მუსიკალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სპეციალობის ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი:* **თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-02**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თანამედროვე უცხოური პიესების კრებულის გამოცემაზე**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თეატრალური ლიტერატურის გამოცემის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია თანამედროვე უცხოური პიესების კრებულის გამოცემა. მსოფლიო დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების გამოქვეყნებამ, რომლის დეფიციტს დიდი ხანია განიცდის თეატრალური, ლიტერატურული წრეები და ფართო საზოგადოება, ხელი უნდა შეუწყოს ქართული თეატრების რეპერტუარის მრავალფეროვნებას, პროფესიონალებისა და მკითხველისათვის თანამედროვე დრამატურგიის მიმართულებების და ტენდენციების გაცნობას, მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობის სტიმულირებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თეატრალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერძო და იურიდიულ პირებს, საინიციატივო ჯგუფებს.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
კრებულის გამოცემის ბიუჯეტია 10 000 ლარი.
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2004 წლის 1 ოქტომბერი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-03**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**თეატრალური ხელოვნების სფეროში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობისთვის**
**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის თავისუფალი პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია იმ პროექტებისა ხელშეჭყობა, რომლებიც შეესაბამება საქართველოს პროფესიული თეატრალური განვითარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მაგრამ არ თავსდება ერთი რომელიმე პრიორიტეტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის ჩარჩოებში. მხარდაჭერა ექნებათ პროექტებს, რომლებიც თავიანთი არსით მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ქვეყანაში თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას (თეატრალური კრიტიკისა და ჟურნალისიტიკის განვითარების ხელშემწყობი პროექტები, სადადგმო ხარჯები ახალი სპექტაკლებისათვის, რეგიონების თეატრების სადადგმო ჯგუფების მიწვევა და სხვ.).

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახვითი ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციალობის მქონე ყველა პროფესიონალს, საინიციატივო ჯგუფს, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციას.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**კონკურსი ცხადდება 2004 წლის 10 აგვისტოდან**
**პროექტის ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 10 სექტემბერი**

*მისამართი:* **თბილისი, სანაპიროს ქN4**
**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**
**ხელოვნების დეპარტამენტი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*შენიშვნა:*
კონკურსის გამოცხადებამდე სამინისტრიში შემოსული საპროექტო განაცხადები შემოტანილ უნდა იქნეს განმეორებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
*ტელ. 99 03 06*
*სამშაბათს და ხუთშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

---

**კოდი 04-თ-04**

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს**

**პროფესიონალ თეატრალურ ხელოვანთა სამგზავრო გრანტზე**

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2004 წლის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო პროგრამის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე პროფესიონალთა სამგზავრო გრანტების
მხარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია სამგზავრო გრანტით ხელი შეუწყოს პროფესიული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებს (რეჟისორი, მსახიობი, დრამატურგი, კრიტიკოსი, თეატრმცოდნე, სცენოგრაფი) საერთაშორისო თეატრალურ ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობას. პროექტების განხორციელება დაეხმარება ქართული თეატრის მოღვაწეთა ინტეგრაციას საერთაშორისო კულტურულ პროგრამებში, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებას.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები უნდა ემსახურებოდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თეატრალური ხელოვნების 2004 წლის პროგრამის მიზნებს შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ თეატრალურ მოღვაწეს უცხოეთიდან მიღებული მოწვევის საფუძველზე, რომლის პირობებშიც სამგზავრო გრანტის გარდა სხვა ხარჯები (კვება, სასტუმრო, უცხოეთის ტერიტორიაზე გადაადგილების ხარჯები და ა.შ.) უზრუნველყოფილია მომწვევი მხარის, ან თანადამფინანსებლის მიერ.

**კონკურსის ბიუჯეტი:**
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2 500 ლარს.
პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის ჩაბარების ვადები:**
*2004 წლის 15 სექტემბერი და 15 ნოემბერი ( განაცხადები განიხილება მათი შემოტანიდან 21 დღის ვადაში)*

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

*მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქN4*
*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო*
*ხელოვნების დეპარტამენტი*
**ინფორმაციისათვის დარეკეთ:**

*ტელ. 99 03 06*
*ორშაბათს და ოთხშაბათს*
*14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.*

ათენი-2004

| 21 აგვისტო |
| --- |
| [illegible] |

| 22 აგვისტო |
| --- |
| [illegible] |

| საერთო ჩათვლა |
| --- |
| [illegible] |

# ჩემპიონის დაბადება

პირველი გვერდიდან

ჩემპიონი კი 382,5 ქულით გახდა, ანუ დაგეგმილზე 7,5 კგ-ით ნაკლები ასწია და მაინც მოიგო. ალბათ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობა სუფევდა ძალოსნობის დარბაზში. კაცმა რომ თქვას, დიმასი დიდ ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდიდა. მისგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდნენ. ასანიძეს კი ამ მხრივ უპირატესობა ჰქონდა. ის ფიცარნაგზე აბსოლუტურად თავისუფლად მოქმედებდა და იცოდა, რომ საქართველოსთვის მის მიერ მოპოვებული ნებისმიერი სინჯის მედალიც ჯილდო იყო. ამიტომ უშუალოდ ფიცარნაგზე ასანიძე უფრო მშვიდად გამოდიოდა, ვიდრე დიმასი.

ბერძენს აშკარად ეტყობოდა ასაკი. 33 წელი საუკეთესო ფორმის შენარჩუნებისთვის მეტისმეტია და არც ისაა ადვილი, ზედიზედ ოთხი ოლიმპიადა მოიგო. აშკარაა, რომ ბერძენთა კერპის საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა და ის აღარაფრის მომგები აღარ არის. ასანიძემ დიმასს ისეთი მძლავრი დარტყმა მიაყენა, თანაც პირდაპირ გულში, რომ ბერძენმა შეჯიბრების შემდეგ ფეხზე გაიხადა და ფიცარნაგი ფეხშიშველმა დატოვა. ეს დასასრულს ნიშნავს. დიმასი ქომაგებს დაემშვიდობა და მათაც ფეხზე ადგომით ხანგრძლივი ოვაციები მოუწყეს თავის კერპს.

დაჯილდოების ცერემონიალი, ფაქტობრივად, დიმასის გაცილებად გადაიქცა. ფანებმა მის პატივსაცემად მიტინგის მსგავსი მოაწყვეს. დიმას! დიმას!.. არ წყდებოდა ირგვლივ ოვაციები. ზუსტად ათი წუთი ყვიროდნენ განწირული ბერძნები თავისი კერპის სახელს და ბოლოს იმას მიაღწიეს, რომ ერთ დროს დაუმარცხებელი ლეგენდა აატირეს. ცხარე ცრემლით ტიროდა დიმასი - ესეც სიბერის ნიშანი - როგორ ვყვარებივარო, ფიქრობდა და ცრემლს ცრემლზე აპკურებდა სახელოვანი ჩემპიონი.

გიორგი ასანიძე და ვერცხლის პრიზიორი ბელორუსი ანდრეი რიბაკოვი კი თავის ჯერს ელოდებოდნენ. ბოლოს ისევ გიორგიმ მიუთითა ბელორუსს, კვარცხლბეკზე ასულიყო, რადგან ბერძნები ტაშის შეწყვეტას არ აპირებდნენ და აი, ოვაციებიდან ათი წუთის შემდეგ ჩვენი ჯერიც დადგა.

გიორგი ასანიძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო საქართველოს დროშა ყველაზე მაღლა აღიმართა. და როცა საქართველოს ჰიმნი აჟღერდა, დარბაზი მონუსხულივით გაყუჩდა. რაც მართალია, მართალია - ბერძნებმა მხარდაჭერა იციან. დამარცხების მიუხედავად, დიმასს აგრძნობინეს, რომ უყვართ და მისაგები პატივი ღირსეულად მიაგეს. კახიაშვილი უფრო გვიყვარსო, - გვითხრეს კულისებში. ვნახოთ, ბერძენთა მეორე კერპი დღეს აიღებს სტარტს და თუ ჩემპიონი გახდა, მიკაიას ძალოსნობის დარბაზი, ალბათ, დაინგრევა.



ასანიძეს ხელს უშლიდნენ, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერეს.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გიორგი ასანიძემ ტაქტიკური დუელი მოუგო თავის სახელოვან მეტოქეს. ზუსტად ისე, როგორც 4 წლის წინ სიდნეიში - დიმასმა. საქმე ის არის, რომ ასანიძე მეტოქეებს ზედა ზღვარს მუდმივად 2,5 კილოგრამით უწევდა. წესების თანახმად კი, როცა ზღვარი აიწევს, მას დაბლა ვეღარ ჩამოწევ. ამდენად, გიორგის მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა მეტოქეები.

ძალოსნებმა შეჯიბრება 162,5 კილოგრამიდან დაიწყეს. დიმასმა პირველ ცდაზე 170 კილოგრამი აიტაცა. საპასუხოდ, გიორგი ასანიძემ - 172,5 კგ. მესამე ცდაზე დიმასმა 175 კილოგრამი დაძლია, ასანიძემ კი - 177,5 კგ. ანუ ქართველი ძალოსანი მუდმივ ზეწოლას უკეთებდა ერთ დროს ბერძენთა ლიდერს. ბელორუსმა ანდრეი რიბაკოვმაც გამოიდო თავი და 180 კილოგრამი აიტაცა. ქართველმა გადაწყვიტა, იგივე წონა დაეძლია და დიმასისთვის პირველი ვარჯიშის შემდეგ 5 კილოთი გადაესწრო. ბერძნებმა კარგად იცოდნენ გიორგი ასანიძის შესაძლებლობები და ქართველ ათლეტს ოინი უყვეს - შტანგას წყალი გადაუსვეს, რომ გიორგის სიმძიმე ხელიდან დასხლტომოდა. მოხდა ისე, როგორც ბერძნებმა ჩაიფიქრეს. ასანიძემ წონა ვერ დაძლია. მას ხელი გაუცურდა და სიმძიმე გაუვარდა. "ბერძნები არაკაცურად მოიქცნენ. გიორგის ხელი სველი ჰქონდა. მე მაშინვე მივიჭერი მომსახურე პერსონალთან და ნამდვილი მაფია ხართ-მეთქი, მივაძახე," - ამბობს ასანიძის მწვრთნელი ვანო გრიქუროვი. ატაცში გიორგი ასანიძემ რიბაკოვის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

აკვრაში სცენარი თავიდან განმეორდა. დიმასმაც და გიორგიმაც პირველ ცდაზე 202,5 აკრეს. მეორე ცდა დიმასმა ჩააგდო. გიორგიმ კი 205 კილოგრამი დაძლია და ლიდერობა მოიპოვა. დიმასმა ბოლოს 207,5 კილოგრამი შეუკვეთა, მისი დაძლევა ვეღარ შეძლო და ქართველ ათლეტს, საბოლოოდ 5 კილოგრამით ჩამორჩა. დრამატული გამოდგა ჩინელი აი ჯუნ ჟუანის ბოლო გამოსვლა. მან 215 კილოგრამი შეუკვეთა და ეს წონა რომ დაეძლია, ქულებით გიორგის გაუთანაბრდებოდა და რაკი ქართველზე 31 გრამით მსუბუქი იყო, ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა. ჩინელმა ბევრი კი იწვალა, მაგრამ სიმძიმის დაფიქსირება ვერ მოახერხა - გიორგი ასანიძე ოლიმიური ჩემპიონი გახდა!

შეჯიბრების შემდეგ, ტრადიციულად, ჩემპიონს საქართველოს პრეზიდენტი შეეხმიანა და გამარჯვება მიულოცა. გიორგიმ მილოცვები მშობლიური საჩხერედანაც მიიღო. "მთელი საჩხერე ქეიფობსო", - უთხრეს ჩემპიონს ტელეფონში. გიორგი საჩხერლებს შეჰპირდა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ პირველ ვიზიტს მშობლიურ კუთხეში განვახორციელებო. დარბაზიდან გამოსულს კი ათენელი ქუთაისელები შეეგებნენ - "თქვენ გეიხარეთ, რავარც ჩვენ გაგვახარეთო", - მიაძახეს გიორგისა და ვანო გრიქუროვს, სურათი გადაიღეს და თავის გზაზე გასწიეს.

გიორგი ასანიძე: **"ძალიან რთული პაექრობა იყო. მე და ჩემმა მწვრთნელმა თავიდანვე ტაქტიკურად სწორად წარვმართეთ ბრძოლა და ამან გაამართლა. 4 წლის წინათ სწორედ ტაქტიკით მოიგო დიმასმა და მოხარული ვარ, რომ ამჯერად ჩვენმა ტაქტიკამ აჯობა. მინდა გამარჯვება მივულოცო ჩემს მწვრთნელს ვანო გრიქუროვს, რომელიც ჩემთან ერთად დიდხანს ელოდა ამ გამარჯვებას.**

- დიმასი საკუთარ სახლში მეოთხე ოლიმპიური ოქროსთვის იბრძოდა. ეს დისკომფორტს არ გიქმნიდათ?

**- რა თქმა უნდა, დიმასის საბერძნეთში დამარცხება იოლი საქმე არ იყო. მით უფრო, რომ ის ლეგენდარული შედეგისთვის ემზადებოდა და ყოველმხრივ შეეცდებოდა მიზნისთვის მიეღწია. სწორედ ამიტომ ეს გამარჯვება ჩემთვის ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სიდნეიში რომ მომეგო.**

- ბოლო დროს დოპინგზე უმკაცრესი კონტროლი დაწესდა. რა შეფასებას მისცემდით კონტროლის გამკაცრებას?

**- პრობლემას ვერ ვხედავ. დიახ, დოპინგის კონტროლი გამკაცრდა და ყველა ათლეტი ვალდებულია მას ანგარიში გაუწიოს. რაც უფრო გაიწმინდება სპორტი მანკიერი მოვლენებისგან, მით უკეთესი. ისევ კავკასიელებს გვექნება უპირატესობა.**

- რას გრძნობდა ოქროს მედალოსანი, როცა ბრინჯაოს მედალოსანს ხანგრძლივი ოვაციები მოუწყვეს?

**- პიროს დიმასი ბრინჯაოს მედალოსანი არ არის, ის ოლიმპიური ჩემპიონია** (ამ სიტყვებმა დარბაზში მხურვალე ტაში გამოიწვია).

პიროს დიმასი: **"რა თქმა უნდა, ჩემთვის ბრძოლა რთული იყო. დიდი იყო ემოცია. მე მეოთხე ოქროსთვის ვიბრძოდი. ამას გარდა, გარკვეული პრობლემები მქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. სამი თვის წინათ ფეხზე ქირურგიული ოპერაცია გადავიტანე და ბუნებრივია, რომ ჩემს გამოსვლას ამანაც გარკვეული დაღი დაასვა. თუმცა, მხარდამჭერისთვის ჩემს ქომაგებს მსურს, უღრმესი მადლობა მოვახსენო."**

# ვანო გრიქუროვი: "ახლა თქვენს განკარგულებაში ვარ"

კახა ფაჩუაშვილი
ათენიდან

*ვანო გრიქუროვი დიდი კაცია. მან საქართველოს ორი ოლიმპიური ჩემპიონი (კახიაშვილი და ასანიძე) გაუზარდა და ახლა მესამეს ზრდის. არსენ კასამბიევი ახალგაზრდებს შორის ევროპის რეკორდსმენია. გრიქუროვის თქმით, არსენს დიდი მომავალი აქვს და ეს მომავალი, სავარაუდოდ, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გამოჩნდება. მანამდე კი ბატონი ვანო ასანიძის ბრწყინვალე გამარჯვებით ხარობს. "იმით ვარ ბედნიერი, რომ კახიც და გიორგიც ძალიან მაფასებენ, - ამბობს ღვაწლმოსილი მწვრთნელი, - ჯერ კახი იყო, ახლა გიორგი ასანიძეა".*



გრიქუროვს (მარცხნივ) ასანიძის დანახვა აღარ უნდა.

- ძალიან ბედნიერი ვარ. იმით ვარ ბედნიერი, რომ შრომა დამიფასდა. ამიერიდან ასანიძე პოლონეთში აღარ დავინახო (იცინის).

**- ძალიან რთული ბრძოლა იყო. ბოლოს ჩინელის გამოსვლამ, ცოტა არ იყოს, შემაშინა.**

- ჩვენ ველოდით იმას, რომ ურთულესი ბრძოლა იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, დიმასი იმდენად არ მაშინებდა, როგორც ახალგაზრდა ბერძენი გეორგიოს მარკულასი და თურქი იზეთ ინსე, მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ მოხდა? თურქი ნულზე დარჩა, მარკულასმა კი 212,5 კილოგრამი ვერ დაძლია. რაც შეეხება ჩინელ აი ჯუნ ჟუანს, ის უაღრესად შეუპოვარი სპორტსმენია - მას 212 კილოგრამი აუწევია, მაგრამ 215 მეტისმეტი იყო და ვერც ასწია.

**- მარკულასს რა შანსი ჰქონდა?**

- იცით, ვარჯიშზე რამდენი აქვს აწეული? ატაცში - 180, აკვრაში - 217. ეს შედეგი რომ დაეფიქსირებინა, ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა.

**- თურქს რაღა დაემართა?**

- საქმე ის არის, რომ შეჯიბრება თავიდანვე დიდი წონებით დაიწყეს და პირველ მისვლაზე ბევრმა ასეთი წონა ვერ დაძლია. ასე დაემართა თურქსაც და რუს ძალოსანსაც.

**- ზედა ზღვარს მუდმივად რატომ სწევდით, ტაქტიკა გქონდათ ასეთი?**

- ჩვენ ეს ტაქტიკური გეგმა ავირჩიეთ. ასანიძემ კი ამ ტაქტიკის შესაბამისად მაქსიმუმი გააკეთა და ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა.

**- ესე იგი, გიორგის რეზერვი არ ჰქონდა?**

- გიორგი მზად იყო, ატაცში 180 კილოგრამი დაეძლია, ხოლო აკვრაში - 207, მაგრამ იქიდან გამომდინარე, როგორი მდგომარეობაც შეიქმნა, გიორგიმ მაქსიმუმი გააკეთა. ძალოსნობა ჭადრაკივითაა, მას გათვლები სჭირდება. ბავშვობაში ჭადრაკს კარგად ვთამაშობდი და კარგია, რომ ჩემი გათვლები ზუსტი აღმოჩნდა.

**- გიორგიმ დიმასს მიაყენა კი ძლიერი დარტყმა?**

- დიმასი დაბერდა. ასაკი თავისას შვება. ძნელია, ფაქტობრივად 16 წლის განმავლობაში ერთნაირად ძლიერი იყო, ამდენად მისი საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა.

**- ბერძნების იმედად კახილა დარჩა?**

- ძალიან მეეჭვება, კახი რომ ჩემპიონი გახდეს. მის წონაში ხუთი უძლიერესი ათლეტი გამოდის. სიდნეის შემდეგ კი კახიმ მხოლოდ ერთხელ იასპარეზა, ევროპის ჩემპიონატზე და, თუ არ ვცდები, მეხუთე ადგილზე გავიდა.

**- ასეც ცუდად აქვთ საქმე?**

- არა, მზადების პროგრამა ისე იყო გათვლილი, რომ კახი საუკეთესო ფორმაში ოლიმპიადისთვის უნდა შესულიყო, მაგრამ ასაკი თავისას შვება. კახიმ პირველი რეკორდი 17 წლის წინ დაამყარა.

**- ესე იგი, ტოტალიზატორში კახიზე ფსონსაც ვერ დადებდით?**

- კახის წონაში ფსონს ვერც ერთ ათლეტზე ვერ დავდებდი, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ხუთი თანაბარი ძალის ათლეტი გამოდის და ნებისმიერს შეუძლია, ოლიმპიური ჩემპიონი გახდეს, ისევე, როგორც გიორგი ასანიძესთან. გიორგი შეიძლებოდა პირველიც ყოფილიყო და უმედლოდაც დარჩენილიყო.

**- გიორგის გამოსვლის წინ გული რას გიგრძნობდათ?**

- არაფერს, მაგრამ არ მჯეროდა, რომ გიორგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა. ერთი პირობა ვფიქრობდი, მედალი მაინც აიღოს-მეთქი, მერე ღრმად რომ ჩავფიქრდი, საკუთარ თავს ვკითხე - რომელი? ვერცხლი, ბრინჯაო? ბოლოს მაინც დავასკვენი - ოქროსთვის უნდა იბრძოლოს! კარგია, რომ მოიგო.

**- რას გრძნობთ, როგორც ორი ოლიმიური ჩემპიონის აღმზრდელი?**

- ისეთი გადაღლილი ვარ, დასვენება ჩემთვის საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა.

ათენი-2004

# ნუ ღელავთ, ძმებო!

## გითვლიან სპორტსმენები

კახა ფაჩუაშვილი
ათენიდან

ჩვენი ქვეყნის არ იყოს, არც სპორტსმენებს გაუმართლათ. ათენის ოლიმპიურ სოფელში ლამაზი ქართული სახლი მუსულმანთა გარემოცვაში მოექცა. აქეთ-იქით აფრიკულ და არაბულ სახელმწიფოთა დროშებია გამოფენილი. ამას რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ქართველ კაცს ყველგან ერთი ბედი რომ აქვს, იმის თქმა მსურდა.

ჰოდა, ამ ლამაზ ქართულ სახლს ვესტუმრეთ. ბატუტზე ხტომამ შემაყოვნა. ანა დოლონაძე გერმანიის სახელით ოლიმპიური ჩემპიონი ხდებოდა და ბოლომდე შემოვრჩი. მოკლედ, შევყოვნდი და ოლიმპიურ სოფელს 20:10 წთ-ზე მივადექი. საშვის კვოტა 21 საათზე იწურებოდა, ამიტომ ბევრი ვერაფერი მოვასწარი, მაგრამ ის კი გავიგე, ჩვენები სოფელში თავს როგორ გრძნობენ.

ვერ ვიტყვი, რომ ქართველთა კოლონია საყოველთაო თვალთახედვის არეალშია მოხვედრილი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენები აქ თავს კომფორტულად გრძნობენ. "კარგად ვგრძნობ თავს, ძმაო," - მითხრა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ. აქ ერთი ოჯახივით ცხოვრობენ. ცდილობენ, იხუმრონ. ამ საქმეში კი ყველაზე გაწაფული გუნდის ექიმი ზურაბ კახაბრიშვილია.

ამას წინათ გლადიატორის ჩაჩქანი შეიძინა. აივნიდან გადმოდგა და ყვიროდა -დამაკვირდით, გენერალი მაქსიმუსი ვარო...

- ერთი ამას შეხედეთ. ალეკო, გადაუღე, თუ ძმა ხარ, რა? - სთხოვეს ალეკო ჯიბლაძეს, რომელიც ოლიმპიურ სოფელში რეპორტაჟს აკეთებდა. ზურაბ კახაბრიშვილი ჩვენს შესახვედრად ჩამოვიდა. თავის ოლიმპიურ ჟურნალში ჩვენს ფოტოებზე ხელი მოგვაწერინა, მაინც ყველა ერთად ხართო და ისევ სახლში გაუჩინარდა. ჩვენ კი ბეგი დარჩიასა და მისი ფალავნების გარემოცვაში დაგვტოვა.

კაცმა რომ თქვას, ძიუდოისტებს ღირსეული ცვლა ჩამოუვიდათ. კლასიკოსებში იმდენი სახელიანი და ძლიერი ფალავანია, რომ უიმედოდ არ დარჩებიან. ხოლო რამაზ ნოზაძეს გამოუცდელობამ თუ არ უღალატა, ადვილი შესაძლებელია, ოლიმპიური ჩემპიონიც გახდეს. გახსოვთ, ბუნებრივი მონაცემებისა და ნიჭის მქონე დავით გობეჯიშვილი ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე რომ იწყებდა ვარჯიშს (ყოველ შემთხვევაში, 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე ასე იყო) და შეჯიბრებიდან უმედლოდ არ დაბრუნებულა. სეული მოიგო, ბარსელონაში კი თავის მუდმივ მეტოქე ბრიუს ბაუმგარტნერთან შეხვედრაში ფიზიკური გამძლეობა არ ეყო, თორემ იქაც ჩემპიონი გახდებოდა. საბოლოოდ კი მესამე ადგილზე გავიდა.

ჰოდა, იმას ვამბობ, რომ რამაზიც ბუნებრივი მონაცემებით და ნიჭით გამოირჩევა. ოღონდ ეგ არის, ოლიმპიურ თამაშებზე პირველად იმყოფება. რამაზმა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო, დიდებში კი მესამეზე გავიდა. ნახევარფინალი, შეიძლება ითქვას, შემთხვევით, ბავშვური შეცდომის გამო წააგო ეგვიპტელ ფალავანთან. ასე რომ, რამაზს გამარჯვების შანსი ნამდვილად აქვს. თანაც რომ შეხედავ ცარიელი კუნთია.

"ეს ნავარჯიშევი არ გეგონოს, ბუნებრივად ასეთია", - მითხრა ბეგი დარჩიამ.

- როგორ ფიქრობ, გამარჯვების რეალური შანსი აქვს?

- გამარჯვების შანსი ყველას აქვს, აბა, ტყუილად ხომ არ ჩამოვიდნენ.

- აი, იმ ავსტრალიელს კი არავითარი შანსი არ ექნებოდა, - საუბარში ჩაერთო აკაკი ჩაჩუა

- რომელს?

- ბაკურიანში ჩვენთან ერთდ რომ ივარჯიშა.

- უკაცრავად, ვისზე საუბრობთ?

- ერთი ავსტრალიელი ჩამოჰყვა ცერცვაძეს, - ამბობს ბეგი დარჩია, - ბაკურიანში წავიყვანეთ ჩვენთან. აქეთ-იქით რომ ვატარეთ და ბოლოს შტანგასთან მივუშვით, იფიქრა, აქ სად მოვხვდიო.

- ისეთი ტიპი იყო, - აგრძელებს აკაკი ჩაჩუა, - ილეთს რო ვუკეთებდით, ოღონდ არ მეტკინოსო, ხელებს მკერდზე აიფარებდა და ხალიჩაზე თავისი ნებით გორდებოდა. იმას შანსი ნამდვილად არ ექნებოდა. ბოლოს მიგვატოვა და წავიდა.

- არიან ასეთი ტიპები, "ველური ბარათით" რომ ხვდებიან ოლიმპიურ თამაშებზე. იმათ არაფერი ეშველებათ. ჩვენებს კი შანსი ყველას აქვს, - თქვა ნაკრების მწვრთნელმა.

აკაკი ჩაჩუა, მუხრან ვახტანგაძე, მანუჩარ კვირკველია, რამაზ ნოზაძე - ის ფალავნები არიან, ვინც ათენში მედლის მოსაგებად ჩამოვიდა. სწორედ ამიტომ ვამბობ, ძიუდოისტებს კარგი ცვლა მოუვიდათ-მეთქი. გიორგი ასანიძე იქვე ტელევიზორთან მოკალათებულიყო და დროს კლავდა. მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა გვთხოვა, შეჯიბრებამდე (ოლიმპიურ სოფელში გიორგის ჩემპიონობამდე ვიყავი) ხმას ნუ გასცემთო და ამიტომ არაფერი მითქვამს. მხოლოდ მივესალმე.

მთავარი კი ლამაზ ქართულ სახლში ექიმის ოთახია. ზურაბ კახაბრიშვილი ოლიმპიელების მეტს ამ დღეებში ვერავის ხედავს და შესასვლელ კარზე მიუწერია - "მხოლოდ ოლიმპიელებისა და გლადიატორებისათვის, ტურისტები არ დავინახო". აბა რა, ტურისტს აქ რა უნდა. დასასვენებლად თუ ჩამოხვედი, წადი და აკროპოლისი ნახე, ზღვაში შეცურე, აქ რა გინდა. ეგრე არ არის? და ამ ლოგიკის შესაბამისად ოთახში მხოლოდ სპორტსმენებს უშვებს. მედპერსონალის განკარგულებაში რამდენიმე ოთახია. მისაღები, საწყობის მაგვარი, წამლებისათვის და მასაჟის ოთახი. კახაბრიშვილის ოთახში რომ შეხვიდეთ, ნამდვილად გაოცდებით. მგონი, არ არსებობს წამალი, ქართველ ექიმთა შეფს თბილისიდან რომ არ წამოეღო. მარტო ვიტამინები ექვსი ყუთი წამოუღია. "შენ ხუმრობ და ამ ექვსი ყუთიდან ორი უკვე აღარ მაქვს. "თავისუფლები" კი ჯერ არ ჩამოსულან. აქ, ძირითადად, ვიტამინებსა და მალამოებს ვხმარობთ ტრავმებისა და მასაჟისთვის. სერიოზული პრობლემა არავის აქვს. ახლახან ჩემთან მირიან გიორგაძე იყო, რაღაც მთხოვა და მივეცი. ასე მოდიან ჩემთან ყველანი, ასე რომ, თბილისში გამგზავრების წინ ჩემი ბარგი ბევრად უფრო შემსუბუქდება"" - ამბობს ზურაბ კახაბრიშვილი.

ჩვენებს სოფელში არც გართობა აკლიათ. ძირითადად, ბილიარდის თამაშით, მაგიდის ჩოგბურთით და აუზში ცურვით ირთობენ თავს. "ბილიარდშიც და ჩოგბურთშიც ყველაზე მაგარი მე ვარ. ერთი, ოლიმპიური ჩემპიონი არ გავმხდარვარ, თორემ, ამ საქმეში ვერავინ შემედრება, - ამბობს მუხრან ვახტანგაძე, - ჩვენებს კი გადაეცით, ნუ ინერვიულებენ, ყველაფერი სათანადო დონეზე იქნება".

ამასობაში 21 საათი გახდა და ჩემი კვოტაც ამოიწურა. ბეგი დარჩია ხუმრობით მეუბნება: "ე ბიჭო, ძებნა არ გამოაცხადონ. აქ არავინ დაგვადგეს, თორემ ხომ იცი აქაურების ამბავი, მსოფლიოს შეატყობინებენ". რაღა უნდა მექნა, ავიკრიფე გუდა-ნაბადი და უკან დავბრუნდი. სოფელში ყველა თავისებურად ცხოვრობს - ზოგი ველოსიპედით ჩაგიქროლებს, ზოგი სირბილით, სხვები კი ავტობუსს ელოდებიან.

ჰოლანდიის ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის სპორტსმენებს ველოსიპედები გამოატანა. ოლიმპიური სოფელი დიდია და დროს ნუ დაკარგავთო. ჰოდა, დაქრიან აწოწილი ჰოლანდიელები ორთვლიანებით სოფელში. ინგლისელები უფრო შორს წავიდნენ და პატარა მოცულობის მანქანები ჩამოიტანეს, მაგრამ ყველაზე მეტად იაპონელებს გაუმართლათ. ისინი პირდაპირ სასადილოსთან ცხოვრობენ და გამოვლენ თუ არა სახლიდან, სასადილოში ამოყოფენ თავს. ქართველთა ბანაკი ნეიტრალური ზონიდან ორ გაჩერებაში მდებარეობს და უკანა გზაზე ეს მანძილი მეც ავტობუსით გამოვიარე.

ვის არ შეხვდები აქ. ხერგიანის მძლეველ ნომურას მოვკარი თვალი, მაგრამ იმან ინგლისური არ იცის, მე კი იაპონური, ამიტომაც გაცლა ვამჯობინე.

# აშშ ათენშიც ზესახელმწიფოა

გიგა გურასაშვილი

*უეჭველი იყო, რომ მოპოვებული მედლებისა და მათი ხარისხობრივივე მაჩვენებლებით XXVIII ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოცურავეთა ასპარეზობებში პირველობას, როგორც ყოველთვის, ამერიკელები იგდებდნენ ხელთ. იანკებს ისტორიულმა მეტოქეებმა ავსტრალიელებმა წინააღმდეგობა მხოლოდ სამი დღე გაუწიეს. მერე და მერე კი, ცხრილის სათავეს, ჩვეულებისამებრ, ოკეანისგაღმელები მოექცნენ.*

ერთი სიტყვით, ცისფერი ბილიკების ზესახელმწიფოს წოდება კვლავაც ამერიკის საკუთრებაა. ოზებს კი ისღა დარჩენიათ, რევანშის წყურვილი გაიმძაფრონ და პეკინის თამაშებისთვის მოემზადონ.

ერთადერთხელ იყო, მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა ამერიკელებს რომ აჯობეს. მაგრამ ასეთი რამ ისტორიას ნახევარი საუკუნის წინათ 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ახსოვს, მერე კი...

ვიდრე ათენის ოლიმპიურ წყალში ასპარეზობები გახურდებოდა, საწყლოსნო სამყარო, რა თქმა უნდა, ამერიკელების თამადობით, ბარსელონას მსოფლიო ჩემპიონატზე გაბრწყინებულ მაიკლ ფელპსზე ლაპარაკობდა. ამერიკელებსვე ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ათენში თუ კი ვინმე ყველაზე მეტად შეძლებდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასვლას, ასეთი 19 წლის ფელპსი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, ბარსელონას მსოფლიო ჩემპიონატის ხუთგზის ჩემპიონად დატოვება ამის საფუძველს იძლეოდა, მაგრამ მთავარი ეს კი არ გახლდათ, არამედ ის თუ რა ამბიციით ეწვია ფელპსი ოლიმპიურ თამაშებს. ამბიცია რვა, ანაც შვიდგზის ჩემპიონობაში გამოიხატება.

გარდა ამისა, ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე ამერიკელებს ერთგვარი ბოღმა ახჩობდათ. ბოღმა ავსტრალიელი იან ტორპისა, რომელსაც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდეც და მერეც ცისფერი ბილიკების მბრძანებლად აღიქვამდნენ. ანუ, ამერიკელებს ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ სახელი, დიდება და ტრიუმფატორის შარავანდედი არა ამერიკელ, ამ შემთხვევაში კი ავსტრალიელ იან ტორპს რჩებოდა. ერთი სიტყვით, საჭირო გახდა ახალი გმირი, რა თქმა უნდა, ამერიკელი, რომელიც ტორპისკენ მიმართულ საყოველთაო ყურადღებას თავისკენ გადაძალავდა. შესაძლოა, ცოტა მუქად აღვწერეთ ყოველივე, მაგრამ მერწმუნეთ, ასე იყო. ნურც იმას იფიქრებთ, თითქოს მაიკლ ფელპსი ათვალწუნებული მყავდეს. დღესდღეობით თუ კი ვინმეზე შეიძლება თითი გაიშვირო და თქვა, რომ თანამედროვეობის უდიდესი მოცურავეაო, ასეთები იან ტორპი და მაიკლ ფელპსია. იან ტორპმა სიდნეიში მოპოვებულ სამ ოქროს მედალს ათენში ორიც მიუმატა და ახლა ხუთგზის ჩემპიონად იწოდება. მაიკლ ფელპსმა კი მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, მაინც ბრწყინვალე შედეგი დააფიქსირა. ამერიკელმა ათენში ექვსი "ოქრო" დაიმსახურა. აქედან ოთხი ინდივიდუალურში (400 და 200 მეტრზე კომპლექსური, 200 და 100 მეტრზე ბატერფლაი) და ორიც გუნდურში (4X200 "თავისუფალში" და 4X100 კომბინირებულში), ანუ ესტაფეტებში. ისე კი ამგვარი მაჩვენებლით ტორპი უფრო წინ იქნებოდა, სიდნეის მსგავსად (სიდნეიში ტორპმა 4X100 და 4X200 "თავისუფლები" მოიგო) აქაც რომ მოეგოთ ავსტრალიელებს. მოგებით კი ორი ინდივიდუალური - 400 და 200 მეტრზე "თავისუფალი" მოიგო.



ამერიკელები კომბინაციაში გამარჯვებას აღნიშნავენ.

ფავორიტთა დუელში მნიშვნელოვანი მოცურავეთა დასკვნითი დღე გამოდგა.

მაიკლ ფელპსმა, რომელმაც 4X100 კომბინირებულის ფინალურ გაცურვაში ოთხეულიდან საკუთარი სახელი ამოშალა და იგი თანაგუნდელ იან კროკერს გადაულოცა, ჩემპიონის სახელი კაცური საქციელითაც განამტკიცა. საქმე ისაა, რომ კვალიფიკაციებზე ამერიკელთა კვარტეტში - არონ პირსოლ, ბრენდან ჰანსენთან და ჯეისონ ლეჟაკთან ერთად აქეთ-იქით დაცურავდა და თანაგუნდელებს ფინალში გასვლაშიც შეეშველა, მაგრამ, როდესაც ფინალური გაცურვის დრო დადგა, მისი ადგილი იან კროკერს გადაულოცა. ჰოდა, მათაც თავი გამოიდეს და 4X100 კომბინირებული ესტაფეტა მსოფლიოს რეკორდით მოიგეს - 3.30,68. მაგრამ ამით არ დასრულებულა ისტორია. ვინაიდან ფელპსმა კვალიფიკაციებში იცურავა, ჩემპიონის მედალი, რიგით მეექვსე, ფელპსაც გადასცეს. ერთი სიტყვით, ფელპსი მეექვსე უმთავრეს ტიტულს თანაგუნდელებს უნდა უმადლოდეს, ისევე როგორც კროკერი ფელპს, რომელმაც თანაგუნდელს ჩემპიონობის შანსი მისცა. მეექვსე ოქროს მედლის შემდეგ ფელპსი იტყვის, "მიმაჩნია, რომ ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს...აშშ-ის ნაკრებმა ყველა დისციპლინაში მედლები მოიპოვა ერთის გარდა... აშშ-ის გუნდი ისტორიაში შევა...

გრძნობა, იყო ასეთი ბრწყინვალე გუნდის წევრი, დაუჯერებელი რამაა"...

დასკვნითი დღეს კუდი ავსტრალიელმა ქალებმაც მოიქნიეს. ჯინ რუნიმ, ლეიზელ ჯონსმა, პეტრია ტომასმა და ჯოდი ჰენრიმ იმავე დისციპლინაში ამერიკელების მიერ ოთხი წლის წინათ სიდნეიში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (3.58,30) დაამხეს - 3.57,32.

გარდა ამისა, 1500 მეტრზე ავსტრალიელმა გრანტ ჰეკეტმა უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ აღნიშნული დისციპლინის ბატონ-პატრონია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჰოლანდიელი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ინგე დე ბრუინის ჩემპიონობა 50 მეტრზე "თავისუფალში". ამ შემთხვევაში დისციპლინას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ხვალ დე ბრუინი 31 წლის ხდება. ასაკი ცურვისთვის სახუმარო ნამდვილად არაა.

და მაინც, პირველობა მედლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით ამერიკელებს დარჩათ, მეორეზე, ფაქტია, ავსტრალიელებს ვერავინ შეეცილებოდა. სიურპრიზი კი იაპონელებმა შემოგვთავაზეს, რომლებმაც ამავე მაჩვენებლებით მესამე ადგილი დაიკავეს.

# კრივის დარბაზში აღარაფერი გვესაქმება

კახა ფაჩუაშვილი
ათენიდან

თეოფილო სტივენსონისა და ფელიქს სავონის ეპოქა დასრულდა. კუბას დიდი მოკრივეები აღარ ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, ეს დიდები ჯერ არსად ჩანან. მაგალითად, ნიკოლოზ იზორიას წონაში (51 კგ.) თავისუფლების კუნძულს გამბოა ტოლედანო წარმოადგენს. ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტს. ისე რა, საშუალო დონის მოკრივეა. ტექნიკა და დარტყმა კარგი აქვს, მაგრამ თავს ვერ იცავს.

ამას წინათ ტაილანდელმა სომჯით იონგჯოორმა იმდენი ურტყა, კინაღამ სამშობლოში არ გაისტუმრა. სამი რაუნდი უგებდა ტაილანდელი კუბელს, მაგრამ ბოლოს ვერ გაუძლო მოძალებულ ტოლედანოს, რამდენიმე ძლიერი დარტყმა იგემა და საბოლოო ჯამში 26:21 დამარცხდა. კუბელმა ტაილანდელი კი გატეხა, მაგრამ მეოთხედფინალში საკმაოდ აგრესიულ რუსს, გეორგი ბალაკშინს გადაეყარა და შეიძლება გაილახოს კიდეც.

მეორე ბადეში კარგად ჩხუბობენ რანგი ჯერომ ტომასი, პოლონელი ანჯეი რზანი და უზბეკი ტულაშბოი დონიოროვი. უზბეკი და ფრანგი ერთმანეთს ხვდებიან, პოლონელს კი უკეთესად აქვს საქმე, მესამე ეტაპზე მისი მეტოქე აზერბაიჯანელი ფუად ასლანოვი იქნება. მან ჩვენი ნიკოლოზ იზორია დაამარცხა და სიმართლე რომ ითქვას, დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. იზორია უფრო აგრესიული რომ ყოფილიყო, განსაკუთრებით მესამე და მეოთხე რაუნდებში, აზერბაიჯანელის დამარცხებას შეძლებდა, მაგრამ სათანადო ფხა ვერ გამოიჩინა.

ამრიგად, ორივე ქართველმა მოკრივემ - კონსტანტინე კუპატაძემ და ნიკოლოზ იზორიამ ოლიმპიური თამაშები მერვედფინალურ ეტაპზე დაასრულეს და ვიდრე სათანადო პირობები არ გვექნება, ჩვენში კარგი მოკრივის აღზრდა ყოველთვის გაჭირდება.

შაბათს ოლიმპიური თამაშები კიდევ ერთმა ჩვენმა თანამემამულემ დაასრულა. იულია დუბინა სამხტომში 13,47 მეტრზე გადახტა და საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია.

ფეხბურთი

# ლიდერთა ზავი

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტური ქულადაუკარგავ ლიდერთა დაპირისპირებით გამოირჩა. ქუთაისში ერთმანეთს ადგილობრივი "ტორპედო" და თბილისის "დინამო" შეხვდნენ. გარდა იმისა, რომ ორივე გუნდმა ამ შეხვედრის წინ 9 შესაძლებლიდან 9 ქულა დააგროვა, მათი დაპირისპირება სხვა კუთხიდანაც იყო მნიშვნელოვანი. "დინამო" და "ტორპედო" ერთმანეთისთვის, ტრადიციულად, პრინციპული მეტოქეები არიან. ეს განსაკუთრებით ბოლო წლებზე ითქმის. 1999-2002 წლებში "ტორპედო" ზედიზედ სამჯერ გახდა ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული. "დინამომ" ქუთათურების ჰეგემონია მხოლოდ 2003 წელს დაარღვია, თუმცა, შარშან თავად დაკარგა ჩემპიონის ტიტული. თავის მხრივ, წინა სეზონში "ტორპედომ" ექვსეულში შესვლაც ვერ მოახერხა, თუმცა, თასის ფინალში გააღწია, სადაც სწორედ გუშინდელ მეტოქესთან, "დინამოსთან" მინიმალური ანგარიშით, 1:2 დამარცხდა.

გუშინდელი შეხვედრის მთავარი მოვლენები სადებიუტო 10 წუთში განვითარდა. ქუთათურებმა უკვე მეოთხე წუთზე გახსნეს ანგარიში. გოლი ლამაზი დარტყმით მეგრელაძემ მიითვალა. თუმცა, "დინამომ" სწრაფადვე უპასუხა: კაკალაძემ ანგარიშის გათანაბრება ოთხ წუთში შეძლო. მთელი დარჩენილი 80 წუთის განმავლობაში ორივე კართან შეიქმნა საგოლე მომენტები, მაგრამ ვერც მასპინძლებმა და ვეღარც სტუმრებმა დაწინაურება ვეღარ მოახერხეს. შეხვედრა დასრულდა ფრედ, 1:1.

*გია გეგუჩაძე ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი):* "შეხვედრის დასაწყისშივე სწრაფი გოლები გავიდა, რამაც მთელი მატჩი სანახაობრივად მიმზიდველი და დაძაბული გახადა. როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში ორივე გუნდს შეეძლო გოლის კიდევ გატანა. ისეთ სერიოზულ მეტოქესთან, როგორიც "ტორპედოა", გასვლით შეხვედრაში ქულის მოპოვებით უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა, იმასაც აღვნიშნავ, რომ "დინამო" ნებისმიერ თამაშში მხოლოდ მოსაგებად გამოდის მოედანზე."

*ოთარ გაბელია ("ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი):* "ორი აზრი არ არსებობს, რომ "დინამო" მაღალი კლასის, ძალიან კარგი გუნდია და ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. ამიტომ, ასეთ გუნდთან თანაბარ დონეზე თამაში და რიგ ეპიზოდებში მისი დაჯაბნაც კი აქტივში გვეთვლება. ამ გუნდმა სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრება გაიარა, თანაც უცხოეთში. ჩვენ ამით განებივრებულები არ ვყოფილვართ. "დინამომ" ჩემპიონატში ყველა ძლიერი მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა და მხოლოდ ჩვენთან დაკარგა პირველი ქულები."

საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა:

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია - დინამო (ბთ) | 3:2 |
| ლოკომოტივი - სიონი | 4:0 |
| ზესტაფგონი - კოლხეთი | 1:2 |
| თბილისი - დილა | 4:1 |

მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 4 | 3 | 1 | 0 | 14:4 | 10 |
| ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 0 | 1 | 10:7 | 9 |
| თბილისი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:6 | 9 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| დინამო (ბთ) | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| კოლხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| სიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:14 | 3 |
| დილა | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | 0 |
| ზესტაფონი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:13 | 0 |

რაგბი

# აფრიკა ჩემპიონია

სამი ერის გათამაშება
**სამ. აფრიკა - ავსტრალია
23:19**

რამდენიც არ უნდა თქმულიყო სამხრეთი აფრიკა წლეულს ჩინებულ ფორმაშიაო, "ქურციკთაგან" ავსტრალიური "ვოლაბიზის" დამარცხებისა უმეტესობას მაინც არ სჯეროდა. რაც არ უნდა ითქვას, ავსტრალიელები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები არიან და ეს გუნდი მუდამ კარგ თამაშს აჩვენებს. ამასთან, სამხრეთ აფრიკა ბოლო წლებში აშკარად დაეჩაგვრინა სამხრეთელ ბობოლებს, ამიტომაც არსებობდა ეჭვი, ეგრე უცებ ერთ წელიწადში ვერ შეძლებენ აფრიკელები შეცვლას და ყველას დამარცხებასო. "ქურციკებმა" არნახულად დიდი ნახტომი გააკეთეს. დღეს იმ გუნდისგან, რომლის დამარცხებაც დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, აჩრდილიც კი არ დარჩენილა. ყველაფერი 180 გრადუსით შემოტრიალდა. დღეს სამხრეთ აფრიკის ნაკრები სულ სხვა გუნდია. ისეთი, რომელსაც ნებისმიერის დამარცხება შეუძლია.

პირველი ნახევარი ავსტრალიელთა გამარჯვებით დასრულდა - ტუკირის ლელოს აფრიკელებმა მონტგომერის საჯარიმოთი უპასუხეს. ყველაფერი მეორე ნახევრის 25 წუთში გადაწყდა. დროის ეს მონაკვეთი აფრიკელებმა 20:0 მოიგეს და ფაქტობრივად გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი. დარჩენილ დროში ავსტრალიელებმა ერთხელაც გაიბრძოლეს, ორი ლელო გაიტანეს, მაგრამ შეხვედრის სასურველი ანგარიშით დასამთავრებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სამხრეთ აფრიკა სამი ერის 2004 წლის გათამაშების გამარჯვებულია.

ამერიკული ისტორია

# გზა, რომელიც არასდროს დასრულდება და არსად მიგვიყვანს

მაგდა ანიკაშვილი

კონტრკულტურულ ამერიკულ კინოზე საუბარს დენის ჰოპერის "უდარდელი მგზავრით" (Easy Rider) იწყებენ. მართალია, არსებობს სხვა, არანაკლებ საინტერესო ფილმები, რომლებშიც ეპოქის იდეები და განწყობა აისახა, მაგრამ ეს ე.წ. "საგზაო ფილმის" სტილში გაკეთებული ნამუშევარი, ყველაზე პოპულარული და ახლობელი გახდა თავად ახალგაზრდებისთვის. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ფილმი გადაღებულია ადამიანების მიერ, რომლებიც თავად იყვნენ ამ მოვლენებში ჩართულნი, ეს მათი ცხოვრება იყო და ამან განაპირობა გმირების გულწრფელობაც.

დენის ჰოპერი და პიტერ ფონდა მეგობრები იყვნენ, 60-იანი წლები მათი ახალგაზრდობა იყო და ტერი სოუტერნთან ერთად ფილმის სცენარზე მუშაობისას კარგად იცოდნენ რას ეხებოდნენ. მათ ფილმი საკუთარ თავზე, მეგობრების წრეზე გადაიღეს და თავადაც არ ელოდნენ ასეთ წარმატებას, ვერ გათვლიდნენ, რომ "უდარდელი მგზავრი" თაობის სიმბოლო გახდებოდა (1969 წელს კანის ფესტივალზე დენის ჰოპერს პალმის რტო გადასცეს საუკეთესო დებიუტისათვის, რის შემდეგაც ამერიკის კინოაკადემიამ ის "ოსკარზე" წარადგინა).

ფონდაც და ჰოპერიც საკმაოდ საინტერესო ადამიანები არიან. ჰოლივუდის ვარსკვლავის ჰენრი ფონდას ვაჟი და ჯეინ ფონდას ძმა უკვე იყო ამხედრებული ახალგაზრდობის სიმბოლო. 1965 წელს ჯორჯ კორმანის "ველურ ანგელოზებში" ტყავის ქურთუკსა და შავ სათვალეში გამოწყობილი პიტერ ფონდა კრიმინალური დაჯგუფების ერთდროულად საშიში და მიმზიდველი მეთაურის როლს ასრულებდა. ფილმ "მოგზაურობაში" ის ნარკომანი მეამბოხეა. ასე რომ, ფონდა მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი 60-იანელი იყო.

ლი სტრასბერგის სტუდიის აღზრდილი ჰოპერი პირველად ნიკოლას რეის "ჯონი გიტარაში" გამოჩნდა, რის შემდეგაც "მეამბოხე მიზეზის გარეშეში" დინთან დაპირისპირებული გუნდის ერთ-ერთი წევრის როლი შეასრულა. გადაღებებისას ის დაუმეგობრდა ჯეიმს დინს, რომლის სიკვდილიც დენის ჰოპერისთვის ნამდვილი ტრაგედია გახდა. მან დიდხანს ვერ სძლია დეპრესიას, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს. დენის ჰოპერი ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე ცუდი რეპუტაციის მქონე მსახიობად იქცა. სტუდიები უარს ამბობდნენ მასთან თანამშრომლობაზე, რადგან რეჟისორებსა და გადამღებ ჯგუფს მუდმივ პრობლემებს უქმნიდა. ლეგენდის მიხედვით სწორედ მაშინ გადაწყვიტა დენის ჰოპერმა საკუთარი ფილმის გადაღება. იშოვა 400 ათასი დოლარი, სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის ძალიან მცირე თანხა, დაუძახა მეგობრებს, პიტერ ფონდას (სცენარის თანაავტორს და პროდიუსერს), ჯეკ ნიკოლსონს და გადაიღო "უდარდელი მგზავრი". ამ ლეგენდას რომ თავი გავანებოთ, ფილმის შექმნა კანონზომიერი იყო. ვიღაცას უნდა გადაეღო ფილმი-მანიფესტი, კულმინაცია ეპოქისა, უნდა მოეყოლა მთელი თაობის თავგადასავალი და არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს დენის ჰოპერი იქნებოდა თუ ვინმე სხვა.

"უდარდელი მგზავრი" ფილმი-მოგზაურობაა. აქ მთავარი გზაა, რომელსაც მიჰყვებიან გმირები და რომელიც არ სრულდება და რომელიც არის მთელი ცხოვრება, მთელი ამერიკა. იმ თაობისთვის ეს სიმბოლო განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. ჯეკ კერუაკის რომანის შემდეგ გზა უმნიშვნელოვანესი გახდა მათ ცხოვრებაში. ეს იყო მიზანი და არა საშუალება მიზნის მიღწევისა. გზის არსებობის იდეა ის არის, რომ არასდროს დასრულდეს მოგზაურობა, არსად შეჩერდეს გმირი და არ გადაუხვიოს ამ გზიდან.

ფილმს ორი მთავარი გმირი ჰყავს, ორი მოგზაური მეგობარი უაითი (პიტერ ფონდა) და ბილი (დენის ჰოპერი). მათი სახელები ველური დასავლეთის გმირებისა და საშიში დამნაშავეების უაით ერფისა და ბიჭუნა ბილის ასოციაციას გვიქმნის. ორი ბაიკერიც სწორედ იმ ადგილებს გადის, სადაც ოდესღაც თავზეხელაღებული ყაჩაღები დააჭენებდნენ ცხენებს. მათი მოგზაურობა, სავარაუდოდ, მექსიკაში იწყება, ნარკოტიკებს ყიდულობენ, შემდეგ ყიდიან და დიდ ფულს იღებენ, რომლის დასახარჯადაც ახალი ორლეანის კარნავალისაკენ მიეშურებიან. მათ მოტოციკლეტებზე ამერიკის დროშაა გამოსახული, ისევე როგორც პიტერ ფონდას ტყავის ქურთუკზე, მისი მეტსახელი ხომ კაპიტანი ამერიკაა, კომიქსების სუპერგმირის სახელი. უაითი არის კიდეც ამერიკის გმირი, იმ თავისუფალი ამერიკის, რომელშიც ის მოგზაურობს. ეს ადგილები ნაცნობია ვესტერნის ჟანრის ფილმების მოყვარულთათვის: ვრცელი უდაბნო, უკიდეგანო სივრცე, კლდეები და კანიონები, გავარვარებული მზის ამოსვლა და დაისი. ეს ამერიკაა უდარდელი მგზავრების სამშობლო, რომელიც არ არის დასახლებული გაბოროტებული ადამიანებით, ვისთან შეხვედრაც წინ ელით გმირებს. ამ ფილმს როკ-ბალადასაც უწოდებენ იმ მუსიკის გამო, რომელიც თან სდევს უაითისა და ბილის მოგზაურობას. სიმღერები, რომელთა სათავეშიც Steppenwolf-ის Born To Be Wild-ია, ყველაზე კარგად გამოხატავენ თავისუფლებისმოყვარე სულის ხეტიალს. კარნავალამდე ერთი კვირა აქვთ მეგობრებს. ისინი არსად ჩქარობენ, მშვიდად მიუყვებიან გზას და თავისუფალი ამერიკით ტკბებიან, თუმცა ეს განწყობა არ ვრცელდება იმ ადამიანებზე, რომლებითაც დასახლებულია ეს გზა და ამას მაყურებელი მაშინ ხვდება, როდესაც დაღამებისას არც ერთი სასტუმროს მეპატრონე კარს არ გაუღებს მოგზაურებს.

ყველაფერი, რაც გზაზე ხვდებათ უაითსა და ბილის, ამერიკის ცხოვრების ნაწილია. მათ ფერმერი გაუმასპინძლდება, რომელიც ოჯახთან ერთად მარტო დასახლებულა ბუნებაში და მეურნეობას უვლის. მისი შრომა, მართლაც, პატივისცემის ღირსია, მისი მეუღლე, როგორც ჩანს, წარმოშობით ინდიელია, მათ ბევრი შვილი ჰყავთ და ისევე ცხოვრობენ, როგორც ალბათ ასი წლის წინ ცხოვრობდნენ მათი წინაპრები. უაითს ძალიან მისწონს ეს ადგილი, მაგრამ იმასაც აღიარებს, რომ ასე ვერ იცხოვრებდა. მისი მიზანი გზაა. მეგობრებს ჰიპების კომუნაც შეხვდება. ფილმში ნამდვილი კომუნაა გადაღებული. აქ უკვე ბავშვებიც გაზრდილან. მშვიდად ცხოვრობენ ჰიპები. მათ მიუტოვებიათ წინა ცხოვრება და წარსულს არ იხსენებენ. ერთ-ერთი მამაკაცი საკუთარ წარმოშობას ასე ხსნის: მე ქალაქიდან ვარ, რა მნიშვნელობა აქვს რომლიდან, ყველა ქალაქი ერთნაირია. სიმშვიდეს მიაგნეს, მაგრამ გაჭირვება თრგუნავთ. ამის გამო ახალი წევრების მიღება არ შეუძლიათ. უნაყოფობის მიზეზით მოსავალი ცოტა მოდისო - ჩივიან ჰიპები. ისინი თესავენ ხორბალს და შემდეგ ლოცულობენ კარგი მოსავლისათვის.

აქ ალბათ უნდა გავიხსენოთ ის სპეციფიური დამოკიდებულება, რომელიც ჰიპებს ჰქონდათ შრომის მიმართ. ისინი აღიარებდნენ შრომას არა მომხვეჭელობის, არამედ ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შექმნისთვის. მათ მოჰყავდათ ან ყიდულობდნენ საკვებს, უბრალო ჩასაცმელს, აუცილებელ ნივთებს და არა ფუფუნების საგნებს. თავიანთ კომუნებშიც იღებდნენ მხოლოდ გარკვეული პროფესიის ადამიანებს: ექიმებს, მასწავლებლებს, მუშებს და არა მეწარმეებს ან სახელმწიფო მოხელეებს.

უაითი და ბილი მასპინძლების ლოცვაში მიიღებენ მონაწილეობას. გოგონებთან ერთად შიშვლები მდინარეში იბანავებენ, როგორც ნამდვილი ყვავილთა შვილები. უაითს ძალიან მოსწონს კომუნა, დარჩენის შემოთავაზებასაც მიიღებს მათი მეთაურისგან, მაგრამ მეგობრები გზას აგრძელებენ. მართალია, იდეურად მოსწონთ ეს ადგილი, მაგრამ კომუნა მაინც ჩაკეტილი საზოგადოებაა, იზოლაცია კი მთავარს, მოძრაობას, გზის იდეას ეწინააღმდეგება.

გზაზე შემოხვედრილ პატარა ქალაქში კი ისინი საპატიმროში ამოყოფენ თავს.

საკანში მოგზაურებს ვინმე ჯორჯ ჰენსონი (ჯეკ ნიკოლსონი) დახვდებათ, წარმატებული იურისტი, მდიდარი მეწარმის შვილი, რომელიც გამოირჩევა უცნაური საქციელით. წინა დღესაც დათვრა და არც კი ახსოვს რა ჩაიდინა. მართალია ყველა გაოცებულია, თუ რატომ იქცევა ასე უმსგავსოდ მისტერ ჰენსონი, მაგრამ მდგომარეობის შესაფერისად მას ციხეშიც დიდი პატივით ეპყრობიან. სწორედ ის გამოიყვანს ციხიდან ახალშეძენილ მეგობრებს და თან დაამატებს: პრობლემა არ იქნება, თუ თეთრი არ მოგიკლავთო, ანუ შავკანიანთა მკვლელობა პოლიციისთვის მკვლელობად არ ითვლება.

გაიგებს თუ არა ჯორჯი, რომ მეგობრები ახალ ორლეანში მიემგზავრებიან, მაშინვე გაახსენდება, რომ თავად გუბერნატორის მიერ მიცემული ერთი ძვირადღირებული ბორდელის მისამართი აქვს და კაპიტანი ამერიკას მოტოციკლეტს შემოახტება. რა აიძულებს მას ასე უკანმოუხედავად მიატოვოს სახლი და კარიერა, ყველას გაუფრთხილებლად გაჰყვეს ახლახან გაცნობილ, თითქმის უცხო ადამიანებს, თითქოს მთელი ცხოვრება მათ გამოჩენას ელოდაო? ალბათ ისევ გზა, რომელიც არ ასვენებს თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს, ეძახის მათ და აიძულებს დაუსრულებლად იხეტიალონ.

ახალი მეგობრების წყალობით ჯორჯ ჰენსონი ხელგაშლილი მიაპობს სივრცეს, ხარბად სუნთქავს ჰაერს, თითქოს აქამდე ჩახუთულ სივრცეში ცხოვრობდა და ვერ იჯერებს, რომ ისევ ახურავს ჩაფხუტი. ბავშვობაში ამერიკული ფეხბურთით გატაცებულ ჯორჯს დედამ დაანებებინა თავი ვარჯიშისათვის, რადგან ეშინოდა რაიმე არ ტკენოდა შვილს. ტყეში ცეცხლის პირას დამსხდარი მეგობრები ჯორჯს პირველად ასინჯებენ მარიხუანას. მაშინვე იწყება საუბარი უცხოპლანეტელებზე, ოცნებებზე. თითქოს კოსმოსში არსებობს სხვა პლანეტა, რომელიც ისეთივე არსებებითაა დასახლებული, როგორც დედამიწა, იმ განსხვავებით, რომ იქ არ არის ფული, ომი. იქაური არსებები ბედნიერნი არიან და მეტიც, თურმე დედამიწაზე ჩამოდიან და ადამიანებთან კონტაქტს ფარულად ამყარებენ, პანიკა რომ არ გამოიწვიონ. მარიხუანას ბოლში გახვეული მეგობრების ამგვარი საუბარი და თეორიები, რაღაცით გვაგონებს ტიმოთი ლირის მოსაზრებებს აზროვნების გაფართოების შესახებ, რომელიც ყველას ჰპირდება მოგზაურობას იდეალურ სამყაროში, თუნდაც სხვა პლანეტაზე.

მოგზაურობა გრძელდება და დიდი ქალაქის განლაგება, რომელიც გზაზე შემოხვდება სამეულს, უცნაურია. ერთ მხარეს ცივი ქვის შენობები, მეორე მხარეს კი სასაფლაო. დიდი განსხვავება არ არის მათ შორის, მოკლედ, ნამდვილი მკვდარი ქალაქია. სწორედ აქ, ერთ პატარა კაფეში შესული მეგობრები ბილის გრძელი თმით, უაითის გამომწვევი ჩაცმულობით და ალბათ ჯორჯის ბედნიერი გამომეტყველებით შოკში ჩააგდებენ ადგილობრივ მცხოვრებლებს და სამართალდამცავებს. სანამ "ერთი მაგათ სეირი ვუჩვენოთო" იტყვიან დაბოღმილი მამაკაცები, იმის გამო, რომ გოგონების დიდი სიმპათია დაიმსახურეს მოგზაურებმა, სამივენი გაერიდებიან დაძაბულ გარემოს და ისევ ტყეს შეაფარებენ თავს. სწორედ აქ ამბობს ჯეკ ნიკოლსონის გმირი: ეს ამერიკა ერთ დროს წესიერი ქვეყანა იყო და ახლა ველარ ვხვდები რა მოუვიდაო. იურისტის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპებზე აგებული ქვეყნის ილუზიის გაქარწყლებად აღიქმება. ჯორჯ ჰენსონი განაგრძობს: ბევრს საუბრობენ პიროვნების თავისუფლებაზე, ეს სიტყვები ფარად აქვთ აფარებული, მაგრამ თუ მართლაც თავისუფალი ადამიანი შემოხვდათ, ეშინიათ, იმიტომ რომ ის მათთვის საფრთხეს წარმოადგენსო. ეს სიმართლეა, სამი ადამიანი, რომელიც განსხვავებულია, არ არის დამოკიდებული ყოფით წვრილმანებზე, ფულზე ან ძალაუფლებაზე, საშიშია მთელი ქალაქისთვის. მათი თავისუფლება შიშის ზარს სცემს მოქალაქეებს. კაპიტანი ამერიკა ერთ ჰიპთან საუბრისას ამბობს: არასდროს მინდოდა ვყოფილიყავი სხვა ვინმე საკუთარი თავის გარდაო. ის არ თამაშობს, იცის ვინ არის და ჰარმონიაშია საკუთარ თავთან, ერთი სიტყვით, თავისუფალია და ამის გამო ესხმიან ღამით მძინარე მეგობრებს თავს და ჯოხებით სცემენ. ჯორჯ ჰენსონს კი თავს გაუხეთქავენ.

ამ თემის გამო "უდარდელი მგზავრი" ბევრად მნიშვნელოვანი ფილმია, ვიდრე მხოლოდ ერთი ქვეყნის პრობლემებისა და ერთი მოძრაობის იდეების გამომხატველი სურათი შეიძლებოდა ყოფილიყო. შიში გამორჩეულის, უცხოს მიმართ დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით კი ქართული კულტურისათვის. მოთხოვნილება იმისა, რომ ყველა ერთნაირი იყოს, ყველამ ერთნაირად იფიქროს და იმოქმედოს, განსაკუთრებით ჩაკეტილ საზოგადოებას ახასიათებს. ქსენოფობია ხომ ლამის მთავარ პრობლემად გადაიქცა ჩვენთვის, რის გამოც ფერხდება საზოგადოების განვითარება, იხშობა სალი აზრი და მრავალფეროვნების მშვენიერება.

გარდაცვლილი მეგობრის პატივსაცემად უაითი და ბილი ახალ ორლეანის ბორდელში მიდიან, სადაც ვერ ჩამოაღწია ჯორჯმა. სექსი არ არის მთავარი, ქალებთან ერთად ქუჩაში გამოდიან და კარნავალს უერთდებიან, რასაც მოჰყვება სცენა სასაფლაოზე, რაც ალბათ იმ გრძნობების ახსნაა, რომლებიც ადამიანს LSD-ს მიღების შემდეგ ეუფლება. კამერაც გმირებთან ერთად გადაყლაპავს აბს და ნარკოტიკების გავლენის ქვეშ ექცევა. ყველაფერი ტრიალებს, ჩნდება უცნაური გამოსახულებები, ჰალუცინაციები, ცოცხლდება დაკრძალვის სცენა, სექსის და ლოცვის ხმა ისმის ერთდროულად. ეს ყველაფერი ერთმანეთში ირევა და ქრება.

ცისფერ ცაზე მზე ბრწყინავს. გარშემო მდელოებია ყვავილებით დაფარული და გზა იკარგება უსასრულობაში. ორი ადამიანი მოტოციკლეტებით მიქრის. ისევ უაითი, ოდნავ წინ, და ბილი, რომელიც ჩამორჩება მეგობარს. დაღამებისას ტყეში ცეცხლს დაანთებენ და ძილის წინ უაითი ეუბნება კარნავალზე დასწრებით გახარებულ მეგობარს, რომ ახალ ორლეანში ჩამოსვლა ეს არაფერია და არც კარნავალი ყოფილა დიდი მნიშვნელობის. კაპიტანი ამერიკა ხვდება, რომ გზაზე დასახული მიზნები ფუჭია, ისევე, როგორც ცხოვრებაში, რომ მთავარი გზაა, პროცესი, რომელიც არასდროს უნდა დასრულდეს, ბედნიერება ჰორიზონტის დევნაა, რომელიც სულ გშორდება, გაგირბის.

დილით მეგობრებს სატვირთო მანქანა დაეწევა. მასში ორი შუახნის ფერმერი ზის. ერთი მათგანი მოჰკრავს თუ არა თვალს მგზავრებს თოფს გადმოიღებს და ესვრის ბილის. უკან მობრუნებულ უაითს მეორე ტყვია კლავს. თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს ორი კურდღელი მოუკლავთ მინდორში, სატვირთო მანქანა გზას განაგრძობს. ბილი და უაითი გზაზე დარჩებიან, როგორც სიმბოლო ადამიანთა სიძულვილისა და სისასტიკისა რჩეულთა მიმართ. დაუსრულებელი ხეტიალის იდეა კი ცოცხალი დარჩა და კიდევ არა ერთი მეოცნებე გაუყენა გზას. იმ გზას, რომელიც ამერიკული კინოს კონტრკულტურაში ლიტერატურიდან მოვიდა.



დენის ჰოპერი და პიტერ ფონდა გზის დასაწყისში

# შეყვარებული მამაკაცი თუ სისხლისმსმელი ფსიქოპატი?

1456 წლის 23 აგვისტოს ვალაჰიის გრაფი ვლად დრაკულა გახდა.

რატომ – ვამპირი? ძნელი სათქმელია. რადგან ის, რაც ვამპირების შესახებაა ცნობილი, გრაფ დრაკულას თითქოს არ ესადაგება.

ვამპირი მხოლოდ ის ადამიანი ხდება, რომელსაც სხვა ვამპირმა უკბინა. დაკბენილი მარადიულად ცოცხლობს, მაგრამ საარსებოდ ადამიანის სისხლი სჭირდება. ვამპირს მზისა ეშინია, ამიტომ მხოლოდ ღამით გადის საშოვარზე. ვამპირს ცხოველები ემორჩილებიან, ხოლო ძლიერ ვამპირს ადამიანის დამონებაც შეუძლია. ვამპირებს საფლავებში სძინავთ, რომ ძალ-ღონე მოიკრიბონ. ვამპირებს ადამიანის სხეული სუნი და ყოველგვარი რელიგიური ატრიბუტიკა სძულთ.

გრაფი დრაკულა ასეთი არ ყოფილა, თუმცა არც ბევრად უკეთესი კაცი გახლდათ. ლეგენდის თანახმად, გრაფ დრაკულას 100 ათასზე მეტი ადამიანი ჰყავდა სარზე გაცმული თუ ცოცხლად დამწვარი. ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად ის სისხლის აბაზანებს იღებდა, და უფლისწულის მოკვლა მხოლოდ მაშინ შეძლეს, როცა მახვილი გულში ჩასცეს და თავი მოაჭრეს – ასე ვამპირებს კლავენ ხოლმე...

ნამდვილი და არა წიგნისა თუ ფილმის გმირი გრაფი დრაკულა, ვლად ტეპეში, ტრანსილვანიაში, პატარა ქალაქ სიგიშოარაში 1430 წელს დაიბადა. მამამისი ვალაჰიის თავადი, დრაკულად წოდებული ვლად II იყო, კათოლიკური სექტის, დრაკონის ორდენის წევრი.

ახალგაზრდობაში ვლად III თურქების ტყვეობაში ჩავარდა, და დახვეწილ თურქულ წამებას სწორედ იქ გაუგო გემო. ერთ-ერთი წამების სახეობა – სარზე გაცმა – მას განსაკუთრებით მოეწონა და შემდგომ აქტიურად იყენებდა ხოლმე.

იმის შემდეგ, რაც დაქირავებულმა მებრძოლებმა მამა და ძმა მოუკლეს, ვლად III თავისი სამთავროს მბრძანებელი გახდა, თუმცა თავიდან მონასტერში ჩაიკეტა – როგორც ჩანს, შურისძიების დიდი გეგმის მოსამზადებლად, რადგან უკან დაბრუნებულმა საუკეთესოდ ორგანიზებული აქცია განახორციელა. ტახტზე ასვლის დღესასწაულის აღსანიშნავად (როგორც მოგახსენეთ, ეს მრავალი, მრავალი წლის წინათ, მაგრამ ზუსტად დღევანდელ დღეს მოხდა) გრაფმა სასახლეში მთავრები დაპატიჟა, რომლებიც მამამისის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ, და ზეიმის შემდეგ დრაკულას სასახლესთან 500 სარზე გაცმული ადამიანი დიდხანს და საშინლად კვდებოდა...

შემდეგ ვლადმა რეფორმების გატარება დაიწყო - ფრიად ორიგინალური გზით. პირველი რეფორმის ამბავს მოგითხრობთ, როცა ვლადმა თავის სასახლეში მათხოვრებისთვის წვეულება გამართა.

ნადიმის დროს მთავარმა მიწვეულებს ჰკითხა: "გინდათ, ყველა თქვენი ტკივილი, დარდი, საზრუნავი და ავადმყოფობა დაივიწყოთ, და არასოდეს აღარაფერი გაგიჭირდეთ?" სანადიმოდ შეკრებილმა სტუმრებმა სიხარულით დაუკრეს თავი. მაშინ დრაკულამ ყველა კარისა და ფანჯრის აჭედვა ბრძანა და სასახლეს ცეცხლი მოუკიდა. ცეცხლის ალში ყველა სტუმარი დაიწვა, და




დრაკულას მრავალსახეობა

შესაბამისად, მთავარმა პირობა შეასრულა: მათ სამუდამოდ დაავიწყდათ თავიანთი ჭირ-ვარამი.

დრაკულას რეფორმებს შედეგი ნამდვილად მოჰყვა: ვალაჰიაში დანაშაულებრიობა სავსებით ამოიძირკვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავარ მოედანზე, წყაროსთან დადგმული ოქროს თასი მისი მმართველობის დროს არავის მოუპარავს. საერთოდ, სისასტიკის მიუხედავად, ხალხს დრაკულა მაინც უყვარდა – მოგეხსენებათ, ხალხი ბნელია...

გრაფი დრაკულა 44 წლისა იყო, როცა მოკლეს. მას თავი მოაჭრეს და თაფლში შენახული სულთანს მიართვეს.

აი, ეს იყო და ეს. ვინ იფიქრებდა, რომ XIX საუკუნის ბოლოს დრაკულა აღდგებოდა – თან როგორ! ვინ იფიქრებდა, რომ ის მწერალ ბრემ სტოკერს გაახსენდებოდა და მისგან სისხლისმსმელ ვამპირს გააკეთებდა – ეს ხომ ლეგენდებშიც კი არ იყო ნათქვამი.

სხვათა შორის, დრაკულას ქალებთან ურთიერთობის ამბავიც ბურუსითაა მოცული. ეს მერე ჰყვებოდნენ, გვიან, რომანის გამოქვეყნების შემდეგ, გრაფს საყვარელმა უთხრა, ორსულად ვარო, და დრაკულამ, იმის დასადგენად, ატყუებდა ქალი თუ არა, მუცელი მახვილით გაუფატრაო. ეს მერე გაჩნდა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ შეუყვარდა გრაფს დევნილი რუმინელი თავადის ქალი ლიდია: ლიდია მონასტერში აპირებდა წასვლას, მაგრამ დრაკულამ გადაათქმევინა და ცოლად ითხოვა.

აი, მერე რა ხდებოდა - ეს აღარ ვიცით, და შეგვიძლია ის ვიფიქროთ, ის დავწეროთ და ის გადავიღოთ, რაც გაგვიხარდება...

# კივილი ოსლოში



1893 წელს შესრულებული მუნკის "კივილი" იმდენად შთამბეჭდავი ტილოა, რომ დრო და დრო პრესის ახალი ამბების სექციაში ხვდება ხოლმე (მაგალითად, ორიოდე თვის წინ მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ციური სხეულების დახმარებით მიაკვლიეს იმ ადგილს ოსლოში, რომელიც მხატვარმა თავის ცნობილ ტილოზე გადაიტანა). თუმცა, გუშინ, "სი-ენ-ენ"-ზე, საგანგებო წითელ ფონზე გამოჩენილმა წარწერამ: "განვითარებადი, ცხელი ამბავი: მოპარულია მუნკის ტილოები" - ნამდვილი შოკი გამოიწვია.

შოკი კიდევ უფრო დიდი იყო მუნკის მუზეუმში – კრიმინალის ეპიცენტრში.

კვირას, სამუშაო დღეს, სტუმრებით სავსე საგამოფენო დარბაზში შეიარაღებული ნიღბოსნები შეცვივდნენ, იარაღით დააშინეს მუზეუმის თანამშრომლები, კედლიდან იოლად ჩამოხსნეს მუნკის ორი ტილო "კივილი" და "მადონა", შენობის წინ გაჩერებულ "აუდი ა6"-ში ჩასხდნენ და დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ.

"არავინ დაშავებულა, კრიმინალის გახსნას ყველა შესაძლო ხერხით ვცდილობთ", - აცხადებს პოლიციის წარმომადგენელი ჰილდე ვალსო.

"სიტუაციის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ვფლობთ, მაგრამ დამნაშავეებს ყველგან ვეძებთ – ხმელეთზეც და ჰაერშიც", - დასძენს პოლიიცის სხვა წარმომადგენელი კიელ მოერკი.

შემთხვევის თვითმხილველი გახდა ფრანგული რადიო-სადგურის წარმომადგენელი ფრანსუა კასტანი. მას ყველაზე მეტად ის უკვირს, რომ მუზეუმს უსაფრთხოების არავითარი ზომები არ ჰქონია მიღებული. არ იყო დამონტაჟებული არც უსაფრთხოების სიგნალი. "ნახატები უბრალოდ კედლებზე იყო დაკიდებული. ერთადერთი რაც უნდა გექნა, მაგრად უნდა ჩამოგექაჩა კონკრეტული ტილო და ძაფიც იოლად გაწყდებოდა. ზუსტად ასე მოიქცა ერთ-ერთი ქურდი ჩემს თვალწინ", - ჰყვება ის. კასტანისვე ნაამბობის მიხედვით, პოლიცია დანაშაულის ადგილზე 15 წუთის შემდეგ გაჩნდა. თუმცა, კასტანის კომენტარს მუზეუმის დირექცია აპროტესტებს. მათი თქმით, მუზეუმში მოქმედებს უსაფრთხოების სისტემა და ტილოების ჩამოხსნის შემდეგ, სიგნალის ხმაც გაისმა.

დანაშაულის შემდეგ სტუმრები სასწრაფოდ მუზეუმის კაფეტერიაში გადაიყვანეს. მათ რამდენიმე წუთის განმავლობაში ეგონათ, რომ მუზეუმზე ტერორისტული აქტი ხორციელდებოდა. "ზოგიერთები იატაკზე იყვნენ განრთხმულნი. არ ვიცი, ქურდებმა უბრძანეს მათ ეს, თუ ძირს შიშისგან დაეცნენ. მანამდე ისიც კარგად დავინახე, თუ როგორ შემორბოდა გალერეაში ერთ-ერთი ნიღბოსანი", - იხსენებს 22 წლის გერმანელი ტურისტი ანა ლაიჰერი. მეორე თვითმხილველი, მარკეტა კაიოვა კი დასძენს: "ქურდებს შავი ნიღაბი ჰქონდა აფარებული, როგორც ბანკის ძარცვისას არის ხოლმე. ერთ-ერთმა მათგანმა თოფის მაგვარი ნივთი მიუშვირა დაცვის ქალ წევრს და აიძულა, იატაკზე დაწოლილიყო.

"ბი ბი სი"-სთან საუბარში მუზეუმის პრეს-მდივანი იორუნ კრისტოფენსონი აცხადებს, რომ საგამოფენო დარბაზებში მუშაობდა ტელე-მონიტორები, რაც იმას ნიშნავს, რომ ქურდობა ვიდეო-ფირზეა აღბეჭდილი. ეს, სავარაუდოდ, საქმის ძიებაში პოლიციასაც უნდა დაეხმაროს.



უნდა ითქვას, რომ "კივილმა" არტ-სამყარო პირველად არ ააკივლა შოკისგან. მუნკის სახელგანთქმული ტილო გუშინდელ ქურდობამდე ათი წლით ადრე, 1994 წლის თებერვალშიც, ნორვეგიაში, ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს მოიპარეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არსებობს "კივილის"რამდენიმე ვერსია. 1994 წელს გატაცებული ვარიანტი გუშინდელზე მეტად ცნობილი და მნიშვნელოვანიც იყო. მას პოლიცია სამი თვის განმავლობაში ეძებდა. ბოლოს, სამართალდამცავებმა უნიკალურ ექსპონატს ოსლოდან 65 კილომეტრზე მდებარე ქალაქ ასგარდსტრანდის სასტუმროში მიაკვლიეს. "კივილი" დაუზიანებელი იყო. დანაშაულზე სამი ნორვეგიელი დააკავეს. როგორც გამომძიებლები აცხადებდნენ, გამტაცებლები ნამუშევარში მთავრობისგან მილიონ ამერიკულ დოლარს ითხოვდნენ. იმავე პერიოდში გაჩნდა ინფორმაცია, რომ აბორტის აკრძალვის მოთხოვნით შექმნილი ერთ-ერთი ჯგუფი მზად იყო, ექსპონატი მუზეუმისთვის დაებრუნებინა, თუ ტელევიზიით აბორტის იდეის საწინააღმდეგოდ გადაღებულ ფილმს გაუშვებდნენ. პოლიციამ ამ ცნობის სიყალბე მალე გაარკვია და "კივილის" დაბრუნება თანხის გადაუხდელად შეძლო.

ეს ერთხელ გატაცებული ტილო, მუნკის გალერეაში გუშინაც ეკიდა. ამჯერად, როგორც ჩანს, ის იოლად გადარჩა. სამაგიეროდ არ გაუმართლა მეორეს, რომელიც მალეფუჭებად ტემპერასა და პასტელში უბრალო დაფაზეა შესრულებული.

როგორც მუზეუმის დირექტორი გუნარ სოერენსენი აცხადებს, რთულია, განსაზღვრო, რომელი "კივილია" უკეთესი. "ორივე მათგანი მუნკის შემოქმედების ცენტრალური ქმნილებები გახლავთ", - განმარტავს ის. მისივე ცნობით, "კივილის" კიდევ ერთი, ნაკლებად ცნობილი ვერსია კერძო კოლექციაში ინახება.

ჯერჯერობით, უცნობია, რა ბედი ეწევა მუნკის ძალზე შთამბეჭდავ ქმნილებებს ამჯერად. იმედია, სამართალდამცველები კვლავაც შეძლებენ დანაშაულის წარმატებით გახსნას. არტ-ექსპერტების თქმით, ორივე ნამუშევარი იმდენად ცნობილია, რომ მათი გაყიდვა ქურდებს ძალიან გაუჭირდებათ. "კივილი" ხომ მუნკის მუზეუმში დაცული მხატვრის 58 ტილოდან ყველაზე ცნობადი და ძვირადღირებულია. მას სპეციალისტთა შეფასებით არც "მადონა" ჩამოუვარდება. ერთად მათი ფასი 19 მილიონი დოლარი გახლავთ.

მხატვრის სახელობის მუზეუმი ნორვეგიაში 1963 წლიდან ფუნქციონირებს. ედვარდ მუნკი ხომ მსოფლიო ფერწერაში ნორვეგიის ყველაზე ცნობილი და სასახელო გზავნილია. ის ერთადერთი ნორვეგიელი მხატვარი გახლავთ, რომელმაც ევროპული ხელოვნების განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია, - ასე თვლიან სპეციალისტები და დასტურად გვახსენებენ იმ ფაქტს, რომ მუნკი გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში ექსპრესიონიზმის პიონერი გახლავთ.

მუნკი 1944 წელს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა და მთელი თავისი დარჩენილი შემოქმედება ქალაქ ოსლოს უანდერძა. მუზეუმიც რამდენიმე წლის შემდეგ ამ უნიკალური ძღვენის განსათავსებლად აშენდა. კოლექციაში შედიოდა ათასამდე ნახატი, 4 500 ესკიზი და 18 ათასამდე პრინტი. თავიდან მიღებული გადაწყვეტილების თანახმად მუდმივად გამოფენილია მუნკის უმნიშვნელოვანესი ქმნილებები, რომელთა შემადგენლობასაც რეგულარულად ცვლიან. გარდა ამისა, სისტემატურად ეწყობა ერთჯერადი ღონისძიებები – კინო-ჩვენებები, კონცერტები, ლექციები.

რაც შეეხება "კივილს", ის სერიიდან "ცხოვრების ფრიზი" გახლავთ. ამ ნამუშევრების გამაერთიანებელი თემა ემოციურ სტილში გადმოცემული სნეულების, სიკვდილისა და სიყვარულის საკითხებია. სერიის უდიდესი ნაწილი მხატვარმა 1890-იან წლებში, ბერლინში ყოფნის დროს შექმნა. თვითონ ის ამ ტილოებს ასე მოიხსენიებდა – "სიცოცხლის, სიყვარულისა და სიკვდილის პოემა". ამ პოემიდან კი ყველაზე გამორჩეული ოსლოს ფიორდში შექმნილი "კივილი" გახლავთ. მას ბევრი თანამედროვე კაცის მარტოობის სიმბოლოდ სახავს, თავად მხატვარს კი, ვან გოგთან ერთად – გერმანული ექსპრესიონიზმის მთავარ წყაროდ.

## TV პროგრამა

23 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** დისკავერი **13.20** მხ. ფილმი "რევანში" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "შელახული რეპუტაცია". მთ. რ-ში: ენტონი ჰოპკინსი, ნიკოლ კიდმანი (18).

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ.სერიალი "კათედრალური ტაძრები" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.00** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.30** მუს. არჩევნები **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "პიანისტი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მეფე რალფი" (გ) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში 2" **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "მექსიკელი" (12) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში კინო"

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 15.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.00, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "აპაჩი" (გ) (ბ. ლანკასტერი) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "იაზონი და არგონავტები" **17.20** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ფარული კამერა" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "ბიჭები ჯანგშინიდან" (12) (ტომ ბერენჯერი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **21.00** დოკ. სერიალი "მოგზაურობა" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "დორიანი" (15)

### იმედი

**08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **07.45** ათენის ოლიმპიური თამაშები - მიმოხილვა **09.45** ოლიმპიური თამაშები: კალათბურთი (კაცები) ესპანეთი-ახ. ზელანდია, კალათბურთი (კაცები) ლიტვა-ავსტრალია, მძლეოსნობა. **13.10** კალათბურთი - ლიტვა-ავსტრალია (გაგრძელება), მძლეოსნობა (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი. **15.10** კალათბურთი (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი (გაგრძელება), ფრენბურთი (კაცები) ავსტრალია-პოლონეთი. **17.10** ფრენბურთი (კაცები) ჰოლანდია-არგენტინა, ძალოსნობა, ტრეკი. **19.20** სერიალი "კლონი" **20.05** ოლიმპიური თამაშები: წყალბურთი (კაცები), კრივი, ძალოსნობა, მძლეოსნობა, პლაჟის ფრენბურთი, ტანვარჯიში. **22.20** კრივი, მძლეოსნობა (გაგრძ.), პლაჟის ფრენბურთი (გაგრძ.), ტანვარჯიში (გაგრძ.), წყალბურთი (კაცები). **00.05** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **01.35** ტვ-მარკეტი **02.20** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" 1-ლი ს. (გ) **19.20** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "მილუ მაისში" (15)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00,12.00, 15.00,18.00** Новости **09.20 Х/ф "ЖИЗНЬ УДАЛАСЬ" 11.20** Дневник XXVIII летних Олимпийских игр **12.10 Х/ф "ОТКЛОНЕНИЕ - НОЛЬ" 13.40** "Гении и злодеи" **14.10 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.20 "АНГЕЛ НА ДОРОГАХ" Сериал 16.30** Криминальная Россия **17.00** "Слабое звено" **18.20** "Властелины колец". Дневник Олимпиады **19.00 "КЛОН" Сериал 20.00** Жди меня **21.00** Время **21.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 22.40** На XXVIII летних Олимпийских играх **00.00 "ДОКТОР ЖИВАГО" Сериал 01.00** На XXVIII летних Олимпийских играх **02.10 Х/ф "С ПЕРВОГО ВЗГЛЯДА" 04.10 Х/ф "ЧОКНУТЫЕ"**

### НТВ

**06.00** Утро на НТВ **08.50 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2" Сериал 10.00** "Сегодня утром" **10.25** "Женский взгляд" **10.55** "Путешествия натуралиста" **11.30** "Страна советов" **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.35 Х/ф "МОЙ ЛУЧШИЙ ДРУГ - ГЕНЕРАЛ ВАСИЛИЙ, СЫН ИОСИФА" 14.35** "Криминальная Россия" **15.35** "Принцип домино" **17.30 "МУР ЕСТЬ МУР" Сериал 18.35** "Криминальная Россия" **19.40 "РОДИНА ЖДЕТ" Сериал 20.50 "Я ВСЕ РЕШУ САМА " Сериал 22.00** "Страна и мир" **22.45 Х/ф "СКРЫТАЯ УГРОЗА" 00.40 "РОДИНА ЖДЕТ" Сериал**

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი



# სინდიმ ცხოველებს და იდეებს უღალატა

უპრინციპობაცაა და უპრინციპობაც! სინდი კროუფორდი ქურქების რეკლამითაა დაკავებული. ეგ არ იყო, ათი წლის წინ-



ათ რომ იძახდა, "ბეწვის ტარებას სიშიშვლე სჯობს"-ო?

მაგრამ, ეს ადრე იყო, 1994 წელს, როცა სინდი უფრო ახალგაზრდაც ბრძანდებოდა და, როგორც ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის, PETA-ს აქტივისტები ამბობენ, მეტი რამაც ჰქონდა გამოსაჩენი – ახლა რაღა, ერთი ხალიღა დარჩა...

ხუთ სარეკლამო ფოტოსურათზე სინდი ფირმა Blackglama-ს ხუთ სხვადასხვა ქურქში იწონებს თავს. ფირმის წარმომადგენელმა ამაყად თქვა, რომ თუ სინდი მოისურვებს, ის ხუთივე ქურქს მიიღებს საჩუქრად.

საერთოდ, Blackglama სახუმარო ფირმა არაა – მისი ნაწარმის სარეკლამო ფოტოებისთვის სინდი კროუფორდამდე ბეტ დევისი და მარლენ დიტრიხიც კი არიან გადაღებული.

# გაუფრთხილდით თმას!

კოსმეტიკის ფირმა "ლ`ორეალი" ბიონს ნოულზთან თანამშრომლობით ძალიან კმაყოფილია – კონტრაქტს სისტემატურად უგრძელებს და ახლა ხუთი წლით თმის მოვლის საშუალებების სარეკლამოდაც მიიწვია. ვებ-გვერდზე The Smoking Gun კონტრაქტით გათვალისწინებული ნოულზის ჰონორარიცაა მითითებული – 3,8 მილიონი ევრო.

ამ თანხის მისაღებად პოპ-ვარსკვლავს დიდი ძალისხმევის გაწევა არ დასჭირდება. იგულისხმება, რომ ხუთი წლის განმავლო-



ბაში ის ყოველწლიურად ათი დღით ფირმის სრულ განკარგულებაში იქნება, ხოლო თუ რაღაცა არ გამოვიდა და მას სამუშაო დრო გაუგრძელდება, "ლ`ორეალი" ყოველ ზედმეტ დღეში 25 ათას დოლარს დამატებით გადაუხდის.

ბიონსის განკარგულებაში პირველი კლასის ავიასალონები და მდიდრული სასტუმროები იქნება, სადაც მას კიდევ ოთხი ადამიანის დაბინავების უფლება აქვს. სამაგიეროდ, ფირმა მოითხოვს, რომ მისმა "სახემ" თმას გულდასმით მოუაროს – ამას ფირმის წარმომადგენლები ყოველ 14 დღეში ერთხელ გააკონტროლებენ ხოლმე. მან ვარცხნილობა არ უნდა შეიცვალოს, არ გასუქდეს და არავითარ შეთხვევაში არ უნდა შეიძინოს სხვა ფირმების მიერ წარმოებული კოსმეტიკური საშუალებები.

გარდა ამისა, თუ ბიონსი, სულ დიდი, 30 დღის განმავლობაში სატანადო შესახედავი აღარ იქნება – ან ავად გახდება, ან მზისგან დამწვრობას მიიღებს ან რამე უბედურ შემთხვევაში ამოჰყოფს თავს – "ლ`ორეალს" კონტრქატის გაწყვეტის უფლება აქვს.

# როგორ გადარია ბრიტნიმ მოდერატორი

თავის ჰიტში Oops I Did It Again ბრიტნი სპირსი ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ ამბობდა, არც ისე უბიწო გოგო ვარო. ოდესღაც საკუთარი ინიციატივით პოპ-ქალწულის იმიჯის მქონე მომღერალი დღემდე ცდილობს, უცოდველი გოგონას იმიჯი მოიცილოს, და ის, რაც მან ბრიტანულ თოკ-შოუს, Popworld-ის მსვლელობის დროს ჩაიდინა, ალბათ ამავე მცდელობის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ.



გადაცემის წამყვანი, საიმონ ეშტელი მას ყველაფეზე ელაპარაკა – ცხადია, სისულელეებზე, აბა, ბრიტნის მეტს რას დააცდევინებდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ბოლოსკენ ეშტელმა, თავისი ჭკუით, ხუმრობით არ ჰკითხა, ბოლოს პირში რა ჩაგიდიაო – ეტყობა, ეგონა, რომ დიეტის თემას განავრცობდა. და უცებ ბრიტნიმ იმისთანა უთხრა, რომ წამყვანსაც და გადაცემის რეჟისორსაც კინაღამ გულყრა დაემართათ.

თავისი შოკის შესახებ ეშტელი პრესის წარმომადგენლებს უყვებოდა: "ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. სიტყვა მაინც შეერჩია, ვთქვათ, პენისი ეთქვა!"

სამწუხაროდ, საზოგადოება ამ შესანიშნავ ეპიზოდს ვერ ნახავს: ბრიტნის ხალხი სტუდიაში შეცვივდა და ვარსკვლავის არაკორექტულობის დამადასტურებელი კადრების ამოჭრა მოითხოვა.

# მხოლოდ მუსიკისთვის

ამერიკელი მუსიკოსი კორტნი ლავი ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდა. მას ლოს ანჯელესში სასამართლოს წინაშე უწევს თავის მართლება და იმის ახსნა, თუ რატომ მოუნდა თავისი ყოფილი საყვარლის სახლში ვიღაც ქალისთვის თავზე ბოთლის გადამსხვრევა.



კორტნი ამბობს, რომ დამნაშავე არაა. "მე ხომ მხოლოდ მუსიკის შესრულება მინდა," თქვა კურტ კობეინის ქვრივმა. "საშინელებაა, ღმერთმანი! მოსამართლემ თქვა, კალიფორნიის შტატი კორტნის წინააღმდეგო!"

როგორც ჩანს, ჩხუბისა და აყალმაყალისგან განსხვავებით, კორტნი ლავი ასეთ ამბებს მართლა ძნელად უძლებს. საქმის პირველ მოსმენაზე ის არაფრისდიდებით არ გამოცხადდა, და იმისთვის, რომ არ დაეკავებინათ, თავდების თანხა, 150 ათასი დოლარი გადაიხადა.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge







**ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობებზე: წამყვანები ტელევიზიის გასართობი, შემეცნებითი, საბავშვო-საყმაწვილო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებისათვის**

**მოთხოვნები**

- ასაკი 25 წლის ზემოთ;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა;
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**ტელევიზიის რუსული, აფხაზური, აზერბაიჯანული, სომხური საინფორმაციო პროგრამების წამყვანები**

**მოთხოვნები**

- ასაკი 25 წლის ზემოთ;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- შესატყვისი ენის - რუსული, აფხაზური, სომხური, ან აზერბაიჯანული - სრულყოფილი ცოდნა;
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 18 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.